სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ახალი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური
ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

კახა ქეცბაია

# ფრიდრიხ ნიცშე და კონსტანტინე გამსახურდია

## თავისუფლების ფილოსოფია საქართველოში

(მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა)



გამომცემლობა
**Carpe diem**

ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ კახა ქეცბაიას წიგნში ფრიდრიხ ნიცშესა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთმიმართების საკითხის ფილოსოფიური ანალიზია მოცემული. ავტორის აზრით, ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში თავისუფლების ფილოსოფიად ტრანსფორმირდება, რაზეც მიანიშნებს წიგნის სახელწოდება „თავისუფლების ფილოსოფია საქართველოში".

წიგნს თან ერთვის გერმანელი მწერლისა და პუბლიცისტი ქალის — ჰედვიგა დომის ესეის — „ნიცშე და ქალები" — პოეტ ჯემალ შონიას მიერ შესრულებული ქართული თარგმანი.


რედაქტორი: დავით ზაქარაია, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ლიტ. რედაქტორი: ჯემალ შონია

რეცენზენტები: მანანა გაგოშიძე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ელგუჯა ქავთარაძე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი



© კ. ქეცბაია, 2010



ISBN 978-9941-0-2334-7

ფრიდრიჰ ნიცშეს

„იყო გოლგოთა, ვაიმარი და სილს მარია.
ახალი დროის მატიანე შენ მოგინდება,
შენ გვაგრძნობინე, სინამდვილე რომ სიზმარია,
რომ ახლოვდება ძველ ღმერთების შემობინდება.
ანთიხარ ისე... (მაგრამ ნეტავ ვის შეგადარებ)
ჩემს გულში ცეცხლი უხილავი, უცხო მშვენების
და ამიტომაც მირაჟების და მოჩვენების
სისხლიან მასკებს დაფარულად გულში ვატარებ.
შენ ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისე,
წახვედი სოფლის ვარამისგან გულგამეხილი.
წმინდა ფრიდრიჰი და ჯვარცმული ხარ დიონისე,
ჭაბუკი მუხა, გრიგალისაგან გადატეხილი.
ო, შუა გზაზე რა ძნელია შემოღამება,
რომ უკვდავებით შეისყიდო ქვეყნის წამება.“

კონსტანტინე გამსახურდია

ვუძღვნი ძვირფასი მასწავლებლის
თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას

## წინათქმა
## მეორე გამოცემისათვის

„ჩვენი დროის ნაკლი ის გახლავთ, რომ მითოლოგიას ორგანულად აღარ განვიცდით.მითის ცოცხალი განცდის დაკარგვა უკიდურესი გაფილისტერებაა ადამიანისა, ესაა თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების კრიზისისა და გაბერწების უთავრესი მიზეზი“, — წერს ზვიად გამსახურდია. ამ კრიზისის „მახარობლად“ კი ფრიდრიხ ნიცშე გვევლინება. მხოლოდ მან გაბედა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა ევროპული ცივილიზაციისათვის და დაუნდობლად ემხილებინა მისი მთელი რიგი მანკიერებანი და ეწინასწარმეტყველებინა მისი არცთუ სახარბიელო მომავალი. ღმერთი ნიცშემ კი არ მოკლა, არამედ ცივილიზებული ადამიანი თავად მივიდა აქამდე, ნიცშემ კი ეს შემზარავი სინამდვილე სააშკარაოზე გამოიტანა და ამით ობივატელთა სამუდამო წყრომა დაიმსახურა. მან ყველა და ყველაფერი დუელში გამოიწვია. ამადაც ამბობდა მისადმი მიძღვნილ ლექსში კონსტანტინე გამსახურდია: „შენ ამ სამყაროს

უდუელოდ ვერ შეეთვისე"... ნიცშეს ფილოსოფიის ამ საკვანძო პრობლემატიკას ძალზე ორიგინალურად ეხმიანება გენიალური ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. ამიტომაც არის საინტერესო ამ ორი გენიალური მოაზროვნის ურთიერთმიმართების საკითხი.

თუკი დიოგენე სინოპელი დღისით-მზისით ფარნით ხელში ადამიანს დაეძებდა, ნიცშე ზეკაცის ძებნით იყო დაკავებული, კონსტანტინე გამსახურდია კი „დონკიხოტური შეურიგებლობით" ებრძოდა „თავის თანადროულ რუტინას" (ზვიად გამსახურდიას სიტყვებია) და თავდავიწყებით მიისწრაფოდა პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისაკენ. ნიცშეანელობის გამო მას მრავალი სარისკო ამბავი გადახდა თავს. რომ არა კონსტანტინე გამსახურდია, ნიცშეს შემოქმედებას ჯეროვნად კარგა ხანს ვერ გაეცნობოდა ქართველი მკითხველი. თანაც ის ნიცშეს პიროვნებისა და ფილოსოფიური აზროვნების პოზიტიურ მხარეებზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც ქართულ ფილოსოფიაში დიდი ხნის განმავლობაში წარმოუდგენელი რამ იყო.

ნიცშელოგიაში დღესაც აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ ნიცშე. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი შესაძლებელი, ყველასაგან გამორჩეული, ქართულ სულიერებასთან და ქართველი კაცის ბუნებასთან მისადა-

გებული ვარიანტი შემოგვთავაზა კონსტანტინე გამსახურდიამ. თავის მხრივ, ნიცშეს ფილოსოფიის გარეშე ძალზე ძნელი იქნება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი სამყაროს გაგება და გაშინაგანება. მით უფრო მაშინ, როდესაც „ფილისტერული ახლომხედველობისაგან კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნების მიმართ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ქართული ინტელიგენციის ნაწილი" (ზვიად გამსახურდია).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გენიალური პიროვნებები მათი თანამედროვე ეპოქის თითქმის ყველა ნიშნის მატარებელნი არიან, მაშინ არ გაგვიკვირდება შოპენჰაუერის გაორება პესიმიზმსა და ოპტიმიზმს შორის, ნიცშესი — ქრისტესა და დიონისეს შორის, კონსტანტინე გამსახურდიასი — ქართულ ჩოხასა (კულტურა) და ევროპულ კოსტიუმს (ცივილიზაცია) შორის. კონსტანტინე გამსახურდიამ არჩევანი ქართული ჩოხის (ჩოხა — კულტურისა და ღრმა სულიერების, ეროვნული თვითმყოფადობის აღმნიშვნელი სიმბოლოა) სასარგებლოდ გააკეთა. აქ ისევ დიდი ქართველის, ზვიად გამსახურდიას ნათქვამი უნდა მოვიშველიოთ ამასთან დაკავშირებით: **„ჩოხა იყო სიმბოლო კონსტანტინე გამსახურდიასათვის, სიმბოლო ეროვნული მრწამსისა, სიმბოლო ზოგადკავკა-**

სიური ერთიანობისა. მეოცე საუკუნეში მცხოვრები ჩოხოსანი კონსტანტინე გამსახურდია ოდესმე ისევე სიმბოლურად იქნება აღქმული, როგორც ჩოხოსანი შამილი — მეცხრამეტეში, სიმბოლო კავკასიის თვითმყოფადობისა, კავკასიის წინააღმდეგობისა.

მან თავის ბუნებრივ, ძირეულ ტანისამოსად ჩოხა დაისახა, ხოლო თავისი ალტერ ეგო (მეორე „მე“), ევროპულ კოსტუმიანი და მონოკლიანი, ნეგატიურ ორეულად წარმოგვიდგინა, დასავლეთის ცივილიზაციის ყოველგვარ სნეულებათა მატარებელ საწყისად“ (ზვიად გამსახურდია). ნიცშე გვეუბნება, რომ დასავლური კულტურა ღრმა ეგზისტენციალურ კრიზისშია, დასნეულებულია, კონსტანტინე გამსახურდია კი გვაფრთხილებს იმ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დასნეულებული და კრიზისში მყოფი განათლებისა და კულტურის გაუაზრებელ ექსპორტს პატარა ქვეყანაში.

* * *

წიგნი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის ხსოვნას. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში იგი ძალზე ორიგინალური და გამორჩეული მოაზროვნეა ფილოსოფოსობის საკუთარი ხელწერითა

და ჭეშმარიტად ფილოსოფიური ცხოვრების წესით, რასაც ფილოსოფოსთა უმრავლესობა არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ მსოფლიოში მოკლებულია. ყოველი მისი შემოსვლა აუდიტორიაში მზის ამოსვლის ტოლფასი იყო, რადგანაც ის საკუთარი გონების სხივებით ყველასათვის გასაგებს და ნათელს ხდიდა ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებს. ამ მხრივ მას ძნელად თუ მოეპოვება ბადალი ქართველ (და არა მარტო ქართველ) ფილოსოფოსთა შორის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დიდ ქართველ ფილოსოფოსებს შორის მზესავით ბრწყინავს თამაზ ბუაჩიძის (ჩვენ მას ქართული ფილოსოფიის მზეს ვუწოდებთ) სახელი.

* * *

მინდა მადლიერება გამოვხატო ამ წიგნის პირველი გამოცემის სულისჩამდგმელის ბატონ მურმან ზაქარაიას მიმართ, რომ არა მისი ძალისხმევა და თანადგომა, წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა. წიგნის გამოცემაში ფასდაუდებელი ინტელექტუალური დახმარება გამიწიეს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების უბადლო მცოდნეებმა: ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირაკლი კალანდიამ და პროფესორმა ანზორ ბრეგა-

ძემ, პოეტმა ჯემალ შონიამ (მასვე ეკუთვნის წიგნის ბოლოს დართული ნიცშეს შესახებ ჰედვიგა დომის საინტერესო ესეის ქართული თარგმანი) და ცნობილმა ექიმმა, ნიცშეს ფილოსოფიის ბრწყინვალე მცოდნემ ხუტა პაჭკორიამ, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ.

მადლიერებით მოვიხსენიებ ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, ტრაგიკულად გარდაცვლილ ქალბატონს ლამარა რამიშვილს, რომელმაც მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამ წიგნის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით.

შესაძლებელია დაინტერესებულ და გემოვნებიან მკითხველს მრავალი კითხვა გაუჩნდეს წიგნში განხილულ საკითხთა გარშემო, რაც სავსებით ბუნებრივი და მისაღები იქნება ჩვენთვის, რადგანაც ფრიდრიხ ნიცშესა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთმიმართების საკითხი შეიძლებოდა კიდევ უფრო სრულყოფილად და ამომწურავად განგვეხილა და წარმოგვედგინა, რაც ჩვენ სამომავლო საქმედ გვესახება.

**კახა ქეცბაია**
**თბილისი, 25 იანვარი, 2010 წელი.**

# I
# შესავალი

„რაფაელს დახატული აქვს პლატონი ზეაპყრობილი ხელებით. უნდა მოვიდეს ახალი რაფაელი, რომელიც ახალი ევროპის ახალ პლატონს ზეაპყრობილი ხელებით დახატავს. ასე დარჩება ნიცშე ადამიანობის ნათელ ხსოვნაში, რადგან იგი იყო როგორც ზვარაკი, ისე თვით ტანჯვაში პირგაბადრული ღმერთი დიონისოს თავის სმარგდის მშვენებაში გაბრწყინებული."

კონსტანტინე გამსახურდია

მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება წარმოუდგენელია სიცოცხლის ფილოსოფიის გარეშე. სიცოცხლის ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ფრიდრიხ ნიცშეს დამსახურებაა.

სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ე.წ. პარადიგმატული დებულებაა: ადამიანის სიცოცხლის საზრისი მის თავისუფალ აქტივობასა და შემოქმედებაშია. ამდენად, ის თავისუფლების ფილოსოფიაა. ნიცშეს ფილოსოფიაში მოცემული თავისუფლების მძლავრი მუხტის გამო იგი აკრძალული იყო საბჭოთა დიქტატურის წლებში. თავისუფლების ქო-

მაგი ნიცშე ტაბუირებულ ავტორთა რიცხვს მიაკუთვნეს.

ნიცშეს ფილოსოფიის გმირულმა პათოსმა დიდწილად განაპირობა ის, რომ სიცოცხლის ფილოსოფია და „ზარატუსტრას" ავტორის იდეები საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღების ცენტრში მოექცა. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ნიცშეს იდეები ტრანსფორმირდება, როგორც თავისუფლების ფილოსოფია, რაც მის ნიცშეანელობას განაპირობებს. ზ. გამსახურდიას სამართლიანი შენიშვნით, ბოლო პერიოდში საქართველოსა და უცხოეთის კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში კ. გამსახურდიას შემოქმედება მრავალი ასპექტით იქნა გაშუქებული, მაგრამ „ჯერ არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა მწერლის მსოფლმხედველობაზე, მის რელიგიურ-ფილოსოფიურ კრედოზე"[1].

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე კონსტანტინე გამსახურდიას მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიური კრედოს ერთ-ერთი კონკრეტული და, ამავე დროს, არსებითი, შეიძლება ითქვას, მაკონსტრუირებელი ფაქტორია ნიცშეს ფილოსოფიური აზროვნება.

დასანანია, რომ კ. გამსახურდიას საკუთარი ადგილი არ ჰქონდა ქართული ფილო-

სოფიის ისტორიაში, თუნდაც როგორც ნიცშეს, ბერგსონის, შოპენჰაუერის, შპენგლერის, კირკეგორსა და, საერთოდ, ევროპული ფილოსოფიის მოწინავე ტრადიციების შემომტანსა და დამნერგავს საქართველოში, როგორც სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთ წარმომადგენელს.

ქართველი ფილოსოფოსებიც არ იჩენდნენ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ამ საკითხისადმი, თუმცა გამონაკლისებიც არსებობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. ბრეგაძის სტატია „ჰეგელის „პათოსი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „გიორგი მეფე“, სადაც კ. გამსახურდიას შემოქმედება სერიოზული ფილოსოფიური განსჯის საგანია.[2]

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დღეისათვის ვითარება სასიკეთოდ იცვლება. აქ მხედველობაში გვაქვს თ. ირემაძის გერმანულენოვანი სტატია „ნიცშეს გაგების ძირები საქართველოში“, რომელიც ნიცშეს ფილოსოფიის კვლევებისადმი მიძღვნილ ძირითად საერთაშორისო წელიწდეულში (Nietzsche – Studien) გამოქვეყნდა. ამ სტატიაში კ. გამსახურდია წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი პირველი ქართველი ნიცშეანელი და სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი საქართველოში. იმედია, ამის შემდგომ კ. გამსახურდია, როგორც სიცოცხლის ფილოსოფიის (ირაციონალიზმისა და ქრისტიანული მისტიცი-

ზმის) წარმომადგენელი, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს საქართველოში გამოცემულ ფილოსოფიურ ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებში.[3]

* * *

„მე ვიცი ჩემი ხვედრი. მე ვიცი, რომ ჩემ სახელთან დაკავშირებული იქნება საშინელი რამ, უშველებელი კრიზისი, რომლის მსგავსი მიწას არ ენახოს. მე უარვყოფ ისე, როგორც არავინ, მიუხედავად ამისა, მე კონტრასტი ვარ უარმყოფელი სულისა".

*ფრ. ნიცშე, „Ecce Homo"*
*კ. გამსახურდიას თარგმანი*

## II
## მეთოდის შესახებ

ამა თუ იმ ტიპის გამოკვლევის წინაშე ყოველთვის დგას მეთოდის პრობლემა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ გამოკვლევის სიცოცხლისუნარიანობა დიდწილად ამ პრობლემაზეა დამოკიდებული, რაც წინამდებარე ნაშრომსაც შეეხება. აქ ვითვალისწინებთ მხატვრული ტექსტის ფილოსოფიური ანალიზის პრობლემას, რომლითაც განებივრებული არ არის ქართული ფილოსოფია. ჩვენში ძნელად მოიძებნება ისეთი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც ზემოაღნიშნული საკითხის წარმატებით დაძლევის საწინდარი იქნება. თავის დროზე ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაუთმო პროფ. სერგი დანელიამ.[4] იგი აღნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ ფორმალურად, გარეგნულად არის დამოუკიდებელი ფილოსოფიური აზროვნებისაგან, სინამდვილეში მხატვრული ტექსტის სიღრმეში „ფილოსოფიური ცენტრია“ დამალული, რომლის „პირის ჩენა“ ლიტერატურის პროფესიონალი მკვლევრის მოვალეობაში არ შედის. ეს ფილოსოფოსის საქმეა. მან მხატვრულ ტექსტში ფილოსოფიური საზრისი უნდა ამოიკითხოს, მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნე-

ბის „ფილოსოფიური დვრიტა" აღმოაჩინოს.[5] თუ ამ მეთოდით განვიხილავთ კ. გამსახურდიას მხატვრულ-შემოქმედებით სამყაროს, მაშინ ის ერთ-ერთი პირველი ავტორი იქნება, ვისი ფილოსოფოსობაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. მსგავსი ფილოსოფიური განსჯის მაგალითები ს. დანელიას მიხედვით არის: ვინდელბანდის გამოკვლევა გოეთეს შესახებ; ჰ. ზიბეკის წიგნი გოეთეზე; კუნო ფიშერის წიგნი გოეთეს „ფაუსტის" შესახებ და სხვა. შეიძლება დავამატოთ, რომ ქართულ სინამდვილეში ანალოგიური ფილოსოფიური რეფლექსიის ნიმუშს იძლევიან თვითონ ს. დანელია, შ. ნუცუბიძე, ა. ქუთელია, შ. ხიდაშელი, თ. ბუაჩიძე, გურამ თევზაძე.[6] მხატვრული ტექსტების ფილოსოფიური ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშებია კ. გამსახურდიას წერილები გოეთეზე, დანტეზე, სტ. გეორგეზე, დოსტოევსკიზე და მრავალი სხვა. ასეთ ვითარებაში მკვლევრის ძირითადი მეთოდოლოგიური პათოსი მხატვრული ტექსტის ფილოსოფიური საფუძვლებისა და საზრისის ძიებაა.

ცნობილია აგრეთვე მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიური წაკითხვისა და ანალიზის სხვა მეთოდი, რომელიც ფრ. ნიცშედან იღებს სათავეს და ძალზე პოპულარულია პოსტმოდერნულ ფილოსოფიაში. იგულისხმება ტექსტსმიღმა არსებული რეალობისა და ტექსტის მიმართებაზე აქ-

ცენტირება. აქ საუბარია აზროვნების ე. წ. ბინარული ანუ „სამყაროს ორ ფერში აღქმის“ სტილის უკმარისობაზე, რომელსაც უპირისპირდება „ტერნალური ანუ სამმაგი“ სტილი, რომელიც დასავლური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად: სიკეთესა და ბოროტებას შუა, საშუალო... ან აბსოლუტური დისტანცირება... იქით, მიღმა. ეს იგივეა, რაც ტექსტი ტექსტში, სურათი სურათში. ამ შემთხვევაში ავტორი გაიგივებულია ტექსტთან და მთავარი აქცენტი გადატანილია არა იმაზე, „ვინ დაწერა“ (სპინოზა), არამედ იმაზე, „ვინ ლაპარაკობს“ (ნიცშე). ამიტომ მენტალურად ნიცშე უფრო ახლოს აღმოჩნდა მოდერნიზმის საზროვნო სიტუაციასთან[7] (თუმცა ნიცშესათვის მთავარია პრინციპი: „რისი განცდაც ჩვენ ძალგვიძს, იმისთვის სიტყვები არასოდეს არ გვეყოფა“).

მსგავსი მეთოდოლოგია კ. გამსახურდიას შემოქმედების პოზიციურ-ფილოსოფიური განხილვის აუცილებელი პირობაა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის შინაგანი სამყაროს ანტინომიურობას, კონფლიქტს „ადამიანის ზნეობრივ იდეალიზმსა და ხორციელ რეალობას შორის“.[8] ამის მიხედვით, ადვილია კ. გამსახურდიას შემოქმედებაში შინაგანი მე-ს გაორების პროცესის — ქრისტე-დიონისე, დიონისური და აპოლონური, ნიცშე და გოეთე — ფილოსოფიური შეფასება. ზოგადად, კ. გამ-

სახურდიას მრავალსახოვანი შემოქმედე-ბითი სამყაროს ფილოსოფიური ანალიზი-სას გასათვალისწინებელია მეთოდოლოგი-ური პლურალიზმი და პრინციპულობა, რადგანაც ცალკე აღებული ერთი რომელი-მე მეთოდი სრულად ვერ მოიცავს პრობ-ლემის არსს, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება გენიალურ მოაზროვნეს.

* * *

„უდიდეს ევროპელ ნიჰილისტებს შო-რის, რიდრიჰ ნიცშე წინასწარმეტყველებს „ნიჰილიზმის მეორედ მოსვლას", ეს იყო ევროპული დეკადანსის კვირაძალი. ასე-თივე დეკადანსის მეძილისპირენი იყვნენ ბუდა და სოკრატე".

კონსტანტინე გამსახურდია

## III
## ნიცშეანური მოტივები და თავისუფლების პრობლემა

კონსტანტინე გამსახურდიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ხდებოდა ჩვენი საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში. ახალგაზრდობისას ის განიცდიდა ნიცშეს, ბერგსონისა და შტაინერის გავლენას.[9] ის სწავლობდა კენიგსბერგის (სადაც კანტის ფილოსოფიის შესასწავლად ჩავიდა), ლაიფციგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში.[10] მისი მასწავლებლები იყვნენ: რილი, კასირერი, ჰარნაკი, მოლენდორფი, ერდმანი, ვუნდტი; სორბონაში უსმენდა ბერგსონს. პირადად იცნობდა თომას მანს. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მონაფე გატაცებული იყო ნიცშეთი და თარგმნიდა მის „ზარატუსტრას". „თეორიულად ვიცი იმდენი, რომ ნიცშეს ზოგ ალაგას თავისუფლად ვთარგმნიო", — სწერდა დ. ავალიანს.[11] ხოლო ავტობიოგრაფიულ რომანში „ლანდებთან ლაციცი", რომელიც ნიცშეს „Ecce Homo"-ს მოგვაგონებს, კ. გამსახურდია ამბობს, რომ ნამდვილად თარგმნიდა ნიცშეს „ზარატუსტრას". ამ თარგმანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა მისი ცალკეული ნაწილები მარგალიტები-

ვით გაბნეულია მთელს მის შემოქმედებაში.

კ. გამსახურდიას, ნიცშესთან ერთად, განსაკუთრებით მოსწონდა გოეთე, ნაპოლეონი, შოპენჰაუერი, კირკეგო, ვაგნერი, შპენგლერი, სვედენბორგი, შტაინერი. ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ქართველ მკითხველს კირკეგო, სვედენბორგი და შტაინერი. ნამდვილად შემთხვევითი მოვლენა არ არის ახალგაზრდა კონსტანტინეს ნიცშეთი გატაცება. ნიცშეს ფილოსოფიამ შთამბეჭდავად იმოქმედა მის აზროვნებაზე, სტილსა და წერის მანერაზე.

კონსტანტინე გამსახურდიას ნიცშეანელობის შესახებ მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს.[12] უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიას უკრიტიკოდ და ცალსახად არ მიუღია ნიცშეს ფილოსოფია. ნიცშეთი მისი გატაცების უარყოფა ძალზე ძნელია, მაგრამ მის შემოქმედებაში იყო პერიოდი, როდესაც იგი ცდილობდა თავი დაეღწია ნიცშეს ფილოსოფიისაგან, გადაეფასებინა ნიცშეს მთელი რიგი მოსაზრებები და საკუთარი ხედვა შეემუშავებინა. ყველაზე მთავარი, რაც ნიცშეს ფილოსოფიიდან კონსტანტინე გამსახურდიამ გაითავისა, ეს არის ფილოსოფიური კატეგორიის რანგში აყვანილი აქტიური, მოქმედი ადამიანის კონცეფცია და ძლიერი პიროვნების კულტი, მისი თვითდამკვიდრების პრინციპი, რომლის დანიშნულება კ.

გამსახურდიასათვის არის თავისუფლების მიღწევა, ერისა და ქვეყნის ერთგული სამსახური. ნიცშეს გავლენისაგან განთავისუფლების შემდეგაც კ. გამსახურდია სიცოცხლის ფილოსოფიის პრინციპებს იცავს, ოღონდ ახლა უკვე ნიცშესგან დამოუკიდებლად. ამიტომაც საყვედურობდა გრ. რობაქიძეს, რომ მან ვერ მოინელა ნიცშეს იდეები და „იდეურ ჩიხში“ მოექცა. ისმის კითხვა: რას ნიშნავს სიცოცხლის ფილოსოფიის პრინციპების დაცვა ნიცშეს გარეშე? კ. გამსახურდიას შემთხვევაში ესაა პიროვნულ თავისუფლებასთან ერთად საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა და შინაგანი პროტესტი არსებული რეალობის წინააღმდეგ. ამ ამოცანის განხორციელებაში კი მისი მასწავლებელი ნიცშე იყო; ნიცშეს ფილოსოფიით სურდა მას ქართველ ერში გაეღვიძებინა ჯერ კიდევ მთვლემარე თავისუფლების წყურვილი, რომ ერს შეენარჩუნებინა მებრძოლი სულისკვეთება და არ გადაგვარებულიყო. ასეთ ვითარებაში ძალზე ორიგინალურია კ. გამსახურდიას მიერ ნიცშეს ზეკაცის გაგება. კერძოდ: ნიცშეს ზეკაცი მან გაიგო არა მარტო ფილოსოფიურ პლანში, არამედ მოგვცა მისი მორალურ-ეთიკური და ამავე დროს ეროვნულ-პოლიტიკური გაგება; დაპყრობილი ერის შვილისთვის ზეკაცი არის მხსნელი, თავისუფლებისათვის მებრძოლი, რომლის ბედისწერა გამარჯვებაა.[13] აქ საყურადღებოა კ. გამსა-

ხურდიას მიდგომა ფილოსოფიისადმი: მის აზრით, ფილოსოფია მაშინ არის ღირებული, როდესაც იგი ერის თავისუფლების სამსახურშია. კ. გამსახურდიასთან ნიცშეს ზეკაცის სხვა ტიპის ინტერპრეტაციებსაც შევხვდებით, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტ მნიშვნელობას იგი ზეკაცის ზემოთ აღნიშნულ გაგებას ანიჭებდა.

ქართული აზროვნების ისტორიაში კ. გამსახურდიამ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ილიას აქტიური ხასიათის ფილოსოფიურ საფუძვლებს და მასში ფრ. ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიის პირველელემენტები დაინახა და იგი ფილოსოფიური განსჯის საგნად აქცია. „ილია თერგს ირჩევს", — წერს იგი, „თერგს — ენერგიას, მთათა დამარღვეველს."[14] შეიძლება ითქვას, რომ ილია ნიცშესგან დამოუკიდებლად მივიდა ფილოსოფიური გაგებით ომის, ცხოვრებასთან და ტანჯვასთან ჭიდილის ნიცშესეული პრინციპების აღიარებამდე, ხოლო ამ კუთხით დიდი ილიას შემოქმედება განჭვრიტა კონსტანტინე გამსახურდიამ. ანალოგიური პათოსი და სულისკვეთება დაინახა მან ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" და ამიტომაც მოეწონა ის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად კ. გამსახურდიას შემოქმედებაში მხოლოდ ნიცშეანურ-დიონისურ მოტივებს ხედავენ ხოლმე და განზე რჩებათ მისი ქრისტიანობა. სინამდვილეში კ. გამსახურდიას ნიცშეს ფი-

ლოსოფიაში აინტერესებდა მისი ქრისტესადმი „ჰოს“ მთქმელი ბუნება, როგორც საწინააღმდეგოთა მორიგების ფილოსოფიური პრინციპი. ვფიქრობთ, რომ ამით იგი თამაზ ბუაჩიძესთან ერთად ერთი პირველთაგანია, ვინც ქართულ ფილოსოფიაში ნიცშეს იდეების პოზიტიურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მას მოსწონს ნიცშეს უჩვეულოდ გულწრფელი პათოსი. ადამიანმა არ უნდა უღალატოს ცხოვრებას, სიცოცხლეს. აქედან მოდის კ. გამსახურდიას გმირების ნიცშეანური „Amor fati“, რომელიც ღრმა მისტიციზმში გადადის, რაც კ. გამსახურდიას პერსონაჟთა მრავალგვარი დახასიათების საშუალებას იძლევა.

ნიცშეანელობის გამო მკვლევართა (და არა მხოლოდ მათი) დიდი ნაწილი კ. გამსახურდიას „იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლად“ მიიჩნევდა. მას ბრალს სდებდნენ „ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში“, „ევროპული მოდერნის“ შემოტანაში და მრავალი სხვა, მაშინ როდესაც კ. გამსახურდიამ ყველაზე კარგად იცოდა ნიცშეს ფილოსოფიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. იგი ნიცშეს ფილოსოფიის ყველაზე ღრმა პლასტების ორიგინალურ ანალიზს იძლეოდა. რაც შეეხება მის მიერ ნიცშეს კრიტიკას, ეს ცალკე საკითხია და მის შემოქმედებაში გვიანდელი პერიოდის თემატიკაა.

# IV
# ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადაფასება; რაციონალიზმის კრიტიკა

კ. გამსახურდიასათვის ფრ. ნიცშეს ფილოსოფიასთან მისასვლელი გზა შოპენჰაუერის ფილოსოფიასა და კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირების ო. შპენგლერისეულ კონცეფციაზე გადის. კ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანის ფანტაზია დაიშრიტა და მის საფლავზე ევროპელებმა აღმართეს „რომანტიზმისა და კრიტიციზმის ანთებული შანდლები".[15] ამ შემთხვევაში იგი, როგორც ბერგსონისა და ნიცშეს მოწაფე, რაციონალიზმის მძაფრ კრიტიკას მიმართავს. მისი აზრით, რომანტიზმი ევროპამ უცბად გადააგდო და ხელში შერჩა მხოლოდ კრიტიკული სული, რომელმაც ყოველივე მოიცვა. ადამიანის „სულში არ დარჩენილა არც ერთი ბნელი კუნჭული, რომელიც გონების რენტგენის სხივებს არ გაენათებინოს".[16] ამას შედეგად მოჰყვა მისტიკისა და მეტაფიზიკის უარყოფა, მისი გამოცხადება გაკოტრებულად — „ფილოსოფიის სილატაკე" გახდა ამ კრიტიკული სულის „პაროლი". კრიტიკულ სულში კ. გამსახურდია კანტისა და ნეოკანტიანელების ფილოსო-

ფიას გულისხმობს, რომელიც, მისი მოსწრებული თქმით, ქარიან ღამეში გაჩენილი ცეცხლივით მოედო ყველას და ყველაფერს.

კულტურის კრიზისს მოსდევს ცივილიზაციის აღზევება, რასაც შედეგად მოჰყვება ადამიანის ტოტალური გაუცხოება, საზოგადოების დესაკრალიზაცია, დემითოლოგიზაცია და დეჰუმანიზაცია, საბოლოოდ, კ. გამსახურდიას თქმით, საქმე იქამდე მივიდა, რომ „ადამიანის სულის სუბსტანციური არსების ხელისშეხება მოინდომეს".[17] იგი გვაწვდის ადამიანის კრიზისული ყოფის აღწერასა და ანალიზს. მისი აზრით, ეს არ არის ლოკალური კრიზისი, იგი მსოფლიო მასშტაბისაა. მისთვის ნიშანდობლივია თანამედროვეობის უარყოფა, პროტესტი და ამბოხი „გადაჭარბებული ინტელექტუალიზმის" წინააღმდეგ, რაც საქართველოში ევროპიდან შემოვიდა.[18] გადაჭარბებული ინტელექტუალიზმი საბოლოოდ უპირატესობას ხელოვნურ ინსტინქტებს ანიჭებს და დაცლილია ყოველგვარი სულიერებისაგან. ამის სიმბოლოდ კ. გამსახურდია მიიჩნევს ამერიკანიზმს და ყურადღებას ამახვილებს ევროპის ამერიკანიზაციაზე. ამერიკულ ფილოსოფიაზე მსჯელობისას მას ანგარიშგასაწევ მოაზროვნედ მიაჩნია უ. ჯეიმზი, იმიტომ რომ ჯეიმზის პრაგმატიზმს ღრმა ირაციონალიზმი და სპირიტუალიზმი უდევს საფუძ-

ვლად, თუმცა ამერიკული ცივილიზაცია ამ გზით არ განვითარებულა.

ცივილიზაციის ნიშანთაგან უპირველესია „წრეგადასული რაციონალიზმი და სკეპტიციზმი“, მატერიალური ფასეულობების გაფეტიშება, მოუსვენარი ქალაქური ცივილიზაციის ბატონობა;[19] ყოველივე ეს XX საუკუნის ადამიანის „ველური პსიხოზია“. კ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ „ამ უსაშველო პროგრესული მექანიზაციის სული არა ერთსა და ორ სულიერ ჰეროლდს გამოუწვევია ხმალში და მათ შორის უდიდესის, ფრიდრიჰ ნიტცშეს გმირული ცხოვრება ამ ინტელექტუალური დუელის მსხვერპლი გახდა. ნიტცშე ამ აზრით სრული ანტიპოდია კარლ მარქსისა“.[20]

ნიცშეს აზროვნების შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო თემაა ნიცშესა და მარქსის მიმართების საკითხი; კ. გამსახურდიას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: მარქსი — ეს არის ცხოვრებაში ჩაძირვის, მატერიალურით ტკბობის სიმბოლო, რაც ნიცშეს მებრძოლ სულს ეწინააღმდეგება. ნიცშემ, კ. გამსახურდიას მიხედვით, მოიტანა სრულიად ახალი ტიპის ირაციონალიზმი. ყოველგვარი სულიერებისა და რელიგიის უარყოფის შედეგად გადაგვარებულ ეპოქაში გამეფებულია „სოციალიზმის რელიგია“. კაცობრიობას, ადამიანს ეშინია საკუთარი თავის, ამიტომაც უმძიმს რეალობისათვის თვალის გასწორე-

ბა და ანალიზის გაკეთება. ეს მხოლოდ ნიცშემ შეძლო. „ჩვენ დროს ისეთი დიდი მუსიკოსები აღარ ჰყავს, როგორებიც იყვნენ რიჰარდ ვაგნერი და სებასტიან ბახი, არც დიდი სტილის ფილოსოფიაა, არც დიდი სტილის ხელოვნება. ჩვენი ეპოქის პოეტები პროტოკოლისტები არიან, მისი მემუსიკენი – მთარგმნელები, მისი მოაზროვნენი – უნაყოფო ფელეტონისტები, მისი ხელოვანნი – კაბარეს მოშაირენი და ჭლექიანი ბოჰემელები".[21] ამ საშინელ და ცივ სამყაროში, კ. გამსახურდიას მიხედვით, შრომაც კი შეიცვალა, მან დაკარგა შემოქმედებითი ხასიათი და „უმიზნო, იდიოტურ ხელების ქნევად იქცა," დაიკარგა შემოქმედებით მონიჭებული სიხარულის განცდა. ტექნიკამ შთანთქა ადამიანი და მისი „ბორკილი გახდა." კ. გამსახურდია აანალიზებს ტექნიკური გაუცხოების ტოტალურ ხასიათს და საჭიროდ მიიჩნევს ტექნიციზმისა და რაციონალიზმის ყალბი ტრადიციებისაგან განთავისუფლებას, რისკენაც კაცობრიობას მოუწოდებს ნიცშე.

ადამიანი მოსწყდა „ღვთაებრივ გულუბრყვილობას", დაკარგა ცხოვრების მიზანი და საზრისი. ასეთ შემთხვევაში, კ. გამსახურდიას თქმით, კაცობრიობას მხსნელად მოევლინა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია, რომელიც, მიუხედავად სიძნელისა, ბრმად არ უნდა იქნეს მიღებული და გააზ-

რებული. „დღევანდელი, უახლესი თაობა მწერალთა და მგოსანთა ევროპაში სამი დიდი ფილოსოფოსის იდეურ სამყაროდან სესხულობს მოტივებსა და იდეებს. პირველია ნიცშე გერმანიაში, საფრანგეთში მისი მონაფე ბერგსონი, ხოლო ანგლოსაქსურ ქვეყნებში პრაგმატისტი ჯეიმსი".[22] ნიცშე პირველია, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა კანტს. კ. გამსახურდიას, როგორც ნიცშეს მიმდევარს, მიაჩნია, რომ კანტის კრიტიკული ფილოსოფია ანტიმეტაფიზიკურია და ადამიანის ფანტაზიას გასაქანს არ აძლევს. გარდა ამისა, კანტისათვის დამახასიათებელია მთელ რიგ საკითხებში პოზიციის ცვალებადობა. ამიტომაც კ. გამსახურდია მხარს უჭერს ევროპულ ფილოსოფიაში ნიცშეს მიერ დაწყებულ ინტელექტუალურ ამბოხს. ევროპულ ნიჰილიზმში ნიცშე კი არა, კანტია დამნაშავე. მისმა კრიტიციზმმა შემოქმედებითი ძალები გამოაცალა ევროპულ ფილოსოფიას. მან გამოშიგნა ფილოსოფიური აზროვნება, რომლისგან ჩონჩხის მეტი არაფერი არ დარჩა. კანტზე უფრო დიდი ავტორიტეტები კ. გამსახურდიასათვის არიან ნიცშე და ბერგსონი. ბერგსონში იგი აფასებდა მის ბრძოლას „შემეცნებით თეორიული რაციონალიზმისა და მექანისტური დეტერმინიზმის წინააღმდეგ".

კ. გამსახურდიას თქმით, ნიცშე ახალგაზრდებს მოუწოდებს „ზელოგიურობისა-

კენ",[23] ძველი სამყაროს ნგრევისაკენ. ამას მოჰყვება ცხოვრების ღრმა პლასტებისათვის – მითოსური, მისტიკურ-რელიგიური და სხვა – „პირის ჩენა", ლტოლვა კოსმიურობის შეგრძნებისაკენ, რაც რელიგიური ეგზალტაციის ტოლფასია; ეს არის ეპოქის დემონის მოთხოვნა: „ღირებულებათა გადაფასება". ამის კონკრეტულ ნიმუშად იგი მიიჩნევს შპენგლერის წიგნს „ევროპის დაისი", თუმცა აღნიშნავს, რომ მსგავსი იდეა შპენგლერისაგან დამოუკიდებლად საქართველოში გ. ქიქოძეს ჰქონდაო. კ. გამსახურდიას აზრით, ეს იგივე კულტურის კრიზისია, რადგანაც ახალ ფილოსოფიაში კულტურა წარმოდგენილია ისტორიის სუბიექტისა და ღირებულებათა კომპლექსის სახით. იგი მიიჩნევს, რომ კულტურა სულის მეტყველებაა, სულის ფორმადქმნაა, უფრო სწორად – „ფორმადქმნილი სულობა", ხოლო ცივილიზაცია კულტურის ენტროპიაა.

კ. გამსახურდია სიცოცხლისა და ბრძოლის ნიცშეანურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს თავის „მეტაფიზიკოსის დღიურში", როდესაც წერს: „ბავშვები სხედან ზღვის ნაპირზე, ბავშვები უდარდელად მღერიან, იღებენ პეშვით ოქროვან ფხვიერ ქვიშას, თითსა და თითს შორის სრიალდება ქვიშა, ბავშვები თამაშობენ, ბავშვები თავს იქცევენ, ქვიშა მოძრაობს თამაშში და ნებივრობაში. ასე მოძრაობს მსოფლიო ენერგია ზე-

ვიდან ქვევით, მარცხნით და მარჯვნით, არსად წინ, არსად უკან, არსად ზევით, არსად მიმართულება, არსად მიზანსწრაფვა".[24] აქ ნიცშეს სტილშია აღწერილი სიცოცხლე – მოძრაობა, რომელიც მარადიულია. ყველაფერს, თვით ყველაზე მკაცრ ასკეტიზმსაც კი ადამიანის ცხოვრების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა ასულდგმულებს. ამ შემთხვევაში კ. გამსახურდია იცავს ჰეგელის პანლოგიზმის საპირისპირო პოზიციას, რომელიც უარყოფს ტელეოლოგიზმს და სრულ გასაქანს აძლევს ირაციონალურ ძალებს. ამდენად, ნიცშესთან ერთად კ. გამსახურდიას გატაცების საგანია მეომრად დაბადებული ნაპოლეონი, მისი „აქტიური ჰეროიზმი", რომელთან შედარებით „ფრიდრიჰ ნიცშე რომანტიზმით შეპყრობილი დონ კიხოტი იყო, რომელიც ქრისტიანიზმის ქარის წისქვილებს ებრძოდა დასავლეთ ევროპაში".[25] მისი აზრით, ევროპაში არასოდეს არ არსებულა ქრისტიანული თანაგრძნობითი მორალი, „აქ მუდმივი ღირებულება მხოლოდ კაჟის ადამიანებს აქვთ, აქ მამაკაცური ელემენტი სჭარბობს ყველგან, ეს „ქერა ბესტიების" ქვეყანაა".[26] ევროპა ყოველთვის ირყეოდა ქალურ და მამაკაცურ საწყისებს შორის, აქ ა. მაკედონელის დროიდან დაწყებული ყოველთვის სახეზე იყო გაორება. მაკედონელიც გაორებული პიროვნება იყო. მასში ერთდროულად ცხოვრობდა მეოცნე-

ბე და კეისარი, ისევე როგორც ნაპოლეონში – გოეთეს ვერტერით გატაცებული რომანტიკოსი და შეუბრალებელი ტირანი. ეს ყველაფერი ნიცშეს ქრისტედ და დიონისედ გაორების მსგავსია. ამის მიზეზად კ. გამსახურდია სიცოცხლის სტიქიას მიიჩნევს: სიცოცხლის, როგორც ნების. ეს ყველაფერი სიცოცხლის ბუნებაში დევს. ამის გათვალისწინებით ნიცშეს მიზანი გრანდიოზულია. მას სწადია „მთელი ადამიანობის ბედისწერის ხელში აღება და მსოფლიოს გადაკეთება".[27]

კ. გამსახურდიას აზრით, ნიცშემ „ღირებულებათა ხელმეორედ გადაფასების" თეორიით მთავარი ძარღვი მოძებნა იმ პრობლემისა, რომელიც კაცობრიობას ყოველთვის აღელვებდა. ეს არის რუსოს მიერ დაწყებული საქმე – „ცივილიზაციური კონვენციების" უარყოფა და „უკან, ბუნებასთან დაბრუნება": ეს იყო რუსოს მიერ დაწერილი „ახალი სახარება". ნიცშე უფრო შორს წავიდა და ევროპას „ნიჰილიზმის მეორედ მოსვლა" ახარა, რასაც კ. გამსახურდია ევროპული კულტურის „კვირაძალს" უწოდებს.

კ. გამსახურდიას დროს გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ფრ. ნიცშე რელატივისტი და დეკადენტია. ამ მოსაზრებას იგი არ ეთანხმებოდა. მას მიაჩნდა, რომ ეს ყალბი ინტერპრეტაციაა ნიცშესი.[28] თუ ნიცშე რელატივისტია, მაშინ ეს შეუთავსე-

ბელი იქნება მის ჰეროიზმთან, რომელიც წარმოუდგენელია აბსოლუტური მორალის გარეშე. ეს ასაზრდოებს ტრაგიკულ სულს. ტრაგედია კვდება მაშინ, როდესაც მას რელატივიზმი შეეპარება. გარდა ამისა, ნიცშესთან ნებისყოფა სუვერენული ფენომენია, რომლის გარეშე შეუძლებელია წარსულის კრიტიკული შეფასება და აწმყოს დაძლევა.

* * *

„ნიცშეს ენადა: ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოშობილიყო, რომელიც თავის ძლიერი ნებისყოფის, დიდი ცოდნის და გავლენის წყალობით ევროპის დიდს დემოკრატიას მოიხმარდა, ვითარცა მოქნილ იარაღს, მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად, მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად".

კონსტანტინე გამსახურდია

## V
## „ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან"

ასე ეწოდება კ. გამსახურდიას გენიალურ ფილოსოფიურ ნაშრომს, რომელიც ეძღვნება ნიცშეს. ის მთლიანად ნაცშეანურ სტილშია დაწერილი და ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. „მითი";
2. „გენეალოგია";
3. „მუსიკა";
4. „მისტიკა".

ნიცშეს ფილოსოფიას გამსახურდია ორ ნაწილად ყოფს. პირველია ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან და მეორე — ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან.

ნაშრომის პირველი ნაწილი – „მითი" ორიგინალური შესავალია ნიცშეს ფილოსოფიის გასაგებად. ე. კასირერის მსგავსად, კ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ ადამიანი არის მითის შემქმნელი არსება, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ თავად იქცევა მითად, უფრო სწორად, მითურ არსებად, ამიტომ „ყოველი ადამიანი ადამიანობის ხსოვნაში რჩება, როგორც მითი".[29] გენიალური ადამიანები ხსოვნაში ლეგენდით იმოსებიან და შემდეგ მათი წყალობით იკ-

ვლევენ გზას ჩვენამდე. ნიცშეს ტიპის ადამიანები იშვიათია და ამიტომაც მათ შეშვენით მითოსის სამოსელში გახვევა.[30] ამით კ. გამსახურდია ნიცშეს პიროვნების მითოლოგიზებას ახდენს, რასაც მოსდევს ნიცშეს პიროვნების დახასიათება. კერძოდ: „ნიცშეს ცალი ფეხი მეცხრამეტე საუკუნეში ედგა, ადამიანები, რომელთაც ორი საუკუნის მიჯნაზე უხდებოდათ მოქმედება, მუდამ ატარებენ ორმაგობის ბეჭედს".[31] კ. გამსახურდია ამბობს, რომ ნიცშე ჩვენთვის ყოველთვის იქნება „ანერ დიპსიხოს" – ორსულიანი. „ორი საუკუნის მიჯნაზე მდგარ ნიცშეს გულშიაც „ორი სული" ცხოვრობდა".[32] „ამიტომაც საოცარია, რომ ნიცშე, წარმომადგენელი ევროპული ნიჰილიზმისა, ამავე დროს დამფუძნებელია ახალი დიდი რელიგიისა, რომლის იოანე ნათლისმცემლად ვიზიონერული სახე ზარატუსტრასი უნდა ჩაითვალოს".[33] აქ რელიგია არ უნდა გავიგოთ ჩვეულებრივი აზრით. კ. გამსახურდია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას მეტაფორულ მნიშვნელობას ანიჭებს და არამც და არამც არ წარმოადგენს ნიცშეს, როგორც ახალი რელიგიის შემქმნელს. პირიქით, ნიცშეს შესახებ იგი ამბობს, რომ იგი არის „გზის გამკაფავი დასავლეთის ფაუსტური სულობის ახალი კულტურფილოსოფიისა რომელსაც ამშვენებს ერთგვარი ლუციფერული სიჯიუტე და სიამაყე".[34] ეს კი ნიცშეს ფილოსოფიის არა რელიგიუ-

რი, არამედ კულტურფილოსოფიური ინტერპრეტაციის მაგალითია. ამ შემთხვევაში კ. გამსახურდია ერთმანეთს ადარებს გოეთესა და ნიცშეს: გოეთე სიბნელიდან სინათლისაკენ მავალია, „ხოლო ნიცშე იმ თაობის მასწავლებელია, რომელიც, ისეთივე ვნებით ეტრფის და ელტვის ამ სიბნელეს, როგორც გოეთე და მისი თაობა სინათლეს ეტრფოდნენ".[35] თუმცა „ანტიქრისტიანის" ავტორი მაინც „სიბნელის მისტიკოსად" დარჩა, რომელიც, როგორც აკრძალული ხის ნაყოფი, დემონურად მიმზიდველია. ამ შემთხვევაში სიცოცხლე წარმოდგენილია მისტიკურ პლანში - როგორც სიბნელე, რომელიც ამავე დროს სინათლესაც მოიცავს. სიცოცხლე, როგორც ასეთი, თავის თავში აერთიანებს სინათლეს და სიბნელეს, დიონისურსა და აპოლონურს. ნიცშეს „ამოსავალი წერტილი იყო ეს მისტიკური სიბნელე, მისი ნიღაბი - ბნელთვალებიანი ღმერთი დიონისოს, შეიძლება იგი თვით იყო არა მარტო ნიღაბი დიონისოსი, არამედ ღმერთი დიონისოს - ორჯერ დაბადებული".[36]

ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელსაც „გენეალოგია" ჰქვია, საინტერესოდაა გადმოცემული ნიცშეს ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები. კ. გამსახურდიას თქმით, გოეთეს მსგავსად ნიცშეც ციდან ჩამოვარდნილს ჰგავს. აქ საქმე გვაქვს ნიცშეს ბიოგრაფიის მისტიფიკაციასთან.

ჩვეულებრივი გაგებით ნიცშეს ბიოგრაფია მრავალი უცნაურობის შემცველია. მათგან ერთ-ერთია კანტთან ნათესაობა და საკუთარი არისტოკრატულობის ლეგიტიმაცია, რასაც კ. გამსახურდია მის ჰიბრიდულ ბუნებას და ახირებულ ხასიათს მიაწერს, „რომელსაც კატილინასებური ილეგიტიმურობის“ ელფერი დაჰკრავს. კ. გამსახურდია ხაზს უსვამს ნიცშეს ძლიერ ნებისყოფას და ფორტას სასწავლებელში შერქმეული ზედსახელის („პატარა პასტორი“) შესაბამისობას ფაქტობრივ ვითარებასთან. იგი განრიდებული იყო ყოველგვარ ამქვეყნიურ გართობას. ნიცშეს გაორება იწყება „უცნობი ღმერთის“ ძიებით, რომელსაც მან ლექსიც კი მიუძღვნა, ხოლო ზარატუსტრა, კ. გამსახურდიას თქმით, არის ნიცშეს შვილი, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის უკანასკნელი პოეტი, უკანასკნელი ფილოსოფოსი, „უკანასკნელი ღმერთის უკანასკნელი ნიღაბი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ „ღმერთი მოკვდა“.[37] ნიცშეს ზარატუსტრა ერთი ეპოქის შვილი არ არის, არამედ იგი „ასეული წლების სანიშნოებს უმიზნებს“. მართალია, იგი მოციქულია ანტიქრისტესი, მაგრამ მაინც ყველაზე გულწრფელად ამბობდა: რომ „ქრისტე ჯვარზე – უზენაესი და უმშვენიერესი სიმბოლოა“, ამიტომ მის ჰიბრიდულ ბუნებაში ჩვენ გვაინტერესებს მისი „ჰოს“ მთქმელი, ღვთიური ნახევარი.

დიონისე – თრობისა და შვების ღმერთი, ქრისტიან, პროტესტანტ ნიცშეს სხვაგვარად ვერ წარმოედგინა, თუ არადა ჯვარზედ. „ჯვარცმული დიონისოს" – ეს ერთი უკანასკნელი წინადადებათაგანია მომაკვდავი ნიცშესი. „მას ისე ღრმად ჰქონდა ჯვარზე გაკრული იესოს ვიზიონერული სახე გულში აღბეჭდილი, რომ თვით ელადური შვების მახარობელი ღმერთიც ჯვარს აცვა თავის ჰიბრიდულ წარმოდგენაში".[38] ნაშრომის ეს ნაწილი მთლიანად ნიცშეს სტილშია დაწერილი.

ნაშრომის მესამე ნაწილია „მუსიკა". მასში განხილულია მუსიკისა და ირაციონალური აზროვნების, ფილოსოფიის ურთიერთობის საკითხი; გარკვეულია მუსიკის როლი და მნიშვნელობა ნიცშეს ფილოსოფიაში, რადგანაც „ტრაგედიის დაბადებაში" მუსიკის როლი გრანდიოზულია. ამ ეტაპზე ცნებითი აზროვნება – ფილოსოფიაც და პოეზიაც კი ნიცშესათვის პათოლოგიაა, თუმცა თავისებურია მუსიკასთან ნიცშეს მიმართება. თუ შოპენჰაუერისათვის მუსიკა სამყაროს მისტერიის უშუალო მეტყველებაა, ნიცშესთვის, ამბობს კ. გამსახურდია, „მუსიკა გედის სიმღერაა როგორც პიროვნების, ისე მთელი ეპოქის".[39] მისი აზრით, ნიცშეს აზროვნებას და ფილოსოფიას, გოეთესაგან განსხვავებით (კათოლიციზმის პლასტიკა), ლუთერანიზ-

მის მუსიკალურმა კულტურამ მისცა თავისებური გეზი. მის ალოგიზმში მუსიკაა დამნაშავე. იმდენად მძლავრი იყო მასში პოეტური ბუნება, რომ იგი ვერასოდეს ვერ გახდებოდა სისტემატიკოსი მოაზროვნე; ამით იყო გამოწვეული ვაგნერით გატაცება და მასზე გულის აცრუება. ნიცშესთვის ბრძენ სოკრატეს არანაირი ღირებულება არ გააჩნია, თუ იგი მუსიკის გზით დიონისედ არ გადაიქცა. ამ აზრით, მისი თანადროული ევროპული ცივილიზაცია ნიცშესათვის ანტიმუსიკალური ფენომენია. მუსიკის გარეშე, ამბობს კ. გამსახურდია, ნიცშეს ფილოსოფია წარმოუდგენელია. „მუსიკა ღვთაებრივი ენაა ბნელს დანთქმული ეპოქისა... მუსიკისა და მისტიკის კენტავრი იყო თვით ნიცშეც".[40] ვაგნერი წერდა: მასთან საუბრებმა „ნიცშეს მასალა მისცეს ლექციების მთელი ციკლისათვის; ლექციებისა, რომლებიც მან ბაზელში წაიკითხა და რომლებიც შემდეგ 1872 წელს გამოცემულ მის წიგნში გაერთიანდა სათაურით: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან"... ნიცშეს ლექციებში ჩემი სახელი არ მოუხსენიებია, მაგრამ სავსებით ნათლად ჩანდა, რომ ლაპარაკი იყო ჩემს შემოქმედებაზე".[41] გარკვეული დროის შემდეგ ნიცშე უარს ამბობს ვაგნერის მუსიკაზე. მის შემოქმედებაში მისტიკის ეპოქა იწყება, თუმცა მან ბოლომდე მაინც ვერ დააღწია თავი „მუსიკის დემონს".[42]

ნიცშეს ფილოსოფიის საკვანძო საკითხებია განხილული ნაშრომის მეოთხე ნაწილში „მისტიკა“. აქ კ. გამსახურდია ნიცშეს ფილოსოფიის ორიგინალურ გააზრებას გვთავაზობს. კერძოდ, მისი აზრით, შოპენჰაუერის (ნიჰილიზმი) და ვაგნერის (ამაღლებული მუსიკა) ვასალობისაგან განთავისუფლებული ნიცშე გოეთეს გავლენის ქვეშ ექცევა. იგულისხმება „ფაუსტის“ მეორე ნაწილის გოეთე, ეკერმანთან მოსაუბრე ვაიმარელი ბრძენი.

ნიცშეს შემოქმედებაში მუსიკას მისტიკა ჩაენაცვლება. სინამდვილეში აქედან იბადება ტრაგიკული სული. ამას თავისი საფუძველი აქვს. კ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ ეს მოსალოდნელიც კი იყო, რადგანაც ნიცშესთან გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცევა ადამიანი „ზეკაცად“. დიდი შუადღე, როდესაც ერთი გაორდა და ზეკაცი „დაიბადა“, არის მისტიკური აქტი, რომლის ახსნა, რაციონალიზაცია შეუძლებელია. „ზარატუსტრა წინასწარმატყველური გაშიშვლებაა პიროვნების და მისივე ემპედოკლესეული გადასვლა ზეინდივიდუალურში, აქ იხატება დიონისოს თავი სმარაგდის მთიებით მოსილი“.[43-44] ეს კანტისაგან განსხვავებული ნიცშეანური მოდელია, სადაც ადამიანი მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება, ხიდი ზეკაცისაკენ მიმავალ გზაზე. ზარატუსტრა, ზეკაცი, დიონისე, კ. გამ-

სახურდიას მიხედვით, ეს ერთი და იმავე სუბსტანციის — სიცოცხლის ნილბებია. სიცოცხლე მისტიკური აქტია. სიცოცხლის ყველაზე ღრმა შრეები ყოველთვის ლოგიკურად გაუგებარი დარჩება ადამიანისათვის.

ორიგინალურია კ. გამსახურდიას მიერ მისტიკის გაგება. ისტორიულად ცნობილია, რომ ინდივიდი სხვადასხვა გზით ცდილობს მეტაფიზიკურ ძალასთან კავშირის დამყარებას და სრულყოფილების მიღწევას. ერთ-ერთი ასეთი გზა არის ელევსინური მისტერია, კერძოდ დიონისეს მისტერია, რომელიც ინიციაციის რიტუალი და ნებაყოფლობითი აქტია. მისი მიზანი ბედნიერებაში ცხოვრება და უკეთესის იმედით სიკვდილია. ეს ისეთი აქტია, რომელიც ვერბალიზაციას არ ექვემდებარება, რადგანაც აქ მთავარია ხილულის განცდა და ვნება, ამიტომ ნიცშე ვერ აგვიხსნის ზარატუსტრას დაბადებას. ეს წამიერი აქტია... ეს ის წამია, რომლის შეჩერება სურდა გოეთეს. ამიტომაც, კ. გამსახურდიას აზრით, დიონისეს კულტი ნიცშესთან მისტერიული შინაარსის მატარებელია. აქ საქმე გვაქვს ოკუმენურ მაგიასთან და ოკუმენურ სიგიჟესთან (დიონისური სიგიჟე). ეს არის ბერძნული ტრაგედიის წყარო, რაც „რელიგიური მისტეს" ტოლფასია. იგი დაკავშირებულია ხილვასთან, ტანჯვასთან და დუმილთან. ამით კ. გამსახურდია ქართულ ფილოსოფიაში ერთ-ერთი პირველია, ვინც ნიცშეს

ფაუსტურ ინტერპრეტაციას იძლევა, სადაც პრიორიტეტულია ტანჯვიდან ხელმეორედ შობის იდეა და უხილავის ჭვრეტა რაციონალური შემეცნების ადგილს იკავებს, ხოლო თავად ნიცშე წარმოგვიდგება, როგორც განდობილი, ადეპტი.

* * *

**„რაც დიდია ადამიანში ეს არის ის, რომ იგი ხიდია და არა მიზანი, ის, რაც სიყვარულის ღირსია ადამიანში, ეს არის ის, რომ იგი გადასვლაა და დაღუპვა..... მე მიყვარს იგი, ვინც ღმერთს მოაქცევს, რადგან მას უყვარს ღმერთი თავისი, ვინაიდან იგი უნდა დაიღუპოს თავის ღმერთის რისხვისაგან“.**

**(„ზარატუსტრას“ წინათქმა)**
**კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი**

## VI
## „დიონისოს ღიმილი“

კ. გამსახურდიას ეს რომანი არის ნიცშეს აპოლოგია და ამავე დროს ნიცშეანელობის კრიტიკული გააზრება, ნიცშეს იდეების ფილოსოფიურ-მხატვრული ანალიზი, სადაც ერთი, მყარად ჩამოყალიბებული პოზიციის პოვნა ძალზე ძნელია. მწერლის მიმართება ნიცშესადმი გაორებულია, თუმცა კ. გამსახურდია ამბობს, „მე ნუ მომაწერთო კონსტანტინე სავარსამიძის ყველა ცოდვას“. ეს იგივეა, რაც: *„მე არ მომთხოვოთო ნიცშეს ცოდვებზე პასუხი“*.

ღრმად სიმბოლურია ნაწარმოების სათაური: რომანის მთავარი გმირი ნიცშესავით ღმერთის მაძიებელია. იგი ღმერთს თავის თავში ეძებს და ამ ძიების პროცესში „ხდება გაორება, პიროვნების ორად გაყოფა: ქრისტე და დიონისო“.[45] იგი არჩევანს ვერ აკეთებს, მუდმივად ირყევა ქრისტესა და დიონისეს, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. „ორსქესიანი ღმერთი“ დიონისე კ. გამსახურდიასათვის სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა. საინტერესოა აგრეთვე რომანის მთავარი გმირის გვარის სიმბოლიკა. „სავარსამიძეში“ დომინანტურია ტრინიტარული ბუნება და ხასიათის ისეთი თავისებურება, რომე-

ლიც უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე ტრადიციული დუალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ ორსულიან არსებაში ქრისტე იმარჯვებს; სიმბოლურია „ღიმილის“ გაგებაც, რაც წარმოდგენილისა და წარმოუდგენლის დამთხვევაა; წარმოუდგენელია ნიცშეს ღიმილი, ისევე როგორც დიონისოსი; „კონსტანტინე სავარსამიძემ დიონისეს უამრავი ქანდაკება ნახა, მაგრამ მოღიმარი დიონისე არსად შეხვედრია, თუმცა იგი თრობის, ლხენის და შვების ღმერთია“.[46] დიონისოს „ღიმილის“ უკან ყოფიერების იდუმალება იმალება. გარდა ამისა, დიონისეს კულტში კ. გამსახურდიამ ქართველი კაცის უსაზღვრო სასიცოცხლო ენერგიული პოტენციალი დაინახა, რომელსაც (საჭიროების შემთხვევაში) თავისუფლების მოტანა შეეძლო საქართველოსთვის.[47]

ორიგინალურია „ზეკაცის“ კ. გამსახურდიასეული გაგება. ზეკაცი არის კონსტანტინე სავარსამიძე არა იმიტომ, რომ სროლაში ადამიანზე ვარჯიშობს, არამედ ზეკაცი არის „რჩეული“ ადამიანი, რომელიც ერის და პიროვნების თავისუფლებისათვის იბრძვის. იგი ქრისტიანობაშიც მებრძოლ, მიქაელურ საწყისებს ეძებდა. ნიცშეს ზარატუსტრას პროტოტიპია ტაია შელია, ზეცისკენ მომზირალი „მინის კაცი“, რომელიც ცდილობს ზეცას კიბე მიადგას, შეუძლებელი შეძლოს და ადამიანობის

საზღვრებს გასცდეს. შედეგი კი სავალალოა. ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაარღვიოს ტაბუ („ვაშინერს"), არ გადააბიჯოს ადამიანობის სამანს, თორემ ვერც ღმერთს იპოვის, ვერც სიყვარულს და ცხოვრების საზრისიც დაეკარგება. კ. გამსახურდია „თავისი ნაწარმოებით დიონისურ-ტრაგიკული მსოფლგაგების საშიშროებაზე მიუთითებს".[48] რომანის დასასრულს განაჩენია გამოტანილი ამ ფილოსოფიისათვის. კ. გამსახურდიას მიხედვით, ნიცშეს ხვედრი პრომეთესა და ამირანის ხვედრია, რომლებიც ღმერთს ერკინებიან. თავად კონსტანტინეც ხომ ბიბლიური „იაკობივით ებრძვის" ღმერთს.

„დიონისოს ღიმილში" ნიცშეს ფილოსოფიის ძირითადი პოსტულატები კ. გამსახურდიას მიერ პრობლემათა ღრმა ცოდნითა და ლაკონიურობით არის გადმოცემული. ერთ-ერთია: ნიჰილისტური ფილოსოფია, ოღონდ ნიცშეს ნიჰილიზმთან დაკავშირებით კ. გამსახურდია იცავს მოსაზრებას, რომ ეს არ არის ნიჰილიზმი გავრცელებული აზრით. ნიცშეს ნიჰილიზმი არის გარდამავალი მდგომარეობა, ძველის, დრომოჭმულის გადალახვა. ამ ტიპის ფილოსოფიური იდეის იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სიბრტყეში გადატანით არსებული რეალობა მუქ ფერებში წარმოჩინდება. ამით ნიცშეს ფილოსოფიას კ. გამსა-

ხურდია ეროვნული ინტერესების სამსახურში აყენებს.

მეორე ამოსავალი პრინციპია ნიცშე, როგორც სიცოცხლის აპოლოგეტი. ისევე როგორც ნიცშეს, კ. გამსახურდიას ნაწარმოებებიც სიცოცხლისადმი მიძღვნილი ჰიმნია. თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამორიცხულია ობივატელური მორალის მიღება, მორალისა, რომელიც თვითკმაყოფილებით ამოიწურება. ამიტომაც ნიცშესთვის ერთმანეთთან არის გაიგივებული მორალისა და თვითკმაყოფილების კრიტიკა. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული მოვლენაა ზეკაცი, რომლისთვისაც უეჭველია მხოლოდ საკუთარი სიმართლე.

„დიონისოს ღიმილის“ უამრავ ინტერპრეტაციას შორის ძალზე საყურადღებოა ზ. გამსახურდიას მოსაზრებები. კერძოდ, იგი არ უარყოფს კონსტანტინეს ნიცშეანელობას, მაგრამ მიაჩნია, რომ კ. გამსახურდიას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი არის ქრისტიანობა, უფრო სწორად, მიქაელური ქრისტიანობა და ამით არის განპირობებული მისი ნიცშეანელობაც. „მასაც შეეხო ეპოქის სენი. ესთეტიზმის, ნიცშეანიზმის და დიონისოს სამსალა მასაც ჩაეწვეთა სულში. ამ ეპოქიდან იწყება მასში გაორება, რაც აირეკლა მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილი“, როგორც გმირის გაორება ქრისტე-დიონისოს შორის. ეს გაორება ტრადიციულია და, ამა-

ვე დროს, ეს არის მისი თანამედროვე ევროპული კულტურის სახე. ესაა გაორება იულიანე აპოსტასისა, გოეტესი, ვაგნერისა, ნიცშესი. ამ გაორებამ დაღი დაასვა ქართულ სულიერ კულტურას, მითოსურ შემოქმედებას, ხალხურ რელიგიურ მრწამსს".[49] ნიცშეს ფილოსოფიის კონსტანტინე გამსახურდიასეული მისტიკური ინტერპრეტაციის გასაღებს წარმოადგენს ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისი. ზვიად გამსახურდია ამბობს, რომ ქვენა ინსტინქტები ანუ დიონისე დაიძლევა ინიციაციის გზით, რომელიც ერთგვარი მისტიკური აქტია. ამიტომაც გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ ჰქვია კონსტანტინე გამსახურდიას ნაშრომს „ტრაგედიის დაბადება მისტიკის სულიდან". გარდა ამისა, საინტერესოა ზვიად გამსახურდიას კონცეფცია, რომლის მიხედვით „ვეფხი არის სინონიმი დრაკონისა... ე.ი. სიმბოლო ქვენა ინსტინქტებისა, რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე" ინიციაციის გზაზე", „დიონისეს პროცესებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხვი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია";[50] ტროას გმირებსაც ვეფხვის ტყავი მოსავთ, ვეფხისტყაოსანი ქურუმები ცნობილია ეგვიპტურ ისტერიებშიც. ვფიქრობთ, რომ აქ კომენტარები ზედმეტია. ზვიად გამსახურდიას მიერ ყველაფერი ნათლად და გასაგებადაა ნათქვამი. აქ სახეზეა ევროპული კულტურის ფაუსტური გაორება, რასაც

საქართველოში დიდი ხნით ადრე ჰქონდა ადგილი. „ჩვენში დიონისე დიონისეს სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობდა. ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა, ქრისტე-ნაზარეველსა და ზარატუსტრას შორის დადგომამ იხსნა. ეს გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა და ჩვენი ბუნებისა უებარ მალამოდ ენამლა ჩვენსავე ეროვნულ არსებობას"[50]. ამ გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ღიმილში". კ. გამსახურდია მიიჩნევდა, რომ ნიცშესავით ამ ტრაგედიიდან უნდა შობილიყო გმირული ქართული სული. ეს ტრაგედიაა მოცემული „მთვარის მოტაცებაშიც". ესაა ორეულის ტრაგედია. ქრისტეს იმპულსი – ყველაფრის მიმართ უნივერსალური სიყვარული, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, დემონური საწყისი ებრძვის ერთმანეთს.[51] ამ ბრძოლაში დიონისეს წარმართული კულტი მარცხდება. ნიცშეს უკანასკნელი სიტყვები: – „მაინც მაჯობე, ნაზარეველო! სწორედ ამაზე მეტყველებს. აქ კონსტანტინე გამსახურდია გვაჩვენებს იმას, თუ როგორ არ უნდა იაზროვნოს კაცმა. მისი რელიგიურობა ზეკაცთა და რჩეულთა შემოქმედების ტოლფასია, რომლის საბოლოო მიზანი არის თეოზისი; ხოლო რაც შეეხება მის ღმერთმებრძოლობას, იგი უნდა გაგებულ იქნეს მაისტერ ეკჰარტის მსგავსად. ამ გაგებით ებრძოდა ღმერთს ის ერი, რომელიც დიდმა კონსტანტინემ იაკობს შეადარა. ნიც-

შეს მსგავსად, კ. გამსახურდია თვლის, რომ ღმერთი კი არ მოკვდა, არამედ ობივატელმა ადამიანებმა მოკლეს იგი, იმიტომ რომ ის არ ყოფილიყო მათი დებილობისა და დეგენერატობის მოწმე.[52]

* * *

**„ნიცშე შეწირულია ღმერთის დიონისოსი, რომელიც ალივით დაიწვა“.**

* * *

**„... დღეს გმირობა მხედრისა ყოველ მდაბიო მოქალაქეს ისე ვერ გააკვირვებს, როგორც თავის ყალიონიდან ამოსული კვამლი“.**

**კონსტანტინე გამსახურდია**

# VII
# ფრ. ნიცშესადმი მიძღვნილი ლექსები

კ. გამსახურდიამ 1911 წელს „სახალხო გაზეთში" გამოაქვეყნა ლექსი „ზეკაცი", ხოლო 1922 წელს ჟურნალ „ილიონში" — ლექსი „ფრიდრიჰ ნიცშეს", რაც მის ნიცშეანელობას უეჭველად ადასტურებს.

ლექსში „ზეკაცი" აშკარაა ძლიერების კულტი. ნიცშეს ზარატუსტრასავით ავტორი მოწყვეტილია „ყოფნის მთებს" და მარადისობისაკენ მიისწრაფვის. ტიტანური აღტყინებითაა დახატული ცხოვრების ტრაგიკულობა და მასთან შებრძოლება. სიცოცხლის მიღმა დიონისური ვნება იმალება, რომელსაც ყველა ვერ მისწვდება; ყველა ვერ გაიგებს „ჰანგს უკვდავებისას", ეს ზეკაცის ხვედრია, რომელსაც მიზნად დაუსახავს „ხე ცნობადისას შერყევა". ამ ლექსის მრავალგვარი ინტერპრეტაციაა ცნობილი. ზოგიერთი მის პოსტმოდერნისტულ წაკითხვასაც კი ცდილობს, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ლანდშაფტის ცნებას, რომელიც გეოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობითი ტერმინია, რომელსაც პოსტმოდერნიზმი იყენებს ყოფიერების სტრუქტურის მრავალგანზომილებიანობის შესახებ ფილოსოფიური პარადიგმის კონ-

სტრუირების კონტექსტში. კ. გამსახურდია მას იყენებს, როგორც მეტაფორას. მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ეს ლექსი ნიცშეს „ზარატუსტრას" აპოლოგიაა, რაც იმ დროის ქართულ სინამდვილეში სრულიად ახალი და, კარგი გაგებით, არაორდინარული მოვლენა იყო.

რაც შეეხება მეორე ლექსს, იგი უშუალოდ ნიცშეს პიროვნებას, მის გმირულ პათოსსა და პიროვნულ ტრაგედიას შეეხება. აქ აშკარაა ნიცშეთი გატაცება და მისადმი სიყვარული. ჭაბუკი კონსტანტინესათვის იგი არის „ჯვარცმული დიონისე", მისტიკური წმინდანი, რომელსაც გენიოსის გვირგვინი ელოდება, კაცი, რომელიც „ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისა", „ჭაბუკი მუხა გრიგალისაგან გადატეხილი..." ნიცშეს აწვალებდა ღმერთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. იგი გამუდმებით მერყეობდა ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის. თუმცა მას ქრისტიანული მორალის კრიტიკისას მხედველობაში აქვს არა რწმენის, არამედ რელიგიის, როგორც ასეთის, კრიტიკა. ამიტომაც რელიგიის ადგილს მის ფილოსოფიაში იკავებს ხელოვნება. ნიცშეს ეს იდეები მიმზიდველი აღმოჩნდა ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიასათვის. ნიცშეში მან დაინახა თავისუფლებისათვის მებრძოლი და მეამბოხე მონური სულის წინააღმდეგ.

## ნიცშეს ლექსის ქართული თარგმანი

ავტობიოგრაფიულ რომან „ლანდებთან ლაციცში" კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, რომ იგი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე თარგმნიდა ნიცშეს „ზარატუსტრას" (რასაც ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება). ამ თარგმანის ცალკეული ფრაგმენტები აქა-იქ გაბნეულია დიდი მწერლის სხვადასხვა ნამუშევრებში. განსაკუთრებით 10-20-იანი წლების პუბლიცისტიკაში. რაც შეეხება ამ ლექსს, იგი ნიცშეს ლექსების ერთადერთი ქართული თარგმანია, რომელიც 1913 წლის შემდეგ გასაგები მიზეზების გამო არსად არ გამოქვეყნებულა. კონსტანტინე გამსახურდიას ღრმად სწამდა, რომ თავისუფალი სამყაროს შემოქმედი მხოლოდ და მხოლოდ შინაგანად თავისუფალი ადამიანები არიან. შინაგანი თავისუფლების მიღწევაში დამხმარედ იგი ფრ. ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიას აღიქვამდა, სწორედ ამით იყო განპირობებული მის მიერ ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიით დაინტერესება და მისი შთამბეჭდავი ფილოსოფიური განაზრებანი. ეს თარგმანიც ამის ნიშანია.

**ფრიდრიხ ნიცშე**

## შუაღამისას

ერთი. კაცო, შეგნება გქონდეს ამისა.
ორი. თუ რას მოგითხრობს ბინდი ღამისა.
სამი. მე კი შვა ღამის მეძინა ძილით.
ოთხი. აჰა, მეღირსა სიფხიზლის დილა.
ხუთი. თურმე საწუთრო რა ღრმა ყოფილა !..
ექვსი. ულრმესი, ვიდრე ეგონა ეს დღეს:
შვიდი. უფსკრული – მისივ სევდა-ნაღველი.
რვა. ხედავ სიხარულს მასზედაც ულრმესს.
ცხრა. ლხენაა სევდის უკუმქცეველი.
ათი. ლხენას გაურბის გულის მქისობა.
თერთმეტი. ლხენას სწყურია მარადისობა.
თორმეტი ........................................................

**კ. აბაშისპირელი**
**გაზეთი „იმერეთი", 1913წ. №108. გვ.3.**

# VIII
# ნიცშეს საღამო თბილისში

„... გამოქვაბული, ქარის ტირილი
ქვესკნელს ხევიდან ხევში ჩაჰქონდა.
ქუჩებში მარტო და გაცრეცილი
გზებგადამცდარი ნიცშე ბღაოდა..."
„მოგონება"

„... შენი საკანი ან ზღვის ღამეა,
ან დაღუპული ნიცშეს თვალები..."
„სიზმრების ნაღვერდალი..."
(ერეკლე ტატიშვილს)
ნიკო სამადაშვილი

XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია გრიგალივით შემოიჭრა ქართული მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ამ დროიდან მოყოლებული ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე არ მოჰკლებია შესაბამისი ყურადღება ბაზელელი პროფესორის ნააზრევს. ეს პროცესი შემდგომში, საბჭოთა ხელისუფლების დიქტატურის წლებშიც კი არ შეჩერებულა, მაშინ როდესაც ადგილი ჰქონდა ნიცშეს ნააზრევის მხოლოდ ექსპლიციტურ ციტირებას, რაც ნამდვილად შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა.

ნიცშეს იდეების გათავისებას, გაშინაგანებას და ეროვნული ცნობიერებისათვის

მისადაგებას ქართულ სინამდვილეში სათავეში უდგას დიდი ქართველი მწერალი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია. მან ხელი შეუწყო შემდგომში საქართველოში ნიცშესა და, საერთოდ, ევროპული ფილოსოფიის მიმართ ინტერესის თანდათანობით ზრდას. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე საქართველოში ნიცშეს მიმართ ინტერესს იმ ფაქტით ხსნიდა, რომ „გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი ქართველი ადამიანის მსოფლგანცდისა. ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასაში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, მდორე, უშფოთველი არსებობისა, „პაწია" ბედნიერებისა და „პაწია" კეთილდღეობისა, ქართული სულის მისწრაფებებთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათითა და რისკით აღსავსე დიონისურ ცხოვრებას" (იხ. ფრ. ნიცშე. „ესე იტყოდა ზარატუსტრა". თბ; 1993. თ. ბუაჩიძე. ფრიდრიხ ნიცშე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა", გვ: 245). „სულთა ამ ნათესაობას" უნდა ვუმადლოდეთ კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესებას ნიცშეს ფილოსოფიით.

საინტერესოა, ქართველი კაცის რა მოთხოვნებს პასუხობდა ბაზელელი პრო-

ფესორი? კონსტანტინე გამსახურდიას არაფერი სწამდა ცხოვრებას, რეალობას, წინააღმდეგობით და ხიფათით აღსავსე სინამდვილეს მოწყვეტილი, ე. წ. განყენებული თეორიული აზროვნებისა, თეორიული, აბსტრაქტული ფილოსოფიისა, რომელიც საკუთარ წვენში იხარშება. კონსტანტინე გამსახურდიას მიხედვით, ფილოსოფია თანამედროვეობის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მუდამ. თანამედროვეობის მოთხოვნათაგან კი უპირველესია ერის სამსახური, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა. აქ კი კანტის ფილოსოფიურ ნიაღსვლებზე უფრო ღირებულია ნიცშეს ირაციონალისტური – ყოფიერების უშუალობის განცდით აღსავსე – სიცოცხლის ფილოსოფია. ამიტომაც მას მიაჩნდა, რომ ეს იყო „ფანჯარა, საიდანაც მომავლის ქარი ქროდა"– თავისუფლების გრიგალი – „ხიფათითა და რისკით სავსე".

1922 წლის 27 ნოემბერს, სამშაბათ დღეს, კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით ჟურნალ „ილიონის" რედაქციამ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ფრიდრიხ ნიცშეს საღამო ჩაატარა. მანამდე, დამოუკიდებლობის დაკარგვისას, 1921 წელს კონსტანტინე გამსახურდია ბეთანიის მონასტერში აკეთებს ცნობილ ჩანაწერს და „საშველად თამარის აჩრდილს მიმართავს". „ვიყავ ბეთანიას, თაყვანი ვეც თა-

მარს. კონსტანტინე გამსახურდია. 1921 წელი, 25 თებერვალი" (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ: ს. სიგუა „მარტვილი და ალამდარი". ტომი პირველი. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა. თბ, 1997), ხოლო მომდევნო წელს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ჩატარებული ფრიდრიხ ნიცშეს საღამო – ეს იყო მძაფრი პროტესტი არსებული წყობილების მიმართ, ვერაფრით ვერ შეგუა იმას, რომ საქართველომ თავისუფლება დაკარგა. ეროვნული თავისუფლების დაკარგვა მისთვის პიროვნული თავისუფლების დაკარგვის ტოლფასია, რაც პიროვნების გაქრობას მოასწავებს. ამიტომაც წინა პლანზე წამოსწევს ნიცშეს ინდივიდუალისტურ ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც ჰეგელის აბსოლუტიზმის ალტერნატივად აღიქმებოდა, რომელმაც „ჩაყლაპა" ინდივიდი. ნიცშეს ფილოსოფია მისთვის „თავისუფლების დეკლარაციაა." ნიცშე მას სჭირდება იმისათვის, რომ ქართველ ერში არ ჩაკვდეს თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი, ამიტომაც ნიცშეს ფილოსოფიის მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომლებზეც აკადემიური ფილოსოფიის წარმომადგენლები საუბრობენ, იგი მეორეხარისხოვნად მიიჩნევს; მისთვის მთავარია ეროვნული ნიჰილიზმი არ გაბატონდეს და ქართველმა კაცმა ხელი არ ჩაიქნიოს თავისუფლებისათვის ბრძოლაზე. თავადაც აღნიშნავდა, ევროპაში ნიჰი-

ლიზმის ეპოპეას საქართველოში ეროვნული ნიჰილიზმის ეპოპეა დაემთხვაო. ამიტომაც ქართველი ერის ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 1922 წელს ჩატარებული ფრიდრიხ ნიცშეს საღამო ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით 1922 წელს გაზეთი „ლომისი" (იხ გაზ. „ლომისი" 14. 3 დეკემბერი): „საღამო გახსნა ცნობილმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ. მისი გამოსვლა შეეხებოდა ინდივიდუალიზმს, როგორც ევროპულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, და დამსწრე ფართო საზოგადოებას აცნობდა მის თავისებურებებს. დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ ევროპაში ინდივიდუალიზმს აქვს ორი განშტოება: ერთი ეს არის შპენგლერის ფილოსოფია და მეორე შტირნერისა და ნიცშეს ფილოსოფია. დ. უზნაძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ერეკლე ტატიშვილი. იგი ნიცშეს ფილოსოფიური აზროვნების ევოლუციას შეეხო ქრონოლოგიურობის პრინციპის დაცვით. მან აგრეთვე განიხილა ნიცშეს თხზულებები. ამის შემდეგ ნიცშეს „ზარატუსტრადან" ცალკეული ადგილები წაიკითხეს ა.ჭუმბაძემ, ბ.ფაშალიშვილმა დ.შენგელიამ. მ ბოჭორიშვილმა და ტ.გრანელმა. ნიცშეს ანალები

წაიკითხა დ. თუთბერელმა. საღამოზე სეფე სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინე გამსახურდიამ. მისი მოხსენების თემა იყო: „ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“, სადაც კონსტანტინე გამსახურდია ამტკიცებდა, რომ ნიცშე ბოლომდე ვერ დარჩა ინდივიდუალისტად იმ აზრით, რომ მისი ინდივიდუალიზმი მისტიკაში გადავიდა. კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვა იყო დასაბუთებული, შთამბეჭდავი და დიდი პათოსით წარმოთქმული. საღამოს დასასრულს სიტყვა მოითხოვა ერთმა ახალგაზრდამ, რომელმაც ილაპარაკა ,,ყველაფერზე და არაფერზე." მისი აზრის გაგება შეუძლებელი იყო, ეს ახალგაზრდა ფუტურისტი იყო რომელსაც საკადრისი პასუხი გასცა კონსტანტინე გამსახურდიამ."

ასეთია ის მწირი ინფორმაცია, რომელმაც ამ საღამოსთან დაკავშირებით ჩვენამდე მოაღწია.

საღამოს მოწყობით კონსტანტინე გამსახურდია გვევლინება არა მხოლოდ როგორც ნიცშეს და, საერთოდ, ევროპული ფილოსოფიის უბადლო მცოდნე ფილოსოფოსად, არამედ ერის თავისუფლების მებაირახტრედაც. ,,ბოროტი ცხოველი დღეს ისევ ცოცხალია ადამიანის არსებაში როგორც ნერონისა და ქრისტეს დროს", – წერდა იგი და ბოროტ ცხოველში საქართველოს მტერს, წითელ ტირანიას გულის-

ხმობდა. ამიტომაც ნიცშეს საღამო თბილისში მოასწავებდა იმას, რომ ქართული ეროვნული გენია ვერაფრით ვერ შეეგუებოდა „ერის კასტრაციის მცდელობას". ეს არის დასაწყისი იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც შემდეგში ზვიადი და მერაბი გააგრძელებენ. ამისთვის საფუძველს კონსტანტინე გამსახურდია ქმნის. უფრო მოგვიანებით იგი აგებს კოლხურ კოშკს და იქ თავისუფლების ფილოსოფიაზე აღზრდის ზვიადს, რომელიც შემდგომში ლახვარს ჩასცემს „წითელ უჩხულს" და ქართველ ერს თავისუფლებას მოუტანს. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ კონსტანტინე გამსახურდია ჭაბუკობიდანვე შეუდგა „გოლგოთის მისტერიას." აღსანიშნავია, რომ საქართველოში იგი მიიჩნიეს „უცხო ქარის მთესველად". ამის შესახებ თავად ამბობდა: „მე არ უარვყოფ, რომ უცხო ქარის მთესველი ვარ, მაგრამ ეს იდეები უცხო არ იყო არასოდეს ქართული სულისა და კულტურისათვის"; ხოლო ნიცშეს საღამოზე წაკითხული გენიალური საჯარო ლექციის მიხედვით, ნიცშეს ფილოსოფიის კონსტანტინე გამსახურდიასეული ინტერპრეტაცია ასეთია: იგი ქრისტიანული მისტიციზმის მომხრეა და მისი ეს მოხსენებაც ნიცშეს ფილოსოფიას ქრისტიანული მისტიციზმის კუთხით განიხილავს და მიაჩნია, რომ „აქ არის ის მარჭვალი, რომელიც ჩვენ ორგანულად გვაკავშირებს დასავლეთის კულ-

ტურასთან (დიონისე არეოპაგელი), ხოლო ქართული კულტურა ამ გზას ასცდა. კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, „ტრაგედიის დაბადებაში მისტიკის სულიდან" მოცემული იყო მთელი თანამედროვე ლიტერატურის, ესთეტიკისა და პოეზიის აქტუალური პრობლემები; იგი იმასაც არ უარყოფს, რომ შესაძლებელია ბევრი არ ეთანხმებოდეს მას, მაგრამ „ამ სიტყვებში იმდენი მასალა იყო, რომ დღემდის საქართველოში არსებულ ლიტერატურულ იდეოლოგიებს რომ მეცნიერებრ ჰყოლოდა, ამ იდეების გარშემო ლიტერატურული ომი უნდა გამართულიყო". ნიცშესავით დუელი და განხეთქილება დროსთან და არსებულ გარემოსთან, ტირანიის პირობებში პიროვნული და ეროვნული თავისუფლების აღდგენის მცდელობა და ბრძოლა – აი, ის ძირითადი მოტივაცია, რის გამოც ნიცშეს ფილოსოფიამ გაიტაცა გენიალური მწერალი. კონსტანტინე გამსახურდია იბრძვის ეროვნული ნიჰილიზმისა და მითოსს მოკლებული დროის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კი მას ხიბლავს მეამბოხე პოეტური სული, ვიდრე მეცნიერული მსჯელობები.

კონსტანტინე გამსახურდია ილიას მსგავსად აღმერთებს გიჟმაჟ თერგს. აიტომაც ვერ ისვენებს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად. სხვების დარად არ მიდის ემიგრაციაში, არამედ რედაქტორობს „აკადემიური მწერლობის კავშირის გამო-

ცემებს:" „ილიონს," „ლომისს," „საქართველოს სამრეკლოს," „ქართულ სიტყვას," მანამდე „პრომეთეს" (1919).

ძალზე მნიშვნელოვანია კონსტანტინე გამსახურდიას როლი ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში. მან რაციონალიზმთან დაპირისპირებული ბერგსონის და ნიცშეს იდეების – სიცოცხლის ფილოსოფიის – ინტუიციის გამოცხადებითი ძალის შესახებ თეორიით დიდი გავლენა მოახდინა ქართულ მხატვრულესთეტიკურ აზროვნებაზე. სწორედ ამის ფონზე მიმდინარეობდა ხელოვნებაში ღირებულებათა გადაფასება. მას იტაცებდა ცივილიზაციისა და კულტურის დაპირისპირების შპენგლერისეული თეორია: იზიარებს მის კონცეფციას იმის შესახებ, რომ რაციონალიზმმა და სულიერებისაგან დაცლილმა პრაგმატიზმმა გამოფიტა ადამიანის შემოქმედებითი სამყარო და დაშრიტა მისი ფანტაზია, შპენგლერში მას მოსწონს მისი „ნაციონალური პოზიციები". ამავე დროს დიდ ქართველ ფილოსოფოსებთან შალვა ნუცუბიძესთან და მოსე გოგიბერიძესთან ერთად აკრიტიკებდა შპენგლერს, რადგანაც ხსნა აღმოსავლური კულტურიდან კი არ მოვა, არამედ ხსნა ევროპული კულტურის აღორძინებაშია საპოვნი. ნიცშე, შოპენჰაუერი, კირკეგო, შპენგლერი, გოეთე, კანტი და მრავალი სხვა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ წაკითხული და

გატარებულია ეროვნული თვითმყოფადობის პრიზმაში, ერის ინდივიდუალობის თვალსაწიერიდან. ამდენად, იგი მომხრეა არა ეროვნული კარჩაკეტილობისა, არამედ კულტურული ღიაობის აპოლოგეტია. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კულტურათა შორის დიალოგის მომხრე. მისთვის მიუღებელია ზოგადი თეორიული პრობლემები. მისთვის ფილოსოფია, უფრო სწორად, ფილოსოფოსობა ერის სამსახურში ყოფნაა, ერის სამსახური კი „ჩუმი ღვთისმსახურებაა." ამით იგი ქართულ სინმადვილეში ფილოსოფოსობის ორიგინალურ მოდელს წარმოგვიდგენს, რომელიც ყურადსაღებია დღესაც. იგი ვერ ჰგუობს მკაცრ აკადემიურ სტილს. მისი თითოეული სიტყვა მძლავრი ემოციური მუხტით, განწყობით ძიების შედეგია, რითაც მისი მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური კრედო ენათესავება არა მარტო სიცოცხლის ფილოსოფიას, არამედ გერმანულ ეგზისტენციალიზმსაც და ეგზისტენციალიზმის ქართულ მოდელს ქმნის, რომლის ძირითადი ნიშნებია: ეპოქის კრიტიკა, ხელოვნებიდან უშუალობის გაქრობის კონსტატაცია, ადამიანური ყოფიერების ზღვარდებულობა და ტრაგიზმის ღრმა განცდა.

ჩვენ არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ იგი ბოლომდე ნიშცეანელად დარჩა. ნიშცეთი მისი გატაცება არასოდეს არ ყოფილა თვითმიზანი, რასაც თბილისში ჩატა-

რებული "ნიშცეს სალამოც" ადასტურებს, არამედ ნიშცეს ფილოსოფიას იგი განავითარებს კიდევ უფრო მაღალ მოძღვრებად. კანტის მსგავსად, კონსტანტინე გამსახურდიასაც შეეძლო ეთქვა: „მე შემოვსაზღვრე **ფილოსოფია, რათა ადგილი დამეთმო სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის."** სრულიად ორიგინალურია ქრისტიანობასთან კონსტანტინე გამსახურდიას მიახლება. „მხოლოდ შინაგანი სულიერი ბრძოლით და კრიზისებით მიდის კაცი ქრისტე მაცხოვრის ნათელისაკენ. მხოლოდ დიდ უარყოფას ძალუძს მიიყვანოს იგი დიდ აღიარებამდე. მხოლოდ სიბნელით გამოწვეული ტანჯვა გადააქცევს სინათლის წყურვილს ჭეშმარიტ სინათლედ" (იხ. მ.კოსტავა.კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავი. „ოქროს საწმისი," 4, 1976). ეს არის ფილოსოფიურ-მისტიკური მიახლება აბსოლუტთან და პირველ რიგში ქრისტიანობასთან. არა რელიგიური ექსტაზით, დოგმებითა და კანონთა ბრმად შესრულების გზით, არამედ „მორალური ფანტაზიით და თავისუფლების იმპულსით... ქრისტიანული პრაქსისის ცოცხალი მაგალითია დიდოსტატ კონსტანტინეს ცხოვრება: შეურიგებელი ბრძოლა ურჩხულთან, ლევიათანთან — სახელმწიფოსთან."

შემთხვევითი არ არის ნიცშეს სალამოს დევიზიც: „**სული იქმნას ბატონი**". კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ერთა-

დერთი საგანი, რომელსაც ნამდვილი რეალობა აქვს, ეს არის სული უკვდავი ადამიანისა..." ნიცშეს სალამომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იწყება არა მარტო ეროვნული კრიზისი, არამედ სულის, სულიერების კრიზისის ეპოქა. გამოსავალი აქედან არის ადამიანის სულის ფერისცვალებაში, დიდ მეტამორფოზაში ანუ „ადამიანის სულის შინაგან რეფორმაციაში." ასე რომ „გზებგადაცდენილ ნიცშეს ბლავილს" უკვალოდ არ ჩაუვლია ქართული კულტურის ისტორიაში.

***

„... ადამიანი მითიურ ბაზილისკივით მოკვდება, როგორც კი თავის თავს დაინახავს აბსოლუტურ შემეცნების სარკეში. ნიცშეში იმარჯვებს ბერძნული იდეა — განინდივიდუალებისა".

კონსტანტინე გამსახურდია.

## IX
## დასკვნის სანაცვლოდ

ფრიდრიხ ნიცშე, როგორც გენიოსი, მრავალმხრივი ფაუსტური ნატურაა. იგი ნაკლებად დოგმატურია და ნაკლებად კონსტრუქციული. ის არც კომუნისტია, არც მატერიალისტი ან იდეალისტი, არც ეგზისტენციალისტი და არც პოსტმოდერნისტი, შეიძლება ითქვას, ის, უბრალოდ, არაჩვეულებრივად ცოცხალია და ამ გაგებით — დიონისური. ეს არის ფილოსოფოსი, რომლის პროექტია ფილოსოფიური აზროვნებით საკუთარი ცხოვრების ფორმირება, „მოწყობა", ამ გაგებით იგი კაცობრიობის „ახალი მასწავლებელია". მის შესახებ უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ, რ. ზაფრანსკის სიტყვებით თუ ვიტყვით, უკვე არც ღირს სწრაფვა რაიმე ზეორიგინალური ინტერპრეტაციისაკენ. ჩვენ, უბრალოდ, მისი გახსენებაღა შეგვიძლია და ამას უნდა დავჯერდეთ. პ. სლოტარდაიკს კი მიაჩნია, რომ გენური ტექნოლოგიების ანუ „ანთროპოტექნიკის" განვითარება ისეთ ვითარებას ქმნის, როდესაც შესაძლებელია ადამიანის შეცვლა არა მხოლოდ ინტელექტუალური ინტერვენციის გზით (უკვე არა აზრები მოქმედებენ აზრებზე, არამედ აზრები ცვლიან ბიომასას). ამ შემთხვევაში გა-

ნუზომელია ინტერესი ნიცშეს „ზეკაცის" მიმართ. ნიცშემ უეჭველად იცოდა, რომ ადამიანი გენეტიკური მანიპულაციის გზით თავისი განვითარების უზარმაზარ პოტენციალს ფლობს. ეს ზეკაცის სახით ყოფიერების კონტროლირებაა, რომელზეც თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა მ. ჰაიდეგერი. ოღონდ ჰაიდეგერთან ეს პროცესი ფილოსოფიური აქტის იქით არ წასულა, მაშინ როდესაც ნიცშესთან ეს რეალური და პრაქტიკულად განხორციელებადი მოვლენაა. შეიძლება ითქვას, ნიცშეს ფილოსოფია ამ კუთხითაც გაიაზრა კ. გამსახურდიამ, როდესაც წერდა: „ნიცშეს ენადა: ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოშობილიყო, რომელიც თავისი ძლიერი ნებისყოფის, დიდი ცოდნისა და გავლენის წყალობით ევროპის დიდს დემოკრატიას მოიხმარდა, ვითარცა იარაღს, მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად, მთელის მსოფლიოს გადასაკეთებლად" („მეტაფიზიკოსის დღიური"). ვფიქრობთ, რომ აქ კომენტარი ზედმეტია. ამ შემთხვევაში მთავარი კითხვაა, თუ რა შეიძლება გვასწავლოს ნიცშემ, ანდა პირიქით, უნდა დავიცვათ თუ არა მისგან თავი?

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ კ. გამსახურდიამ ერთ-ერთმა პირველმა აითვისა საქართველოში ნიცშეს ფილოსოფია, თანაც მისი ორიგინალური ანალიზი და ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა; მანვე უნო-

და ფრიდრიხ ნიცშეს „ახალი ევროპის ახალი პლატონი", თუმცა მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო ნიცშეს ფილოსოფიით არ ამოიწურება.[54] იგი სიცოცხლის ფილოსოფიისა და ირაციონალიზმის წარმომადგენელია საქართველოში, რომელიც ქრისტიან მოაზროვნედ, ქრისტიანული მისტიციზმის იდეების ერთგული რჩება, თუმცა იმდენად გულწრფელი და უშუალოა მისი დამოკიდებულება ყოფიერებასთან და ადამიანთან, რომ ძნელია იგი რომელიმე „იზმის" წარმომადგენლად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ნიცშეს ფილოსოფიასთან მისი პოლემიკური ხასიათიც აახლოებს.

***

**„...სიბრძნე წყევლაა ბუნებისა.**

**სიტყვა საშიშია. რამდენი რამ არ უნდა გამოსთქვას ადამიანმა.**

**რა იცის ადამიანმა თავის თავზე? უმთავრესი ბუნებას დუმილში აქვს შემონახული და ადამიანი ამ საიდუმლოებას ვერასოდეს ვერ მიაგნებს".**

**კონსტანტინე გამსახურდია**

# X

## Kakha Ketsbaia
## Friedrich Nietzsche and Konstantine Gamsakhurdia. Philosophy of Freedom in Georgia

### S U M M A R Y

### Introduction

The 20[th] century philosophical thought is unimaginable without life philosophy. It has greatly influenced upon various philosophical trends of last century, which has to be contributed to Friedrich Nietzsche.

In accordance with life philosophy the meaning of a man's life is in his free activity and creative work. In this sense, it is freedom philosophy. Because of a strong impulse of freedom given in Nietzsche's philosophy, it was prohibited in the years of the Soviet government dictatorship. Supporter of freedom Friedrich Nietzsche was reckoned with the tabooed authors.

Heroic enthusiasm of Nietzsche's philosophy preconditioned the fact, that life philosophy and ideas of the author of "Zaratustra" were found in the centre of attention of fighter for freedom of Georgia, the master of Georgian word Konstantine Gamsakhurdia. In his creative work Nietzsche's ideas are transformed into freedom philosophy, which predestined Nietzscheanism of a great master Gamsakhurdia (2, page 337).

At the early stage of Gamsakhurdia's creative work, essential and constructive factor of philosophical credo is Nietzsche's philosophical thinking.

It can be said that Gamsakhurdia as a philosopher was forbidden topic. Nearly everybody, beside Zviad Gamsakhurdia tried to avoid openly and frankly speaking about it. It is a pity that Gamsakhurdia didn't

take his own place in the history of Georgian philosophy, and as a person who brought in and cultivated forward traditions of Nietzsche, Bergson, Schopenhauer, Spengler, Kierkegaard and, in general, of European philosophy in Georgia, as one of the most outstanding representative of life philosophy and philosopher idealist.

Georgian philosophers didn't either pay sufficient attention to this question (they ignored the fact that Gamsakhurdia was one of the first doctors of philosophy in Georgia, the academician of Georgian Scientific Academy and so on).

## Nietzschean motives and problem of Freedom

"Formation of Gamsakhurdia's ideology was taking place in the 10-20-ies of last century. He was under the influence of Nietzsche, Bergson and Steiner in his youth." (3, page 17) He studied at the Universities of Koenigsberg (where he arrived to study Kant's philosophy), Leipzig, Munich and Berlin, his teachers were Riel, Casirer, Harnack, Molendorf, Erdman, Wundt; He listened to Bergson's lectures in Sorbonne. He was personally acquainted with Thomas Mann. While being a pupil of Kutaisi classic school he was fond of Nietzsche and translated his "Zaratustra". In his autobiographic novel "Caress of Shadows", which recollects us Nietzsche's "Ecce Homo", Gamsakhurdia says, that he translated "Zaratustra".

This translation has not reached us, though its separate parts are scattered like pears in all his works.

He also liked Goethe, Napoleon, Schopenhauer, Kierkegaard, Wagner, Spengler, Svedenbourg and Ste-

iner. He was the first who introduced Kierkegaard, Svedenbourg and Steiner to Georgian readers. Young Konstantine's great interest in Nietzsche is not an accidental event. Nietzsche's philosophy greatly impressed his thought, his style and manner of writing.

In 1922 Nietzsche's literary soiree was held with his initiative in Tbilisi. Publicistic letters and poetic works of 1910-20-ies are written under influence of Nietzsche's philosophy.

There are numerous contradictory ideas concerning Gamsakhurdia's Nietzscheanism (7 pages 52-63). But it must be said that he didn't get Nietzsche's philosophy blindly, without critic (without thinking it over). His fondness of Nietzsche is difficult to negate. There is a period in his creative work, when he tries to get rid of his philosophy, to re-estimate a number of Nietzsche's considerations and to work out his own point of view. The main thing which Gamsakhurdia shared and got is the concept of active, acting person raised to the rank of philosophical category, and cult of a strong man, the principle of his self-affirmation, destination of which is attaining of freedom, faithful service of one's people and country.

Even after freeing from Nietzsche's influence Gamsakhurdia defended the principles of life philosophy, but now independently from him. The question arises: what does it mean to defend principles of life philosophy without Nietzsche? In Gamsakhurdia's case it is the struggle for freedom of his own country, as well as personal freedom and a very deep inner protest against the existing reality. Nietzsche, as a person of fighting soul, was his teacher in accomplishing this aim. By means of Nietzsche's philosophy he wanted to awaken the thirst of freedom in Georgian nation in or-

der of keeping fighting spirit and not to be regenerated.

Very original is the understanding of Nietzsche's Superman by Gamsakhurdia. Namely, he apprehended Nietzsche's Superman not only in philosophical plan, but he gave us its moral-ethical and at the same time national-political apprehension. Superman is a rescuer for the son of invaded country, fighter for freedom, whose fate is victory. However, we sometimes come across of other types of interpretation of a Superman in his works. Propagation of active expressionism by Gamsakhurdia is the expression of freedom and love of life, but life not as a physical process, but as a creative act, unstipulated from outside, as a self-creativity, always making of something new. In this case, Nietzsche's philosophy for Gamsakhurdia is freedom philosophy.

Gamsakhurdia was one of the firsts who paid attention to Ilia Chavchavadze's philosophical bases of active character, saw in them first elements of Nietzsche's life philosophy and made it the subject of philosophical reflection. It can be said that Chavchavadze came to recognition of Nietzschean principles of war, of struggle between life and suffering independently from Nietzsche, and Gamsakhurdia envisaged Ilia's creative work at this standpoint. Analogous enthusiasm and fervor he saw in Leo Kiacheli's "Tariel Golua".

It must be also noted that only Nietzschean-Dionysian motives are often seen in Gamsakhurdia's works and Christianity is left behind. In fact Gamsakhurdia was attracted by Nietzsche's philosophy because of its nature saying to Christ "yes", as the philosophical principle of reconciling contradictory views.

We think, that that is why he is one of the firsts who offers us positive interpretation of Nietzsche's ideas in Georgian philosophy. He likes Nietzsche's unusually frank enthusiasm. Man must not betray life. Nietzschean "Amor Fati" of Gamsakhurdia's heroes comes from it, which is transformed into a deep mysticism, and this gives the possibility of varied characteristic of Gamsakhurdia's personages.

Great number of researchers (and not only they) accused Gamsakhurdia of a "bourgeois ideology", of bringing in "European modern" and many other things because of his Nietzscheanism. And it was then, when K. Gamsakhurdia best of all knew the value of Nietzsche's philosophy and its importance. He gave the analysis of the deepest layers of his philosophy. As for Nietzsche's criticism, it is a separate topic and the theme of a later period of his creative work. One thing is quite clear, that he greatly and impressively shared Nietzsche's philosophy and its positive charge of fighting for freedom put in it adjusted to Georgian national consciousness.

### Nihilism and critic of rationalism

The approaching way to Nietzsche's philosophy for Gamsakhurdia passes on between Schopenhauer's philosophy and Spenglerian concept of opposition of culture and civilization. Gamsakhurdia remarks, that man's imagination has run low, and Europeans arose "Lit candles of romanticism and criticism" on his grave (4, page 350). In this case, he as the pupil of Bergson and Nietzsche criticizes rationalism very sharply. In his opinion, Europe has suddenly thrown away romanticism and stayed only with critical soul

which had seized everything. "There wasn't left any dark corner in the man's soul which wasn't lit by Reuntgen rays of mind". Then it was followed by negation of mysticism and metaphysics, its announcement as bankrupt. Misser de la Philosophia became a password of this critical soul. In critical soul Gamsakhurdia means philosophy of Kant and Neokantians, which according to his expression "seized everybody and everything like a fire in a windy night".

Cultural crisis is followed by the revival of civilization, which results in the total estrangement of a man. Finally, as Gamsakhurdia says, "they wanted to touch substantial essence of a man's soul..." (5, page 351). He gives us description and analysis of a man's existence in crisis. In his opinion, it is not a local crisis. It is of world importance, negation of contemporaneity, protest and revolt against "exaggerated intellectualism" is characteristic for him, which came to Georgia from Europe (5, page 352). Exaggerated intellectualism is reduced up to primacy of artificial instincts and is deprived of everything spiritual at last. Gamsakhurdia regards Americanism as its symbol and attracts his attention to Europe's Americanization. While discussing American philosophy he considers W. James to be a great thinker, as the basis of his pragmatism is a deep irrationalism and spiritualism. However, American civilization has not developed in this way.

The first mark of civilization is "....rationalism and scepticism", which is the premise of degeneration and spiritual degradation" (5, page 352). Fetishism of material values, prevalence of unsteady urban civilization, everything is a "wild psychosis" of XX century man. Gamsakhurdia supposes, "that not one or two

spiritual heralds challenged the soul of this great progressive mechanization to cross swords, and heroic life of the greatest among them, of Friedrich Nietzsche became the victim of this intellectual duel. Nietzsche is a complete antipode of Karl Marx in this opinion." (5, page 352)

The question of Nietzsche's and Marx's relation is a very interesting topic while studying Nietzsche. Gamsakhurdia's opinion concerning this question is following: Marx is the symbol of drowning in life, of material satisfaction, that contradicts fighting soul of Nietzsche. By Gamsakhurdia's reasoning, Nietzsche has brought quite a new type of irrationalism. In the result of denial of everything spiritual and religious "Socialism religion" is reigned in this regenerated epoch. Mankind, a man is afraid of himself, he can't look at reality and make analysis. Only Nietzsche could do it. In this terrible and cold world, according to Gamsakhurdia, labor has changed too, it has lost creative character and transformed into "silly, aimless hand waving", the feeling of creative joy has lost, technique has absorbed the man and "become his shackles ".

Gamsakhurdia analysis the total character of technical estrangement and thinks it necessary to get freed of false traditions of technicism and rationalism, towards which Nietzsche appeals the mankind. The poem dedicated to Nietzsche is written with the same mood. A man has broken away of "divine naivety", has lost the aim and sense of life. In such a case Nietzsche's philosophy appeared as a savior of mankind, which in spite of difficulties shouldn't be got blindly. Nietzsche is the first who radically opposed Kant. Gamsakhurdia doesn't share Kant's philosophy either. He as Nietzsche's follower, believes that Kant's criti-

cal philosophy is antimetaphysical and doesn't give a scope of man's imagination. In addition changing of position is characteristic for Kant in a number of questions. That's why Gamsakhurdia supports intellectual revolt started by Nietzsche in European philosophy. In European nihilism Kant is to be blamed and not Nietzsche. His criticism has deprived European philosophy of creative strength. Nietzsche and Bergson are greater authorities than Kant for Gamsakhurdia. He appreciated Bergson's fight "against theoretical rationalism and mechanistic determinism". By Gamsakhurdia Nietzsche was also attractive and interesting as he "took aim" at the authority of European philosophy – Kant. Young Gamsakhurdia was fascinated and inspired by the fervor soul of Nietzsche. Gamsakhurdia risen against Communist tyranny looks like Nietzsche risen against European civilization.

As K. Gamsakhurdia says, Nietzsche calls upon the youth for destroying the old world. It is followed by "re-estimation of values" and emergence of deep layers of life: mythological, mystical-religious and others, attraction to cosmic sensation, which is equal of religious exaltation; this is the requirement of a demon of epoch: "re-estimation of values". Concrete example of it in his opinion is Spengler's book "European sunset", but he also remarks that independently from Spengler the similar idea in Georgia had Geronti Kikodze. In Gamsakhurdia's opinion it is the crisis of culture, as in new philosophy culture is represented by the complex of historical subjects and values. He thinks that culture is the speech of soul, formation of soul and civilization is entropy of culture. It is "like a fern, fruitless and short rooted creature". Poetry, philosophy, history and religion are the languages of cul-

ture. These are displays of life. That's why fighting for life is of importance, which is one of the marks of Faustian culture.

In his "metaphysicist's diary" Gamsakhurdia offers us Nietzschean interpretation of life and struggle. Life – movement, which is eternal, is described here in Nietzsche's style. Everything, even the most severe asceticism is inspired by the struggle for the best future of mankind's life. In this case Gamsakhurdia supports the position opposite of Hegel's pan-logism which rejects teleologism and opens the way for irrational forces. That's why Napoleon, born as a fighter, his "active heroism", along with Nietzsche, is the subject of Gamsakhurdia's passion. Compared to Napoleon, "Nietzsche is Don Qui-xote obsessed by romanticism, who fought against windmill of Christianity in the west Europe." In his opinion Christian sympathetic moral never existed in Europe, "here always flinty people have got eternal value, here man's element exceeds everywhere, it is the country of blonde Besties." Europe always swayed to and fro between male and female origin (Germany excesses of male origin, France – of female's and so on).

Since the times of Alexander the Great there has always been split personality (dualism) here. He himself was a split personality. Dreamer and Ceaser lived simultaneously in him, as Napoleon being romantic and merciless tyrant. This is similar of splitting Nietzsche into Christ and Dionysios. Gamsakhurdia considers life element as its reason. This everything lies in life nature. Taking it into account Nietzsche's aim is grand. His wish is "taking into hands fate of whole mankind and alter the world", which should be done by the creature being beyond the kindness and

cruelty – Superman – this is the way from degenerated thinking to high intellectual sources.

In K. Gamsakhurdia's opinion, Nietzsche found a main vein of a problem, which had always been subject of agitation by means of theory of "re-estimation of values". Russo began it by rejection of "civilized conventions" and "Back, return to nature". It was "New Testament", written by Russo. Nietzsche went further and made Europe glad with his "Doomsday of Nihilism", which K. Gamsakhurdia called "Sunday Eve" of European culture.

In K. Gamsakhurdia's times there was a dominant idea, that F. Nietzsche was relativist and decadent, but he didn't agree with him. He thought "It was a false interpretation of Nietzsche". If Nietzsche is relativist, it is incompatible with his heroism, which is impossible without absolute moral. It rears tragic soul. Tragedy dies when relativism creeps into it. Besides strength of will is a sovereign phenomenon, without which critical evaluation of past and overcoming of present is impossible.

### „Origin of tragedy from the soul of mysticism"

This is Gamsakhurdia's philosophical work dedicated to Nietzsche. It is written in Nietzschean style and consists of four parts: I – Myth, II – Genealogy, III – Music, IV – Mysticism.

Gamsakhurdia divides Nietzsche's philosophy into two parts. First part is the origin of tragedy from the soul of music, and second is the origin of tragedy from the soul of mysticism.

The first part of work, "Myth" is an original introduction for understanding Nietzsche's philo-

sophy. Like his teacher E. Kassirer, K. Gamsakhurdia believes that a man is a creator of myth, who eventually becomes myth himself, more exactly mythological creature. "Every man in the memory of mankind stays as a myth". Geniuses are vested by legend in the memory and then owing to it reach us. Persons of Nietzsche's type are rare and that's why it suits them to be vested by mythos. Gamsakhurdia mythologized Nietzsche's person, which is followed by description of his person. Namely, "By one leg he stands in the $19^{th}$ century, but fate granted him of living on the margin of two centuries, that's why he always wore the ring of duality". Gamsakhurdia says that Nietzsche will always be for us "aner dipsixos" – two-souled. "Two souls lived in Nietzsche's heart, who stood on the margin of two centuries". He says about Nietzsche that he "paves the way to a new cultural philosophy of west Faustian soul, which is decorated with Luciferous pride and obstinacy", which is not religious example of Nietzsche's philosophy, but cultural philosophical interpretation.

In this case Gamsakhurdia compares Goethe and Nietzsche: Goethe is going from darkness to light, and Nietzsche is the teacher of that generation which is passionately attracted to this darkness as Goethe and his generation were carried away by light. However the author of "Antichrist" stayed as "mystic of darkness", which like a forbidden fruit is demonically attractive. In this case life is presented in mystic plane – as darkness, which in this case also covers light. Light itself unites light and darkness, Dionysian and Apolonian. Nietzsche's "Initial point was this mystic darkness, its mask – dark-eyed God Dionysios, may be he

was not only mask of Dionysios, but God Dionysios – twice born".

In the second part of work, which is called "Genealogy", most essential and at the same time strange and secret passages of Nietzsche's biography are given. By Gamsakhurdia like Goethe, Nietzsche looks like fallen from the Sky, which he prescribes to his hybrid nature and wayward character. Nietzsche's dualism begins with seeking of "Unknown God", and by Gamsakhurdia, Zaratustra is Nietzsche's child who at the same time is the last poet, last philosopher, "last mask of last God, who loudly announced that "God died". Nietzsche's Zaratustra isn't a child of one epoch. Though he is apostle of Antichrist, he frankly said that "Christ on the cross is the supreme and the most beautiful symbol". That's way in his hybrid nature we are interested in divine part saying "yes". Christian, protestant Nietzsche could not imagine Dionysios, the God of drunkenness and relief in another way but on the cross. "Crucified Dionysios" is one of the last sentences of dying Nietzsche. "He had so deeply depicted visional face of crucified Christ in his heart he crúcified even Hellenistic God of relief in his hybrid imagination".

In the third part of work the question of relationship of music and irrational thinking and philosophy is considered; the role of music and its importance for Nietzsche's philosophy is defined, because the role of music is great in "birth of tragedy". At this stage conceptual thinking – philosophy and even poetry was pathology for Nietzsche, though his attitude to music is peculiar. If for Schopenhauer the world of music is ingenious speech of universe mystery, for Nietzsche – Gamsakhurdia says – "music is a swan song both for a

man and whole epoch". According to him, musical culture of Lutheranism has given a certain trend to Nietzsche's thought and philosophy unlike Goethe's (catholicism plastic). Music is to be blamed in his alogism. Poetical nature was so strong in him, that he would have never become systemic thinker. Fondness of Wagner and then disappointment in him were due to it. Genius Socrates is of no value for Nietzsche, if he will not transfer into Dionysios by means of music. In this point of view, his contemporary European civilization for Nietzsche is anti-music phenomenon. Without music, Gamsakhurdia says, Nietzsche's philosophy is unimaginable. "Music is divine language in dark epoch...Centaur of music and mysticism was Nietzsche himself". After a definite time Nietzsche rejects Wagner's music. The epoch of mysticism starts in his work, though he couldn't get rid of "musical demon" up to the end. In spite of their parting in the depths of Nietzsche's soul Wagner's word were shining: "Music will not die unless the man exists".

Most key questions of Nietzsche's philosophy are considered in the fourth part of work "Mystic". In it Gamsakhurdia offers us original comprehension of Nietzsche's philosophy. In his opinion, Nietzsche freed from vassalage of Schopenhauer's nihilism and Wagner's exalted music fell under Goethe's influence, but Goethe of the second part of "Faust" is meant, wise man of Weimar speaking with Eckermann.

Mysticism substitutes music in Nietzsche's works. In fact, tragic soul emerges from here. Gamsakhurdia thinks, that it was expected, because the question of man's transformation into "Superman" was left as an unsolved problem in Nietzsche's works. A great afternoon, when one became dual and Superman

"was born" is a mystical act, explanation and rationalization of which is impossible. This is Nietzschean model in contrast to Kant, where man is not an aim, but a method, bridge on the way to Superman. Zaratustra, Superman, Dionysios are the life masks of one and the same substance by Gamsakhurdia. Life is a mystical act the deepest layers of which will always stay logically incomprehensible for a man.

Nietzsche isn't able to explain us the birth of Zaratustra. It is an act of second..... this is the second which Goethe wished to stop. That's why in Gamsakhurdia's opinion cult of Dionysios is a bearer of misterial contents. We deal here with Dionysios madness. This is the origin of Greek tragedy, which is equal of "religious myste". It is connected with an apparition, suffer and silence. Because of it Gamsakhurdia is one of firsts in Georgian philosophy, who gives Faustian interpretation of Nietzsche, where priority is the idea of rebirth from suffer, and contemplation of invisible takes the place of rational cognition, Nietzsche himself is represented as hermit, adept.

## „Dionysios Smile"

This novel of Gamsakhurdia is Nietzsche's apology and at the same time critical understanding of Nietzscheanism, philosophical-artistic analysis, where finding of one formed position is very difficult. Writer's attitude towards Nietzsche is dual, though Gamsakhurdia says "Don't ascribe me all sins of Konstantine Savarsamidze". It is the same as "Don't make me responsible for Nietzsche's sins".

The title of novel is very symbolic: The main hero of novel is seeker of God like Nietzsche. He se-

eks God in himself and in the process of seeking "dualism takes place – division of person into two – Christ and Dionysios" (10, page 10). He always hesitates in his chose of Christ and Dionysios, Paganism and Christianity. "Ambisexual God" Dionysios is a symbol of life and eternity for Gamsakhurdia. Symbolism of the surname of a main character of novel is very interesting too.

In "Savarsamidze" trinitarial nature and such a peculiarity of character are dominant, which is higher stage than traditional dualism. That means that Christ eventually wins in two-souled creature; Symbolic is the understanding of "smile", which is coincidence of imaginable and unimaginable. Nietzsche's smile is unimaginable as well as Dionysios'; Behind Dionysios' "smile" mystery of being is hidden. This is the same smile of being. Besides Gamsakhurdia saw boundless life energetic potential of a Georgian man in Dionysios cult, which in the moments of necessity could bring freedom to Georgia.

Behind Gamsakhurdia's Nietzscheanism boundless love of Georgian nation is seen. Nietzsche's philosophy serves the idea of freedom of Motherland. Though Nietzsche has never been nationalist, Gamsakhurdia gave his philosophy national interpretation.*

K. Gamsakhurdia's understanding of "Superman" is very original. Superman is Konstantine Savarsamidze not because he is practicing shooting on man, but Superman is a "Chosen" person who fights for the freedom of nation and personality. He was seeking fighting, Michaelistic origins in Christianity too. His prototype is Taia Shelia "Man of soil", looking into the heaven, who tries to set a ladder against the heaven, makes impossible and exceeds the boundaries

of mankind. The result is deplorable. Man should not ever violate taboo, not to step over the limits of humanity, otherwise he will find neither God nor love and will lose the aim of life. According to Gamsakhurdia Nietzsche's lot is the lot of Prometheus and Amirani who are fighting against Gods. Konstantine himself is fighting like biblical Jacob.

Gamsakhurdia's works are the hymn dedicated to life. In the struggle for freedom acceptance of a moral of Philistine society, the moral of self-satisfaction is excluded.

Z. Gamsakhurdia's opinions on "Dionysios' Smile" are rather important among other interpretations. Namely, he doesn't reject Konstantine's Nietzscheanism, but he beleives that Gamsakhurdia's philosophical ideology is Christianity, more exactly Michaelian Christianity and his Nietzscheanism is stipulated by it. Here we have Faustian dualism of European culture, which had some practice in Georgia before. "Dionysios was alive in our country after his death. Our nationality was saved because of standing just between Dionysios, Christ and Zaratustra. This wonderful dualism of soul and our nature like an ointment cured us, our national existence (6, page 149). The tragedy of this dualism is given in "Dionysios Smile". Perphaps Gamsakhurdia supposed, that heroic Georgian soul should be born like Nietzsche of this tragedy. The same tragedy is given in "Theft of Moon". This is the tragedy of person's double. Christ's impulse – universal love of everything, from one side, and, from the other, demonic origin fights each other. Pagan cult of Dionysios lost this fight. Gamsakhurdia shows us, how the man mustn't think. His religiousness is equal of creative work of Superman and chosen

men, the last aim of which is Theosis. As for his fighting against God, it must be understood in Eckhart's way positively. Exactly in this way nation, which Gamsakhurdia compared to Jacob, was fighting against God. Like Nietzsche Gamsakhurdia considers, that God didn't die, but Philistines killed him, because they didn't want him to be the witness of their imbecility and degeneration.

## Poems dedicated to Nietzsche.

In 1911 K. Gamsakhurdia published poem "Superman" in "Sakhalkho Gazeti", and in 1922 a poem "Friedrich Nietzsche" in a magazine "Ilion".

In "Superman" the cult of strength is obvious. Author like Nietzsche's Zaratustra is alienated from mountains of reality and longs for eternity. Life tragedy and fight against it is described with titanic inspiration. Beyond the life Dionysios passion is hidden, which couldn't be attained by everybody. Everybody can not understand "Melody of Eternity", it is superman's lot, whose aim is "to shake a tree of knowledge". Many interpretations of this poem are know. Some of them even tries to read it in postmodernist style, but one is true, it is apology of Nietzsche's Zaratustra, which was quite new and not ordinary event in Georgian reality.

As for the second verse, it refers to Nietzsche's personality, his heroic pathos and personal tragedy, it shows profound interest and enthusiasm in Nietzsche. For young Konstantine he is a "Crucified Dionysios", mystic saint, to whom the crown of genius is waiting for. A man, who "couldn't adapt this world without

duel", "young oak-tree broken by hurricane...". Nietzsche was worried by the question of God's existence. He always hesitated between Christ and Antichrist. Though while criticizing Christian moral he meant the critic of not belief, but of religion. That's why the place of religion in his philosophy is occupied by art. These ideas of Nietzsche appeared to be attractive for young Konstantine. He had an implicit faith in Nietzsche's philosophy of fighting for freedom and revolt against slave soul.*

## Conclusion

Konstantine Gamsakhurdia was one of the firsts in Georgia who performed cultural reception of Nietzsche's philosophy, offering its original analysis and positive interpretation, having called him "New Plato of new Europe". But his philosophical universe doesn't end with Nietzsche's philosophy. He is the representative of life philosophy and irrationalism in Georgia, idealistic philosopher. In the history of Mankind K. Gamsakhurdia together with Nietzsche will stay forever as a knight fighting against slave soul, philosopher of freedom.

# XI
# ბიბლიოგრაფია და შენიშვნები

1. ზ. გამსახურდია. კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა // ზ. გამსახურდია. წერილები, ესსეები. თბ., 1991. გვ. 337.

2. იხ. ა. ბრეგაძე. „ჰეგელის „პათოსი" და კონსტანტინე გამსახურდიას „გიორგი მეფე". ჟურნალი „მიჯნა", 1-2, რედაქტორ-გამომცემელი მურმან ზაქარაია, თბ., 1999. გვ. 52-57.

3. იხ. T. Iremadze, Anfänge der Nietzsche-Rezeption in Georgien, in: Nietzsche-Studien, Bd. 35, Berlin - New York 2006, S. 225;

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ე. ელიზბარაშვილის წიგნში: „ფრ. ნიცშე: ფილოსოფიის კულისები და სიმულაციები", თბ., 2005.

არა მარტო ქართულ ფილოსოფიაში, არამედ საერთოდ ქართულ კულტურაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ნიცშეს „ზარატუსტრას" გამოცემა, თანაც იმ დროს, როცა საქართველოში წიგნისთვის არავის ეცალა და ქვეყნის ისტორიაში უმძიმესი პერიოდი იდგა (1992-1993 წწ.). სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა პროფესორმა სერგი ავალიანმა საგამომცემლო საზოგადოება „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა" და ნიცშეს „ზარატუსტრას" ერეკლე ტატიშვილისეული

ბრწყინვალე ქართული თარგმანი თამაზ ბუაჩიძის რედაქტორობით გამოსცა. წიგნი მალე იქცა ბესტსელერად. ამ გამოცემის შედგომ ნიცშესადმი ინტერესი საქართველოში ძალიან სწრაფად გაიზარდა.

ნიცშეს ფილოსოფიის ორიგინალური გააზრება და ფილოსოფიურ პრობლემათა სიღრმისეული ანალიზი მოცემული აქვს ქართველ ფილოსოფოსს ზურაბ ხასაიას. მისი ნააზრევი დიდ დახმარებას გაუწევს ნიცშეს მკვლევართ გერმანელი ფილოსოფოსის მეტაფორებით დახლართულ ფილოსოფიურ ლაბირინთებში გზის გაკვალვაში.

ნიცშეს ფილოსოფიის ცალკეული საკითხების საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევები აქვთ ქართველ ფილოსოფოსებს: ავთანდილ პოპიაშვილს („ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში, თბ., 1988), მერი ჭელიძეს, ნინო მშვენიერაძეს, დალი დანელიას, რევაზ გორდეზიანს, გიორგი ბარამიძეს, თეიმურაზ მთიბელაშვილს, ლევან დალაქიშვილს, ენვერ ბარათელს, აკაკი ყულიჯანიშვილს, მამუკა ბიჭაშვილსა და სხვებს. იხ. კრებული „ნიცშე საქართველოში". რედ. შემდგენი თენგიზ ირემაძე. თბ., 2007. საინტერესოა აგრეთვე გოჩა გვასალიას ნაშრომები ფრ. ნიცშეს შესახებ.

4. С. Данелия, Философские исследования, Тб., 1997,стр.297.

5. იქვე, გვ. 297.

6. ამ მხრივ ახალი სიტყვაა გ. თევზაძის ნაშრომი: „კანტი და ფიხტე გოეთეს „ფაუსტში" (თბ., 2002).

7. იხ. გ. გაჩეჩილაძე, როგორ ვკითხულობთ ტექსტს და რა პოზიციებიდან ვაფასებთ მას. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები", 8, თბ., 2005, გვ: 17. აგრეთვე ს. სიგუა. ქართული მოდერნიზმი. თბ., 2002, გვ. 99.

8. გ. გაჩეჩილაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

9. იხ. ზ. გამსახურდია, მთავარი რედაქტორის წინასიტყვა // კ. გამსახურდია. ნოველები. ტ.1 (თხზულებანი ოც ტომად), თბ., 1992, გვ. 17.

10. იქვე, გვ. 10. „1919 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება".

11. იხ. ლ. ავალიანი, კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში (ევროპაში მოგზაურობისა და განსწავლის წლები) // კრებული „კონსტანტინე გამსახურდია", საქ. მეცნ. აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რედ. გ. ბენაშვილი, თბ., 2005.

12. ამის შესახებ იხ. ს. სიგუა. „დიდი სამვარსკვლავედი"//ფრ. ნიცშე. წიგნში: „მარტვილი და ალამდარი". თბ., 1991, გვ. 52-63. აგრეთვე მ. თევდორაძე, საკუთარ თავთან, სამყაროსთან და ღმერთთან მორკინალნი (ფრ. ნიცშე კ. გამსახურდიას პუბლიცისტიკაში, თბ., 1998.).

13. ეროვნულობის ცნების კ. გამსახურდიასეული ორიგინალური გაგების შესახებ იხ. კონსტანტინე ზ. გამსახურდია. დინების საწინააღმდეგოდ. თბ., 1997, გვ. 25-26.

14. კ. გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე// კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. VII, თბილისი, 1983, გვ. 390.

15. კ. გამსახურდია, მოზაიკები// კ.გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული. ტ. VII. თბ., 1983, გვ. 350.

16. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 50.

17. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 351.

18. იხ. იქვე, გვ. 352.

19. იქვე, გვ. 352.

20. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 352.

21. იქვე, გვ. 352.

22. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 354.

23.იხ. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 368-369.

24.იხ. კ. გამსახურდია, მოზაიკები, გვ. 69.

25. იქვე, გვ. 369.

26. იქვე, გვ. 371.

27. Declaratia Pro Mea // კ. გამსახურდია, ტ.VII, თბ., 1983, გვ. 398.

28. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან //გვ. 400.

29. XIX და XX საუკუნეების რომანტიკოსთა ერთ-ერთ საყვარელ — გენიალობისა და შეშლილობის თემატიკას ნიცშეს ინტელექტუალურ ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ორივე მათგანი

იდუმალებით მოცული ფენომენია. შოპენჰაუერიდან მომდინარეობს თვალსაზრისი, რომ ხშირ შემთხვევაში გენიალობა და შეშლილობა ერთმანეთს ემთხვევა (იხ. А. Шопенгауэр. Полн. собр.соч.в4т.Т. 1.М.1900. გვ.196). დაახლოებით იგივე აზრის პოვნა შეიძლება თ. მანთან, ს. ცვაიგთან, მ. ნორდაუსთან და ჩ. ლომბროზოსთან.

ნიცშეს დარად გენიალობისა და შეშლილობის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გოეთეს, ჰოლდერლინის, ვან-გოგისა და ნაპოლეონის ინტელექტუალური ბიოგრაფიების მკვლევართა ნააზრევში. ნიცშეს ქართველი მკვლევრები ამ საკითხს რატომღაც გვერდს უვლიან; ქართველი ფილოსოფოსები ნიცშეს მხოლოდ გენიალობაზე ამახვილებენ ყურადღებას, ამიტომაც ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტის რატი ნინუას წიგნი: „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია (ფსიქიატრიულ-თეოლოგიური გამოკვლევა)."

დოსტოევსკის მსგავსად, ნიცშეს ადრეული ასაკიდან ჰქონდა ეპილეფსიის ძალზე სპეციფიკური ფორმა. თავის ტკივილებთან ერთად ხშირად ეპილეფსიური შეტევა ემართებოდა და გული მისდიოდა. ამ ავადმყოფობით გარდაიცვალა ფილოსოფოსის მამა, როდესაც ნიცშე 5 წლის იყო. იგივე ავადმყოფობამ იმსხვერპლა ნიცშეს მცირეწლოვანი ძმა.

1865 წელს ნიცშეს ეპილეფსიურ ფონს სიფილისის ინფექცია დაემატა, რომელმაც დაავადების ცერებრალური ფორმის განვითარება გამოიწვია, რაც 1889 წლიდან 12-წლიანი სრული შეშლილობით დასრულდა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, განსაკუთრებული დაღი დაუსვა ნიცშეს გვიანდელი პერიოდის შემოქმედებას: წერის სტილსა და მანერას, ფილოსოფოსის პათოსს, რომელშიც სუბიექტივისტურად შეფერილი „განდიდების მანია" იმალებოდა.

„განდიდების მანიის" ერთგვარ გენეტიკურ განსაზღვრულობად იქცა ნიცშესთვის ნიშანდობლივი, ფილოსოფოსის ოჯახში დამკვიდრებული ე. წ. „გვარის ნარმომავლობის ლეგენდა" რომლის მიხედვით, იგი გრაფის შთამომავალია. ამ საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კონსტანტინე გამსახურდია თავის „ტრაღედიის დაბადებაში". ეს საოჯახო ლეგენდა მის ბოგრაფიაში სულიერი კოლაფსის დროს ჩნდება. „განდიდების მანიასთან" ერთად იგი ნოყიერ ნიადაგს ქმნის ნიცშეს „რადიკალური არისტოკრატიზმისათვის". ამ აზრს იზიარებენ გ. ბრანდესი და გ. გეფდინგი.

შეშლილობისა და გენიალობის პრობლემას იკვლევდა ერნსტ კრეჩმერი, რომელმაც დაადგინა, რომ „თავის ტვინის დროებით ტოქსიკურ გალიზიანებას დიდი ნიჭის მქონე ადამიანებში გენიის დროები-

თი აქტივაციის გამოწვევა შეუძლია“ (იხ. Э. Кречмер. Гениальные люди. СПБ. 1999.გვ. 4), რაც მოხდა კიდევაც ნიცშეს შემთხვევაში სიფილისის შედეგად განვითარებული თავის ტვინის ინტოქსიკაციის გამო. ამიტომაც ამ ტიპის გამოკვლევების მიხედვით, ნიცშეს კონცეფციის მითოლოგემები: „ღმერთის სიკვდილი,“ „ზეკაცი,“ „მარადიული დაბრუნება,“ „ძალაუფლების ნება“ და სხვა აფექტური სახეობრივი თხზვის შედეგია. ამ აფექტურ სახეებს იგი სინამდვილიდანაც ილებდა. ფილოსოფოსის და იხსენებდა, რომ „მწყობრი ნაბიჯებით მავალი პრუსიელი ჯარისკაცები“ მის ძმას „ძალაუფლების ნების“ გამოვლინებად მიაჩნდა, ხოლო მთის ტბა — „მარადიული დაბრუნების იდეის“ კონკრეტულ, გრძნობად ილუსტრაციად წარმოედგინა. ამის შესახებ ის თვითონ ამბობს თავის ფილოსოფიურ აღსარებაში — „Ecce homo“. სადაც იგი დიონისეს ნიღაბს ატარებს.

1865 წლიდან ნიცშე შოპენჰაურის იდეებითაა შეპყრობილი; შოპენჰაუერი მისი დიდი მასწავლებელია. „მე მსაყვედურობენ, რომ ჩემი ფილოსოფია უსიხარულო და ნაღვლიანია; მაგრამ ყველაზე დიდი ნაღველი მოდის იქიდან, რომ სამყარო და ადამიანი არაფრისგან არის შექმნილი. ამის საწინააღმდეგოს მტკიცება არის ნუგეში ფილოსოფიისათვის“. „17 წლის ასაკში მე გამიჩნდა ბუადას მსგავსი გრძნობა , რომელ-

მაც იხილა მრავალი სატანჯველი, რომ სამყარო შექმნა არა რომელიმე გონიერმა არსებამ, არამედ ეშმაკმა იმისათვის, რომ ადამიანთა სატანჯველით დატკბეს. ადამიანის ყოფიერება გვეუბნება ამას... ტანჯვა სიკეთის სუროგატად გვევლინება; ტანჯვა – სიცოცხლის აზრია, მაგრამ არა საბოლოო. ის საშუალებაა სიკეთისათვის..." შოპენჰაუერის ამ სიტყვებიდან ადვილია ნიცშეს ფილოსოფიის ამოსავალი დებულებების ამოკითხვა.

ვაგნერისა და ნიცშეს გაორებული ურთიერთობა კი საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა საბოლოოდ ვაგნერი მისთვის დაავადება გახდა, რომლისგანაც განკურნებას ის ძალიან ესწრაფვის. იგი ვაგნერზე ამბობდა, რომ „ისინი ანტიპოდები არიან, მაგრამ მათ შოპენჰაუერის ფილოსოფია აერთიანებთ".

1887 წელს ნიცშე დოსტოევსკის შემოქმედებას ეცნობა, რომელშიც საკუთარ სულიერ ძმებს პოულობს და ამიტომაც ამბობს მასზე: „ერთადერთი ფსიქოლოგი, რომელმაც ცოტა რამ მასწავლა მე." დოსტოევსკიზე კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, რომ ეს არის „კაცი, რომელიც ზეკაცისათვის ქოხს აშენებდა ამქვეყნად." „ეპილეპტიკი დà ენადაბმული მისტიკოსი, ამორი და პსიხე, დეკადანსი და გარიჟრაჟი, ერეტიკოსი და ღმერთის მაძიებელი, ქრისტე და ანტექრისტე, ყველაზე უწინ დიდი ინკვიზიტორი — ესაა დოსტოევსკი", — აი,

ასე ახასიათებს მას კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც გმობდა დოსტოევსკის პანსლავიზმს: „მაგრამ ჩვენ გვიყვარს არა დოსტოევსკი რომანსიე (მისი რომანი დღეს უფორმო ჟურნალიზმად მოგეჩვენებათ), არც თუ დოსტოევსკი სტილისტი, იგი ბლუკუნა გენიოსი იყო შექსპირთან და დანტესთან შედარებით, არც თუ დოსტოევსკი ჟურნალისტი, დილეტანტურად გადამჭრელი დიდი კულტურ-ფილოსოფიური პრობლემებისა, არამედ დოსტოევსკი მისანი და ნათელმხილველი, მამამთავარი და წინამორბედი ძლიერი ეთიკისა და მსოფლიო გაგების, ამ პუნქტში იგი ძმურად ხელს უწვდის ჩვენი თანამედროვეობის შეუდარებელ ჰეროლდს, ფრიდრიჰ ნიცშეს.“ ნიცშეს მხრიდან დოსტოევსკით მოხიბვლას ბევრი მკვლევარი მის მიერ გარკვეული სულიერი წესრიგის ძიებით, ჰარმონიის პოვნით ხსნის, რაშიც ნიცშეს ნამდვილად არ გაუმართლა.

ნიცშეს ფილოსოფია შესაძლებელია სამ პერიოდად დაიყოს: 1) მითოსის რომანტიკული გააზრება; 2) თანამედროვეობის კრიტიკულ-დესტრუქციული ანალიზი და 3) ორივე მათგანის სინთეზი. მასთან სრულ შესაბამისობაშია „ზარატუსტრასეული“ სამი სიმბოლური ტიპი —„აქლემი,“ „ლომი“ და „ბავშვი.“ აქლემი — ეს არის ტიპი, რომელსაც (ფილოსოფოსის ამტან სულს) სურს გამოსცადოს ტანჯვა, შესვას მწარე

სასმისი. „ლომი“ თავისუფლების სიმბოლოა. ამ შემთხვევაში ფილოსოფოსი თავისუფლდება ავტორიტეტებისა და სხვა ყოველგვარი გარეგანი განსაზღვრულობებისაგან. ეს არის თავისუფლება ყველაფრისაგან. „ბავშვი“ უცოდველობისა და თამაშის, სიცოცხლის სიმბოლოა. ამ სამ ტიპს ნიცშეს ინტელექტუალური ბიოგრაფიის სამი პერიოდი შეესაბამება: 1) მოწაფეობა, 2) ბრძოლა თვითდამკვიდრებისა და დამოუკიდებლობისათვის და 3) საკუთარი მოძღვრების დაფუძნება.

ნიცშეს ფილოსოფიურ კონცეფციაში უმთავრესია სიცოცხლის ფილოსოფია. სიცოცხლის გამოხატულებაა დიონისე.

სიცოცხლის კონცეფციიდან იღებს სათავეს ნიცშეს სოციალური ექსტრემიზმი. კანტის „წმინდა გონების“ „სინთეზური მსჯელობის აპრიორულობის პრობლემა“ ნიცშესთან „სიცოცხლის აპრიორულობის“ (როგორ არის შესაძლებელი სიცოცხლე, როგორც a priori) სახეს იღებს, ხოლო ეს ყველაფერი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში თავისუფლების აპრიორულობად გადაიქცევა. სიცოცხლის სიმბოლოა დიონისე. ნიცშეს მიაჩნია, რომ აპოლონი დიონისეს ენით მეტყველებს. დიონისე აპოლონის დროით ფორმებში დამკვიდრების მარადიული ფორმაა. სიცოცხლე და ყოფიერება იგივეობრივია. ამ შემთხვევაში ალბათ გასაზიარებელია მ. ჰაიდეგერის

თვალსაზრისიც. მ. ჰაიდეგერის მიხედვით, „სიცოცხლე“ და „ყოფიერება“ ერთი და იგივეა (იხ. M.Heidegger. Holzvcge. Fr. a/M. 1972. s. 213).

30. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან //გვ. 401.

31. იქვე, გვ. 401.

32. იქვე, გვ. 401.

33. იქვე, გვ. 402.

34. იქვე, გვ. 402.

35. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან //გვ. 402.

36. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან //გვ. 404.

37. იქვე, გვ. 404.

38. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან //გვ. 405.

39. იქვე, გვ. 405.

40. იხ. ჯ. ბელანი, „მე, რიჰარდ ვაგნერი“. ავტობიოგრაფია ჩაწერილი ჯორჯე ბელანის მიერ. თარგმნა ნათელა ჯოლოხავამ. თბ., 1974, გვ. 196.

საინტერესოა ვაგნერის ზოგიერთი მოსაზრება ნიცშეს შესახებ. იგი ამბობს: „ნიცშე მთლიანად ზეადამიანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ზეადამიანისა, რომელიც ძალის შემწეობით ბატონობს და ანგარიშს არ უწევს ადამიანურობის მოსაზრებებს.“ იხ. დასახელებული წიგნი. გვ. 236. წიგნზე „ადამიანური, ერთობ ადამიანური“, რომელიც ვაგნერმა ნიცშესგან საჩუქრად მიიღო, ამბობს, რომ „ეს იყო საფლავის ქვა

ჩვენი მეგობრობისა, რომელიც ჩაისახა ერთნაირ მისწრაფებათა წყალობით და შემდგომ ჰუმანიზმსა და ანტიჰუმანიზმს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობის გზით განვითარდა". იქვე, გვ. 237. მიუხედავად განშორებისა ნიცშეს სულის სიღრმეში მაინც ელვარებდა ვაგნერის სიტყვები: „მუსიკა არ დაიღუპება, სანამ არსებობს ადამიანი." იქვე. გვ. 247.

41. იხ. იქვე, გვ. 236-237.

42. კ. გამსახურდია, ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან, გვ. 406.

43. სმარაგდი (ბერძნულად – „სმარაგდოს") მწვანე ფერის ქვაა, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. იგი დიონისეს ქვაა, ბიბლიური სოლომონის საყვარელი ქვა. იოანეს გამოცხადებაში ნახსენებ თორმეტ ქვას შორის ერთ-ერთი არის სმარაგდი. მას მშვილდოსნის ზოდიაქო შეესაბამება. იგი მოიხსენიება ძველ აღთქმაში. პირველმღვდელმთავრის აარონის შესამოსელი 12 ძვირფასი ქვით იყო გამშვენებული, რომელთაგან ერთ-ერთი სმარაგდის ქვაა. ქვების განლაგების რიგი ღმერთმა სინას მთაზე აუწყა მოსეს. სმარაგდის ქვა მოიხსენიება აგრეთვე წინასწარმეტყველ ეზეკიელის გამოცხადებაში, ხოლო იოანეს გამოცხადებაში ზეციური ქალაქის 12 საძირკველს შორის, რომელიც 12 ძვირფასი ქვით არის

შემკული, სმარაგდს მეოთხე რიგი უჭირავს. ისინი კვიპროსის ეპისკოპოსმა ეპიფანე კვიპრელმა თავის თხზულებაში „თვალთაი" აღწერა (IV ს). მასზე საუბრობს სულხან-საბა ორბელიანიც თავის „ლექსიკონში." თუ ვიქტორ ნოზაძეს დავეყრდნობით, იგი (ზურმუხტი) მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში, როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა დევთა კიდობანი გახსნეს და იქ იპოვეს „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი." სმარაგდის შესახებ საუბარია ასევე იოსებ ფლავიუსის წიგნში. მას ზურმუხტადაც მოიხსენიებენ. ეს არის მუქი მწვანე ფერის სრულიად გამჭვირვალე ქვა. იგი იშვიათობას წარმოადგენს და ამიტომაც ოდითგანვე ძვირად ფასობდა. იგი სიცოცხლის სიმბოლოა და ამიტომაც დაკავშირებულია გაზაფხულის დადგომასთან, მაისის თვესთან. ხშირად გვხვდება აღმოსავლურ ლიტერატურაში; ცნობილია მისი მისტიკური თვისებების გამო; ითვლება დედის თილისმად; მას მოაქვს სიხარული, მხიარულება, სულიერი ჰარმონია და იმედი, ბრძოლაში გამარჯვება; იძლევა წინასწარმეტყველების ნიჭს; მფარველობს სიყვარულს, ამყარებს მეხსიერებას. მას კიდებენ ხოლმე სასთუმალზე ბოროტ ძალთა განსადევნად. აქარვებს დარდსა და მწუხარებას. მიაჩნიათ, რომ იგი კურნავს

თვალის სნეულებას, ეპილეფსიას, კუჭის დაავადებებს, თირკმლებს, შველის შხამიანი გველის ნაკბენს, აქვს შხამსაწინააღმდეგო მოქმედების უნარი (მის ნაფქვავს ურევენ აქლემის გაცხელებულ რძეს და აძლევენ დაგესლილს), ცნობილია, საერთოდ, გველისადმი განსხვავებული დამოკიდებულებით. არაბული გადმოცემის მიხედვით, თუ სმარაგდის ქვას გველის წინ გავაჩერებთ, მას თვალიდან წყალი გადმოუვა და დაბრმავდება. ცნობილია, რომ ნერონი გლადიატორთა ბრძოლას სმარაგდის ლინზიდან უყურებდა. ამგვარ ლინზებს ახსენებს პლინიუსიც. სმარაგდის ქვა შეეწევა არა ყველას, არამედ სულიერად წმინდა, სრულყოფილ ადამიანს. ბოროტთათვის მას უბედურება მოაქვს. მისი კეთილისმყოფელი ძალა მთვარეზეა დამოკიდებული. ინდოეთში იგი „მაჰაბჰარატას“ დროიდანაა ცნობილი. ინდოელებს სჯეროდათ, რომ იგი სულებთან კავშირს და წარსულისა და მომავლის ცოდნას უწყობდა ხელს. ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტეში ჰერმის სამარხში იპოვა ზურმუხტის ფილა; იგი ითვლება წმინდა საიდუმლო ხელობის—ალქიმიის ფუძემდებლად. ჰერმეტისტების აზრით, ერთადერთი, რაც ატლანტიდიდან შემორჩა, ეს ალქიმიაა—უბრალო ნივთიერების ოქროდ გადაქცევის ხელობა. ზურმუხტს თაყვანს სცემდნენ ინკები, ხოლო აცტეკების დედაქალაქში სასამართლო

დარბაზში მოთავსებული იყო უზარმაზარი სმარაგდი, რომელიც დამნაშავის გამოსავლენად გამოიყენებოდა. მე-12 საუკუნეში გენუაში ინახებოდა წმინდა თასი, რომელიც მთლიანი ზურმუხტისაგან იყო გამოთლილი. გადმოცემის თანახმად, ის ბიბლიურ სოლომონს ეკუთვნოდა. იგი ევროპაში ჯვაროსნებს ჩამოუტანიათ. ეგვიპტელებს კი მიაჩნდათ, რომ სმარაგდი „იდუმალი ისიდას" ქვაა. პლინიუს უფროსის ცნობით, ეგვიპტეში, ტაძარ-ლაბირინთში იდგა სერაპისის (ელინისტური ხანის ეგვიპტური მზის ღმერთის მკვდრეთით აღმდგარი იპოსტასი) ზურმუხტის ქანდაკება. არაბულ ზღაპრებში სმარაგდი იზრდება მიწისქვეშა ბაღში. ისლამური კოსმოგონიის მიხედვით, მიწიერი სამყარო შემოსაზღვრულია ზურმუხტის მთაგრეხილებით. იგი არამიწიერ სინათლეს გამოსცემს. იქ ცხოვრობენ ანგელოზები და უზენაესის სიმბოლო—ჯადოსნური ფრინველი სიმურგი. ამ ზურმუხტის მთებზეა დაფუძნებული შვიდი ცა.

„ზურმუხტი მწვანე, სუფთა და ნაზია, როგორც ახალამოსული ბალახი გაზაფხულზე. თუ დილით შეხედავ მას, მთელი დღე შენთვის მსუბუქად ჩაივლის. ვინც მას ატარებს, არ გაეკარება გველი და მორიელი", – ნათქვამია არაბულ კარაბადინში. სმარაგდი მარადიული განახლების, დაბადებისა და სიკვდილის სიმბოლოა. ამიტომაც

არის იგი დიონისეს ქვა. მიჩნეული იყო, რომ დიონისეს სმარაგდის თვალები ჰქონდა.

44. იხ. ა. ბაქრაძე. მითოლოგიური ენგადი. თბ., 2000, გვ. 10.

45. იხ. ა. ბაქრაძე. მითოლოგიური ენგადი. თბ., 2000, გვ. 26.

46. დიონისე პირველად აპოლოდორესეულ მითოლოგიურ ბიბლიოთეკაშია მოხსენიებული. ამ ღმერთის დაბადებას ძვ. წ. აღ.-ით XV საუკუნეს მიაწერენ. ისტორიის მამას, ჰეროდოტეს ერთ შემთხვევაში დიონისეს კულტი ეგვიპტიდან გამოჰყავს, ხოლო მეორე შემთხვევაში — თრაკიიდან (იხ. Геродот. История. М. 1972. გვ. 96). დიონისეს კულტს ახასიათებს: 1) ომოფაგიის რიტუალი – საკულტო ტრაპეზი, რომლის დროსაც ექსტაზური ცეკვებისა და სიმღერების ფონზე მსხვერპლი ცოცხლად იჭმება. 2) მსხვერპლის ნაწილ-ნაწილ დაგლეჯის პროცესი; სპარაგმოსი — ე. წ. კორიბანტული, წმინდა საშინელება, — ცხოველური საწყისის გამოვლინება, რომელიც სიცოცხლის სტიქიის იგივეობრივია და, ელევსინური მისტერიის მიხედვით, მხოლოდ სიკვდილით მიიღწევა.

საყურადღებოა აგრეთვე დიონისეს მწერალ გიორგი სიჭინავასეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით, დიონისე პელაზგური, უფრო სწორად, უძველესი კოლხური ღმერთის სახელია და დიონისეს

კულტი აქედან გავრცელდა სხვა ხალხებში. სიტყვა დიონისეც აქედან იღებს სათავეს (მეგრულ ენაზე „დიო-ნირს-რე)." დიონისესთან დაკავშირებული მრავალი ამბავი მართლაც რომ ნისლითა და ბურუსითაა მოცული. ზოგიერთი მკვლევარი მას ბურუსით მოცულ ღმერთს უწოდებს. ამ სახელით იგი მრავალ ტექსტში შეხვდება დაინტერესებულ მკითხველს (იხ. გიორგი სიჭინავა. „რინა მოკო პელაზგური," თბ., 2004. ლექსი „დიონისე." გვ. 24). ყოველივე ეს მით უფრო სარწმუნოა იმის გათვალისწინებით, რომ თუკი საქართველოა ღვინის სამშობლო, ლოგიკური და ბუნებრივია ღვინის ღმერთის კულტიც აქედან იღებდეს სათავეს.

47. შტეფი ხოტივარი-იუნგერი. „დიონისოს ღიმილის" სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები. ჟურნალი „ცისკარი", თბ., 1982, 10, გვ. 159.

48. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები. თბ., 1991, გვ. 378.

49. ზ. გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისსია. თბ., 1990. გვ. 24-25.

50. კ. გამსახურდია, ქართველობა და უცხოეთის გენია//კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი ტ. 8. თბ., 1976, გვ. 149.

51. ვაგნერს თავის შრომაში „ხელოვნება და რევოლუცია" აპოლონი და დიონისე გამოჰყავს, როგორც ურთიერთდაპირისპირებული ბერძენი ხალხი (აპოლონი) და ბუ-

ნება (დიონისე). ნიცშე, ვაგნერისაგან განსხვავებით, აპოლონს პიროვნების მადეტერმინირებელ გარეგან ძალად მიიჩნევს, რომელიც კულტურის ფორმულირებას ახდენს და ამით ინდივიდს დიონისური იმპულსებისაგან იცავს. ნიცშესეული ანტიონტოლოგიური კონცეფციის მიხედვით, სამყაროს საფუძველი, საწყისი, ანუ ანტიკური ფილოსოფიის ტერმინოლოგიით — „არხე," დიონისურია. სამყარო, შოპენჰაუერის „ნების მეტაფიზიკის" გავლენით, ნიცშეს წარმოუდგენია, როგორც დიონისური პირველსაფუძვლის მანიფესტაცია. დიონისური საწყისი სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის თაურფენომენია. შოპენჰაუერის „ნება," რომელიც სამყაროს სუბსტანციური საფუძველია, ნიცშესთან სიცოცხლის (დიონისე) სტიქიაა, ხოლო აპოლონი — მისი ფარი ან ნიღაბი, რომლითაც დიონისური ვნებებისაგან თავს იცავს ადამიანი. საზოგადოების ისტორიაში დიონისური საწყისი აპოლონის სახით იჩენს თავს (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ა.ბრეგაძე. „დიონისესა და აპოლონს შუა." წიგნში: „ნიცშე საქართველოში," თბ., 2007).

ნიცშე კონტრასტების ფილოსოფოსია. მან ხაზი გაუსვა თავის თანამედროვეობას, კერძოდ იმას, რომ ქრისტიანობამ დაკარგა ის ფუნქცია, რომელიც მას ოდესღაც ჰქონდა და რითაც ის აერთიანებდა საზოგადოებას, კულტურასა და ცივილიზაციას. ამის

მიზეზია რაციონალიზმი. ნიცშე უკიდურესად კრიტიკულია განმანათლებლობის მიმართ, რადგანაც განმანათლებლობამ რწმენის რაციონალიზაცია მოახდინა და ამით რწმენასთან ერთად სიცოცხლეც მოკლა. რელიგიური რწმენა ნიცშესათვის დიონისური საწყისის — სიცოცხლის ერთ-ერთი გამოვლინებაა. დიონისე ყოფიერების ონტოლოგიაა, აპოლონი კი — მისი სოციოკულტურული გამოვლინება.

52. ნიცშესთან კ. გამსახურდიას მიმართების საკითხის ლიტერატურული ანალიზის შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს: დ. ბენაშვილი. კონსტანტინე გამსახურდია. თბ., 1962; ბ. ჟღენტი. კონსტანტინე გამსახურდია. თბ., 1967; მ. აბულაძე. კონსტანტინე გამსახურდია. თბ., 1976; ზ. გამსახურდია. ლიტერატურული წერილები. თბ., 1976; ე. შუშანია. კონსტანტინე გამსახურდია. თბ., 1976; დ. თევზაძე. კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა. თბ., 1988; ს.სიგუა. მარტვილი და ალამდარი, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, ტ. I, თბ., 1991; ს. ჟორდანია. თვითმკვლელობის სუბლიმაცია. თბ., 1994; მ.თევდორაძე. საკუთარ თავთან და ღმერთთან მორკინალნი(ფრ. ნიცშე კ. გამსახურდიას პუბლიცისტიკაში) თბ., 1998; ა. ბაქრაძე. მითოლოგიური ენგადი. თბ., 2000; კონსტანტინე გამსახურდია. კრებული // საქ. მეცნ. აკადემია. შოთა რუსთაველის

სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. რედ. გ. ბენაშვილი, თბ., 2005; ზ. გამსახურდია, ლიტერატურული წერილები, თბ., 1976, და მრავალი სხვა.

53. ნიცშეს შემოქმედებას საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა პოსტმოდერნისტმა ფილოსოფოსმა ჟილ დელიოზმა.

1962 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ნიცშე და ფილოსოფია" იგი ნიცშეს ტექსტების რეკონსტრუირებას და მისი ძირითადი პოსტულატების ევროპულ მეტაფიზიკასთან დაპირისპირებას ახდენს.

უფრო საინტერესოა მისი გამოკვლევა სახელწოდებით „ნიცშე" (1965 წელს გამოცემული წიგნი), რომელშიც ძირითადი აქცენტი ნიცშეს პიროვნულ გამოცდილებაზეა გაკეთებული.

დელიოზის თქმით, ავადმყოფობა არასოდეს არ ყოფილა ნიცშეს შემოქმედებითი გენიის მთავარი წყარო. ავადმყოფობაში იგი ჯანმრთელობაზე აზრს ხედავს და, პირიქით, ჯანმრთელობაში ჭვრეტს ავადმყოფობის არსს. ავადმყოფის პოზიციიდან მისთვის უფრო ცხადი ხდება ჯანსაღი ღირებულებები და ცნებები და, პირიქით, ჯანსაღი, სისხლსავსე ცხოვრებისეული პოზიციიდან უფრო ადეკვატურია კულტურის დეკადანსი. ამიტომაც ნიცშეს ავადმყოფობა დელიოზის მიერ განხილულია, როგორც სიმრთელის ყველაზე ადეკვატუ-

რი შეფასება და, პირიქით, სიჯანსაღე ავადმყოფობის ანალიზია. სინამდვილეში ავადმყოფობა ნიცშეს ნიღაბია, რომელშიც მისი გენიოსობაა შენიღბული. იგი გაორებულია ავადმყოფობას — ტანჯვასა და გენიოსობას შორის და მე-ს მთლიანობა მასთან დარღვეულია.

ნიცშესთვის დამახასიათებელია აფორიზმებისა და ლექსების ჩართვა ფილოსოფიურ ტექსტში. ამით ის უპირისპირდება ტრადიციულ ფილოსოფიურ ტექსტს, ტრადიციულ ფილოსოფიურ თხრობას, რომლისთვისაც ნიშნეულია ახსნა-განმარტება და შეფასება. ნიცშეს მიხედვით, ინტერპრეტატორი (იგი მას ფიზიოლოგს უწოდებს) ფაქტებსა და მოვლენებს აკვირდება, როგორც ექიმი – დაავადების სიმპტომებს, და აფორიზმებით მეტყველებს. შემფასებელი კი მხატვარს ჰგავს, რომელიც დაკვირვების გზით „პერსპექტივას" ქმნის, უბრალოდ რომ ვთქვათ, პოეტურად მეტყველებს. ფილოსოფოსში ერთდროულად მოცემული უნდა იყოს ორივე მათგანი. ამ ტიპის ფილოსოფოსები ამჟამად აღარ არიან. მათში ერთიანდება აზრი და სიცოცხლე, რაც ფილოსოფიამ კარგა ხანია სამუდამოდ დაივიწყა. მან ერთმანეთისაგან გათიშა ისინი. არადა, აზრის აქტივობას ცხოვრება ახდენს, რომელსაც, თავის მხრივ, აზროვნება ამყარებს. დელიოზის თქმით, თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში ნიცშეს

გარდა წარმოდგენაც კი არ დარჩა აზროვნებისა და სიცოცხლის ამ სოკრატემდელი ერთიანობის შესახებ, რაც ჩვენ არჩევანის წინაშე გვაყენებს: ან უბადრუკი ცხოვრება, ან შეშლილი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, რომელმაც საკუთარი გზიდან გადაუხვია. მან ცხოვრების განსჯის გზა აირჩია და ამით საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. ამიტომაც ნიცშეს ფილოსოფია ყოფიერების წიაღში ყველაზე უცნაურის, ზღაპრულისა და იდუმალის ძიებად წარმოუდგენია, რომელიც სახიფათო და სარისკო საქმეა. დღეს ფილოსოფიამ დაკარგა თავისი ნამდვილი სახე. ფილოსოფოსი მეტაფიზიკოსი გახდა; სამყაროს პოეტური ხედვა ფილოსოფიის საჯარო პროფესორმა შეცვალა, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ფილოსოფიას. ამ მხრივ ნიცშემ ხორცი შეასხა კანტიზმისა და პესიმიზმის სენით შეპყრობილი შოპენჰაუერის ოცნებას: ფილოსოფია გაათავისუფლა ჰეგელის დიალექტიკისაგან და თავის ჭეშმარიტ გზაზე დააყენა, თუმცა ნიცშეს შემდეგ ეგზისტენციალიზმის მცდელობის მიუხედავად ფილოსოფია კვლავ ასცდა საკუთარ გზას. ჯერ პოზიტივიზმმა, შემდეგ კი თანამედროვე ანალიზურმა ფილოსოფიამ მოკლა ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზროვნება. ამ ვითარებიდან გამოსავლის პოვნას პოსტმოდერნიზმი შეეცადა, რომელმაც ნიცშეს გავლენით საერთოდ უარი თქვა ტრადიციული

აზროვნების წესზე და რეალობის ახალი, ორიგინალური, მაგრამ მარგინალური ხედვა შემოგვთავაზა.

ნიჰილიზმის ტრიუმფალური სვლის მაჩვენებელია „ღმერთის სიკვდილი“. ნიცშეს ფილოსოფიაში ამ თემის 15 ვარიაციაა მოცემული. ამით ნიცშეს უნდა გვითხრას, რომ ადამიანი თვითონ იმახინჯებს საკუთარ თავს; მას უნდა, რომ ღმერთის ადგილი დაიკავოს.

დელიოზი ცდილობს ახლებურად წაიკითხოს ნიცშე. ამის შედეგად იგი გვთავაზობს თავის დაზღვევას შემდეგი სახის შეცდომებისაგან: I. ძალაუფლების ნებასთან დაკავშირებით (ის არ ნიშნავს მხოლოდ ბატონობას); II. ძლიერისა და სუსტის შესახებ (არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ყველაზე ძლევამოსილია, ამავდროულად ძლიერიცაა); III. მარადიული დაბრუნების შესახებ (ის არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც იგი ესმოდათ ძველ ბერძნებს, ინდოელებს ან ეგვიპტელებს). IV. ნიცშეს ბოლოდროინდელი ნაწარმოებების შესახებ (არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ნიცშეს შემოქმედების ფარგლებს გარეთ გადიან და მისი შეშლილობით არიან კომპრომეტირებულნი).

54. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალზე ძნელია სრულიად მოიცვა ფრ. ნიცშესთან კ. გამსახურდიას მიმართების საკითხი, მაშინ როდესაც ნიცშეს თემაზე კ. გამსახურდიას მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდ-

რეობა მართლაც რომ გრანდიოზულია. მის საილუსტრაციოდ მოგვაქვს ნიცშეს თემაზე კ. გამსახურდიას მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი თხზულებები, ცალკეული წერილები თუ პოეტური ნაწარმოებები, სადაც ნიცშეანური თემატიკა აშკარად თვალშისაცემია: კ. გამსახურდია, „ზეკაცი“ // „სახალხო გაზეთი“, 371 (ტფილისი, 1911), გვ. 3; იგივე, „ფრიდრიჰ ნიცშეს“ // „ილიონი“, 1 (ტფილისი, 1922), გვ. 4; იგივე, გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე (ტრილოგია) // გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 118 (თბილისი, 1921), გვ. 2-3; იგივე, გოეთე თუ მისტიკოსი // „ილიონი“, 1, (ტფილისი, 1922), გვ. 23-24; იგივე, კრიტიკა და შემოქმედება // „ილიონი“, 2 (ტფილისი, 1922), გვ. 29-31; ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან // „ილიონი“, 3 (ტფილისი, 1922), გვ. 5-15; იგივე, ლანდებთან ლაციცი // კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. VII, გვ. 62-122; იგივე, წერილები გერმანიიდან // იქვე, გვ. 259-279; იგივე, აპოლიტიკოსის წერილები (ახალი გერმანია და ევროპის მომავალი) // იქვე, გვ. 307-318; იგივე, ფრაგმენტები (ტრილოგიიდან: ხელოვნება: სიტყვა, ხატი, მუსიკა) // იქვე, გვ. 335-342; იგივე, მოზაიკები // იქვე, გვ. 350-359; იგივე, მეტაფიზიკოსის დღიური // იქვე, გვ. 359-385; იგივე, თეოდორე დოსტოევსკი // იქვე, გვ. 386-388; იგივე, DECLARATIA PRO MEA // იქვე, გვ.397-400; იგივე, იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი // იქვე, გვ. 418-423; იგივე,

ANN, 1923 // იქვე, გვ. 451-455; იგივე, ლიტერატურული პარიზი // იქვე, გვ. 459-471; იგივე, გოეტეს „ფაუსტი" // იქვე, გვ. 483-488; ფრიდრიხ ნიცშეს იდეებია განვითარებული ნოველებში: „საათები", „პორცელანი", „კლარა", „მკვდართან შეხვედრა", „ნაპოლეონი", „ლილი", „ზარები გრიგალში", „დედავ, მისტიური ქალო", „ფოტოგრაფი", „ტაბუ", „ქალის რძე" (იხ. კ. გამსახურდია, ნოველები, ტ. I, თხზულებანი ოც ტომად, თბილისი, 1992; იგივე, „დიონისოს ღიმილი", ტ. II, თხზულებანი ოც ტომად, თბილისი, 1999; ფაშიზმი და მსოფლიო კულტურა // თხზულებათა ათტომეული, ტ. IX, თბილისი, 1985, გვ. 137-150 (აქ კ. გამსახურდია აკრიტიკებს ნიცშეს იდეებს, ოღონდ მიიჩნევს, რომ გერმანული მილიტარიზმი ნიცშემდელი მოვლენაა); იგივე, თომას მანნ // იქვე, გვ. 150-165; იგივე, ანატოლ ფრანს // იქვე, გვ. 7-17; კვლავ გერმანიაში // იქვე, გვ. 587-603; „მოვედ, სატანავ" // კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. VIII, თბილისი, 1967, გვ. 128; „რეკვიემი" // იქვე, გვ. 127; „მარრია სტელა" // იქვე, გვ. 121; „ფერადი, ფერადი" // იქვე, გვ. 124-125; „მე ვარ სარანგი ღამისა" // კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. VII, თბილისი, 1965, გვ. 191; „ბერლინი" // იქვე, გვ. 174-175; „არ მიყვარს ვარდი" // იქვე, გვ. 172; „ორი სონეტი კვიკლოსიდან „XX საუკუნე" 1. გრაფ ცეპელინისადმი. 2.ემილ ვერჰარნისადმი, იქვე; ევროპა გალიაში (ფრაგ-

მენტი რომანიდან) // იქვე, გვ. 44-101; ფრიდრიხ ნიცშე, შუაღამისას, თარგმნა კ. აბაშისპირელმა // გაზ. „იმერეთი", 108 (ტფილისი, 1913), გვ. 3 [ეს თარგმანი დაბეჭდილია აგრეთვე ჟურნალში „მწერლობა-XXI", 2 (რედაქტორი ლაშა გვასალია, თბილისი, 2007), გვ. 48].

55. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიცშეს პიროვნებასთან დაკავშირებული მრავალი გავრცელებული და უკვე დამკვიდრებული მოსაზრება დღეს ახლებურადაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ნიცშეს ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომლის სრულიად საპირისპირო და სამედიცინო თვალსაზრისით არგუმენტებული მოსაზრება აქვს ქართველ ექიმს ხუტა პაჭკორიას.

## XII
## დანართი
## I
## ლუ სალომე – „ნიცშეს ფილოსოფიის განსახიერება“

„სატანური სამება:“ ლუ სალომე, პაულ რე და ფრიდრიხ ნიცშე.



„მას ხელში უხილავი მათრახი ეჭირა და არავის არ შეეძლო მისი მორჯულება.“

ნიცშე მას „აბსოლუტურ ბოროტებად“ მიიჩნევდა. თავიანთი ურთიერთობების მინურულს ნიცშე მას სწერდა: „შენგან წამოსვლის მიზეზი შენი საშინელი ხასიათია.

მე არ შემიქმნია სამყარო, მე არ შემიქმნია ლუ. მე რომ ვყოფილიყავი შენი შემოქმედი, მოგცემდი უფრო მეტ ჯანმრთელობას და კიდევ იმას, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია — მომეტებულ სიყვარულს ჩემდამი."

გერმანელი მწერალი კურტ ვოლფი ამტკიცებდა, რომ „გერმანულენოვან ქვეყნებში უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში არც ერთ ქალს არ ჰქონია იმდენი გავლენა, რამდენიც პეტერბურგელ ლუ სალომეს." ამ ფანტასტიურ ქალს ელიზაბეტ ნიცშე „ვამპირად და მხეცად" მიიჩნევდა. არსებობს მოსაზრება, რომ ნიცშეს თავისი „ზარატუსტრა" მისგან აქვს გადმოწერილი. იგი წერდა დიდი შთაგონებით, ლამაზად და ჭკვიანურად, რაც სავსებით შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ ლუ — რუსეთის სამსახურში ჩამდგარი გენერლის — გუსტავის ასული, პეტერბურგში დაბადებული, რომელიც თავის სამშობლოდ რუსეთს მიიჩნევდა, იყო არა მხოლოდ ფროიდის საყვარელი გამოჩენილი ფსიქოანალიტიკოსი, არამედ კარგი მწერალიც. წერდა იგი გერმანულ ენაზე. რუსეთში მას კარგა ხანს არ იცნობდნენ, რადგანაც მას ამისათვის არ ეცალა. იგი თავგზას უბნევდა საკუთარ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს.

ყოველივე პასტორ გიიოსთან ურთიერთობით დაიწყო: 17 წლის ლუ სალომე მას ბარათებს სწერდა, შტუდირებდა მასთან კანტის ფილოსოფიაზე, სწავლობდა ჰო-

ცუდად დამთავრდა. ერთხელაც პასტორის კალთაზე შემომჯდარ და სპინოზას ფილოსოფიაზე მობაასე ლუს გული წაუვიდა, რაც მისი სქესობრივი სიმწიფის ნიშანი იყო, მაგრამ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ოცდაათი წლის ასაკამდე არ გათხოვილიყო. ამ ამბავს დიდად განიცდიდა ლუ სალომესთან და ფილოსოფოს პაულ რესთან ერთად ერთ ოთახში მცხოვრები ნიცშე. მას ძალზე უმძიმდა იმის გაგება, რომ იდეალური მეგობრობა და სულიერი ერთიანობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ყოველგვარი მატრიმონიალური ზრახვები. მსგავსი რამ პაულ რესათვისაც გამოცანას წარმოადგენდა, თუმცა მან ამგვარი მეგობრობით ტრაგიკულ სიკვდილამდე ხუთი წელი გაატარა. მან ვერ გაიგო, თუ რატომ გადაწყვიტა ასე უეცრად და მოულოდნელად ლუ სალომემ ცოლად გაჰყოლოდა აღმოსავლეთმცოდნე ფრიდრიხ ანდრეასს. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმაც არაფერი უწყოდა ამის შესახებ. თანაც ქორწინების წინ მას ეუწყა, რომ ქორწინება განსაკუთრებული სახის ცელიბატური ხასიათის მატარებელი იქნებოდა. შემდგომში მან თავის მოკვლაც კი სცადა, მაგრამ გადარჩა. ნიცშეს ძალიან უყვარდა ლუ. მას „ნიცშეს ფილოსოფიის განსახიერებად" მიიჩნევდნენ. „იგი მოხდენილად იყენებს ფრიცის მაქსიმებს იმისათვის, რომ მას ხელ-ფეხი შეუკრას. მაგრამ მას თავისი უნდა მიეზღოს: ის ჩემი ძმის

მოსიარულე ფილოსოფიაა“, — ჩიოდა ელიზაბეტ ფიორსტერ-ნიცშე, რომელიც ვერ იტანდა ლუ სალომეს.

ლუსთან ფრიცის ურთიერთობა კარგად, როგორც იტყვიან, პოეტურად დაიწყო. მაშინ ლუ ოცს გადაცილებული, ხოლო ფრიცი ოცდაათი წლის იქნებოდა. მის შესახებ ფრიცი წერდა: „იგი რუსი გენერლის ასულია, ოცი წლისა. ის არწივივით მოქნილი, ძუ ლომივით ძლიერი და ქალური ბავშვია. მას ძლიერი ხასიათი აქვს.“ მას იმდენად ძლიერი ხასიათი ჰქონდა, რომ მის გამო ნიცშემ დაწერა: „ქალთან თუ მიდიხარ, მათრახი არ დაივიწყოო“, თუმცა მათ ურთიერთობაში მათრახი ლუს უფრო ეკავა, ვიდრე ფრიცს. ამგვარი ურთიერთობისაგან შედარებით უფრო თავისუფალი ფროიდი იყო, რომელიც ამბობდა, რომ „მასთან ერთად ჭუჭყიანი თეთრეულის რეცხვითაა დაკავებული“ (ასე ეძახდა იგი თავიანთ ერთობლივ ფსიქოანალიტიკურ საქმიანობას). შეედმა ფსიქოანალიტიკოსმა პოლ ბერმა ლუ სალომე შემდეგი სიტყვებით გაიხსენა: „ის ტრაგიკული ადამიანი იყო, რომელიც არავის არ ანებებდა საკუთარ თავს. ის მთელი ცხოვრება ეძებდა გზას საკუთარი ძლიერი პიროვნული მე-ს ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. იგი არშემდგარი ქალი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.“ მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაღაც განსაკუთრებული აზრით ლუ სალომე, რო-

გორც პიროვნება, შედგა. ასე ფიქრობდა ნიცშეც. ერთი რამ უდავოდ ფაქტია, რომ ამ ქალმა თავგზა აუბნია, ცხოვრების გზა გაუუკუღმართა და ყველაფერი აურ-დაურია ფრიდრიხ ნიცშეს. ნიცშემ ვერ მოთოკა იგი; ის ნიცშესთვის მიუღწეველ ოცნებად დარჩა სამარადისოდ. ნიცშეს ანტიფემინისტური პათოსი და განწყობილებაც აქედან იღებს სათავეს. საბოლოოდ მას ძლიერ შესძულდა ის, ვინც ძლიერ უყვარდა. ამ მიზეზით მას, საერთოდ, ქალი შესძულდა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ქალებისადმი ნიცშეს გაორებული დამოკიდებულებისა (რადგანაც ამისათვის არსებობს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, ფილოსოფიური ძირები). ქალი ნიცშესთან სიცოცხლის ნიღაბია, დიონისური საწყისის რელიზაცია. ამიტომაც სახიფათოა მასთან თამაში, მაგრამ ეს ხიფათი და ტრაგედია აუცილებელია მამაკაცის გამოსაწრთობად. ქალთან ურთიერთობა, ნიცშეს მიხედვით, ცეცხლთან თამაშია. ამადაც ამბობს ნიცშე: **„ორი რამ ენატრება ნამდვილ მამაკაცს: ხიფათი და თამაში. ამიტომაც სჭირდება მას ქალი — ყველაზე სახიფათო სათამაშო.“**

## II
## ნიცშე ფემინისტურ დებატებში
## ჰედვიგა დომი: „ნიცშე და ქალები"

ძალზე საინტერესოა საკითხი „ნიცშე და ქალები." მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მიმართ ნიცშეს უარყოფითი დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია. ამ თემასთან მიმართებაში ორიგინალური, ნიცშესგან განსხვავებული ხედვა მოცემული აქვს კონსტანტინე გამსახურდიას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე — „გენდერისა და ფემინისტურ მოძრაობათა ბუმის" პირობებში საჭიროდ მიგვაჩნია წინამდებარე ტექსტის დანართის სახით წარმოდგენა. იგი კომენტარების გარეშეა წარმოდგენილი, რადგანაც ამ საქმეს მკითხველმა თავად უნდა გაართვას თავი.

* * *

ჰედვიგა დომი (1831-1919) გერმანელი მწერალი და პუბლიცისტია, არის რამდენიმე რომანის, მოთხრობების კრებულების, ესეებისა და ქალთა ემანსიპაციის მხარდამჭერი პოლემიკური წერილების ავტორი, „ქალთა მოძრაობის" თავალსაჩინო მოღვაწე. იგი 1872 წლიდან იბეჭდებოდა და

სრულიად შესაძლებელია, რომ ნიცშეს წაკითხული ჰქონოდა მისი ნაწერები. ალბათ ამ ქალბატონის შემოქმედების გაცნობამაც უკარნახა მას გამოეტანა ასეთი დასკვნა მწერალ ქალებზე: „ბევრი ვერაფრით ვერ გავახარებ ამ კალმოსან დედაკაცებს, როგორნიც ისინი არიან — განუვითარებელი სასქესო აღჭურვილობითა და მელანში მოთხვრილი თითებით, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ მე ძალიან მაღალი წარმოდგენა მაქვს ქალებზე და არ შემიძლია ისინი მელანთევზების დონემდე დავიყვანო."

ჰედვიგა დომის დამოკიდებულება ნიცშესადმი უფრო ბავშვურ განაწყენებას ჰგავს ძალზე საყვარელი გენიალური მასწავლებლის მიმართ, რომელიც თურმე მხოლოდ და მხოლოდ ქალებს არ სწყალობს. სწორედ ბავშვურია მისი გაგება ისეთი მეტაფორებისა, როგორიცაა ჰარამხანა და მათრახი. საგულისხმო აქ სხვა რამ არის: ქალები კი არ ამძაფრებენ ნიცშეს კრიტიკულ აზრს, არამედ, ლაპარაკობს რა ქალებზე, ნიცშე უფრო მამაკაცებს მიმართავს და როცა მთელ კაცობრიობას აკრიტიკებს, სწორედ მამაკაცების წინააღმდეგაა ეს კრიტიკა მიმართული. ამიტომაც ნიცშე „ანტიფემინისტი" კი არ არის, უფრო „ანტიჰომინისტია" იმ გაგებით, რომ მოლოდინი homo superioris-ის, ზეკაცის მოვლენისა ნიშნავს homo sapiens-ის რადიკალურ

უარყოფას, ასე რომ მშვენიერი ჰედვიგას განაწყენება ნიცშეს მიმართ უადგილოა.

მიუხედავად ამისა, ჰედვიგა დომის ამ ესეის წაკითხვა მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის იმ დამოკიდებულებაზე, რაც ნიცშეს მიმართ ჰქონდათ მის თანამედროვე და მის მკითხველ ქალებს.

* * *

„ორი რამ ენატრება ნამდვილ მამაკაცს: ხიფათი და თამაში. ამიტომაც სჭირდება მას ქალი — ყველაზე სახიფათო სათამაშო"

ფრ. ნიცშე

* * *

„ბუნება სხვა რაღაა, თუ არა დაბურდული სტიქიონების მრუმე მორევი, მის ღამეულ განცხადებაში ნათელის ნატამალიც არა სჩანს არასდროს. (მაპატიეთ, სულ დამავიწყდა, თქვენ არ გიყვართ, როცა ქალი „ჭკვიანურ" აზრებს მოეჭიდება, რადგან ქალს თქვენის აზრით ქსელის ბეჭვა უფრო შვენის. — ჰ მ!).

კონსტანტინე გამსახურდია

## ჰედვიგა დომი

# ნიცშე და ქალები

საშუალო და უფრო დაბალი გონების ადამიანებისაგან არავის არ უნდა უკვირდეს, თუ ისინი ზერელე და უგუნურ შეფასებებს აკეთებენ ქალების შესახებ, მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ის უჩვეულო ფაქტი, რომ თვით კეთილშობილური, უაღრესად თამამი მოაზროვნეებიც კი, ხელში კალამს აიღებენ თუ არა, მაშინათვე ინყებენ ჯამბაზობას გრძნობებით, ინსტინქტებით, ინტუიციითა თუ მარადიული ჭეშმარიტებებით. კარგავენ რა ყოველნაირ ლოგიკურობას, მეცნიერულობასა და კეთილსინდისიერებას, ისინი დაუფიქრებლად დაბორიალობენ იდეათა სანაგვეზე და გასაყიდად გამოაქვთ სადღაც იაფად შეძენილი უსარგებლო ძველმანები, რაც მათი მხრიდან სრულიად შეუფერებელი და ბრიყვული საქციელია. ამიტომაც, გაბრწყინებულ მწვერვალზე ხელახლადაც რომ ვიხილოთ, მაინც გვეკარგება ყოველგვარი ნდობა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც ერთხელ უკვე ხელში შემოგვაჩეჩეს მაკულატურა, და შეცბუნებულთ გვგონია, რომ ან ზევსმა გადაიცვა მეძველმანის სამოსი, ან ოლიმ-

პოს მთას თვით მეძველმანე მართავს და ზევსად მოაქვს თავი.

ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს სულის კუნჭულში მოჩვენებებით სავსე საკუთარი იდუმალი ოთახი გააჩნია. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც ყველაზე გენიალური ადამიანები წარმოადგენენ. არა მხოლოდ ძილის მორევისას, არამედ გონების არნახული გამონათების დროსაც აღებენ ისინი საშინელებებით სავსე ამ ოთახს, საიდანაც ყველა სახის უწმინდურება მოიკლაკნება. ასე გვევლინება ღვთიური სინათლის თანაზიარად ტვინის ხვეულებში გაჩხერილი ნატეხები და ნალექები ძველთაძველი ბარბაროსული აზროვნებისა.

იმ ორი თანამედროვე მწერლიდან, რომლებმაც განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინეს ქალთმოძულეობაში, გი დე მოპასანი გენიოსად მიმაჩნია, სტრინდბერგი კი — მოჩვენებად ქცეულ შურისძიების ანგელოზად.

ეროტიკაში ყირამალა გადაშვებული ეს მწერლები მათს დამღუპველ ალქაჯებზე იძიებენ შურს. თუ როგორ შეიძლება მოჩვენებათა კოლონიებმა ჭკვიან თავებშიც დაიბუდონ, ეს კარგად ჩანს მოპასანის ზიზღიდან პრუსიელთა მიმართ; ზოგ მოთხრობაში იგი პრუსიელ ოფიცრებს პირუტყვებად გამოხატავს. პრუსიელებმა დააშავეს მის წინაშე, როცა იავარყვეს მისი სამშობლო, ამიტომაც, დაე, ჯოჯოხეთში ჩაცვივ-

ნულან ისინი! მაგრამ ქალებმა რა დააშავეს? — ქალებმა იავარყვეს მისი სული და სხეული, ამიტომაც ქალები მისთვის ზოოლოგიის საგანს განეკუთვნებიან (ნიცშესათვისაც ქალები უცნაურად ველური, მაგრამ ხანდახან სასიამოვნო შინაური ცხოველებია).

მოთხრობაში „შეშლილი“ მოპასანი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ქალს: იგი მოღალატე, ჭკუამოკლე და არამზადაა, ადამიანის სახის მქონე ცხოველია. მოთხრობის გმირი მამაკაცი მონის მსგავსად კბილებს ალრჭიალებს, რადგანაც ერთი ასეთი ცხოველი, ჭკუამოკლე და არამზადა, აიძულებს მას მუხლებზე დაჩოქოს და სამუდამოდ თავის საკუთრებად აქციოს. ბოლოს და ბოლოს, კაცი იძულებულია ქალი სიცოცხლეს გამოასალმოს, არა იმიტომ რომ ის ცხოველია, არამედ იმიტომ რომ ამ ცხოველმა იგი გადაიყვარა. როგორ ფიქრობთ, ამ მოთხრობაში მხოლოდ ქალია ცხოველი?

სწორედ ამგვარად სძულს, აძაგებს და წყევლის ქალებს სტრინდბერგი. იგი ყველა შესაძლო საძაგელი მეტსახელით ამკობს მათ, მაგრამ მისი ყოველი წიგნი ეროტიკითაა გაჟღენთილი, რომელთა საგულისხმო გმირები მთელი არსებით არიან მინებებული ამ საძულველ არსებათა ძალმოსილებას ისე, რომ მშვენივრად გრძნობენ მათს ამნაირ სისაძაგლეს. სტრინდბერგი მოპასანი-

საგან იმით განსხვავდება, რომ მისი არამზადა ქალები მამაკაცებს კლავენ, მოპასანის ქალები კი თავიანთი შეყვარებულების ხელით იხოცებიან. ეს მწერლები ქალებში ეშმაკს, ალქაჯს წყევლიან, მაგრამ როგორც კი ქალები საზოგადოების წევრად გახდომას გადაწყვეტენ, მყისვე მგზნებარედ დაუწყებენ მათ ჭკუის სწავლებას, — ისევ ალქაჯებად დარჩითო.

„მხიარულ მეცნიერებაში" ნიცშე ამბობს: „მამაკაცი ქმნის ქალის მისეულ ხატს, ქალი კი ამ ხატისაგან ქმნის საკუთარ ხატს."

სწორედაც! სწორედაც!

მსჯელობანი ისეთი მამაკაცებისა, როგორებიც სტრინდბერგი და მოპასანია, მათი გამოცდილებით ხომ არ არის გამართლებული? ჩვენ კი, მათივე გამოცდილების გამო, ის გაგვამართლებს, თუ მათ გაჩუმებას ვურჩევთ, ისევ და ისევ მათივე სასიკეთოდ. გზასაცდენილი დიაცების ცალკეულ ხეთა მიღმა ისინი ვერ ხედავენ ქალების მთელ ტყეს. როდესაც კაცები, რომლებსაც არ ჰქონიათ ურთიერთობა რიგიან, წესიერ ქალებთან, ასე მტრულად არიან განწყობილნი მთელი ქალთა სქესის მიმართ, მაშინ მათი წყევლა-კრულვის მიღმა ყოველთვის ვხედავ რაღაც გარყვნილს, ავადმყოფურად სექსუალურს, მით უმეტეს, თუ ეს შეჩვენებანი მწერლის პირიდან გამოდის.

საქმე ისაა, რომ ზემოთ ხსენებული გონებრივი გაუკუღმართების საფუძველთა საფუძველს თვითონ ნიცშე იძლევა. იგი არც ისე ჭკვიანურად ლაპარაკობს ქალების შესახებ, მაგრამ ნათქვამს საკმაოდ ჭკვიანურად ასაბუთებს. მის „აისის შუქში" ვკითხულობთ: „თვით ყოვლისმცოდნე ადამიანთა გამოცდილებაც კი ერთ ხელისგულზე ეტევა და თუკი რამ ხელისგულს გადასცდა, ეს ადამიანები მაშინათვე წყვეტენ ფიქრს, იქვე მათთვის იწყება უსასრულო სიცარიელე და სისულელე." სწორედაც! სწორედაც!

ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის შოპენჰაუერი და ნიცშე ყველაზე კეთილშობილური და ღრმად მოაზროვნე არიან. ნიცშეს ბიოგრაფიის მიხედვით, რომელიც მისმა დამ, ელიზაბეტ ფიორსტერ-ნიცშემ დაწერა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიცშეს არასოდეს არ ჰქონია ინტიმური ურთიერთობა ქალებთან. მხოლოდ ლუ ანდრეას-სალომესადმი მიწერილ ნიცშეს წერილში ჩანს სულიერი სიახლოვისა და ნაზი თანაგრძნობის ანარეკლი, მაგრამ ასეთმა ურთიერთობამ, ბიოგრაფის ცნობით, მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანა. ნიცშეს მეგობრული გრძნობა მალვიდა მაიზენბუგის მიმართ (რასაც, ჩემი აზრით, სულში ღრმად არ გაუდგამს ფესვები) მხოლოდ მასზე დედობრივად მზრუნველი მოხუცი ქალბატონისადმი ახალგაზრდა კაცის მოწიწებრივი სიმპათი-

ის ხასიათს ატარებდა. მისი კონტაქტები ქალთა სქესის სხვა წარმომადგენლებთან იმდენად ხანმოკლე და ზედაპირული იყო, რომ მათზე ლაპარაკი ნამდვილად არ ღირს. ყოველივე ამის მიუხედავად, იგი სრული თვითდაჯერებულობით მსჯელობს „ქალებზე, როგორნიც ისინი არიან." იმას, რაც მან ქალების შესახებ დაწერა, ვკითხულობდი შეცბუნებითა და უსაზღვრო გაკვირვებით. ხელებში თავჩარგულს მინდოდა ტირილით მეყვირა: „შენც, შვილო ჩემო ბრუტუს?!" ძრწოლამ შემიპყრო, როცა ოკეანის ამაღლებულ სილამაზეში მოულოდნელად წამომართული ურჩხული დავინახე.

ნიცშე, გენიალური, დიდებული პოეტი, ამავე დროს — ნათელი გონების მოაზროვნე! მისი აზრები ოქროს წვერწამახული ისრებივით ხვდება საგანთა არსს და მას ან მზის დარად ანათებს, ან ზევსის ნატყორცნი მეხივით აცამტვერებს, მაგრამ ამ გენიოსს ქალებისაგან თავდასაცავად უბრალო კომბალიც არ უპყრია ხელთ. როდესაც იგი წერდა „ქალზე, როგორიც იგი არის," ნუთუ ეს იყო „შოპენჰაუერი, როგორც აღმზრდელი," რომელიც მას ჯერ კიდევ ხიბლავდა? იქნებ ქალთა მოძრაობა იწვევდა მასში ზიზღს, რადგანაც ეს მოძრაობა ძალზე თანადროული იყო, ის კი აფასებდა მხოლოდ ყოველივე იმას, თანაც გადაჭარბებულად, რაც „არათანადროულია?" როგორც

ჩანს, სწორედ ასეა. „არაფერს, — ამბობდა ლუ სალომე, — არ თვლიდა იგი უფრო ვულგარულად, არაკეთილშობილურად, ვიდრე პროგრესი და პროგრესისა და სიახლის მატარებლები არიან.“ ყოვლად შესაძლებელია, რომ ამ დიდ მწერალს, სულის პრომეთეს, სულ სხვა შეხედულება ჰქონოდა ქალთა საკითხში, რომ არა სულიერი ავადმყოფობა, რამაც დიდი დაღი დაასვა მის აზროვნებას. ამასთან, კამათის დროს იგი ყოველთვის იჩენდა შესაშურ მზაობას დათმობაზე წასულიყო.

რომ არ მისაყვედურონ, თითქოსდა ვინმეს უსაფუძვლოდ, რაიმე საბუთის გარეშე ვსდებდე ბრალს, მოკლედ მოგახსენებთ ნიცშეს ძირითად დებულებებს იმის შესახებ, თუ რა სურს ქალს და რა უნდა აკეთოს მან. ამ დებულებათა კვინტესენცია შეიძლება ვიპოვოთ მის ნაშრომში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა.“ მასში ნათქვამია: „თქვენი უპირველესი და ერთადერთი საქმე შვილების გაჩენაა.“ ეს სულაც არ არის ახალი. შემდეგ: „მამაკაცს მხოლოდ აღმოსავლურ ყაიდაზე შეუძლია სიღრმისეულად იფიქროს ქალზე... მან ქალს ისე უნდა შეხედოს, როგორც საკუთარ ქონებას, ბორკილდადებულ საკუთრებას, მხოლოდ მომსახურებისათვის გათვალისწინებულს. აქ კაცი აზიის სწორუპოვარ გონებაზე უდა იყოს ორიენტირებული.“

როგორც ჩანს, ნიცშე ჰარამხანის მომხრეა! ნუთუ მას ქალურობის იდეალად მიაჩნია ერთმანეთზე აღრენილი, გესლიანი და ჭორიკანა, უგემოვნოდ გათხუპნილი და ღირსებააყრილი, მამაკაცური აღზრდისა და „აზიის სწორუპოვარი გონების“ წყალობით ჰარამხანის ნივთად ქცეული ქალები? ნუთუ ნიცშე მართლაც ფიქრობს, რომ ჰარამხანის დიაცი ის მშვილდია, რომლის ისრები ზეკაცისაკენ ისწრაფვიან? უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ასეთი ქალი გამოდგება თუ არა ზეკაცის დამბადებლად? ან რა ვუყოთ მემკვიდრეობას?

იქნებ ვინმეს ცინცხალი გონება (რა თქმა უნდა, მამაკაცისა) რაიმე ისეთ ფიზიოლოგიურ კანონს გამოიგონებს, რომლის მიხედვით, ქალის ის თვისებები, რომლებიც შეუფერებელია ზეკაცის გაჩენისათვის, მხოლოდ სიქალწულისათვის იქნება დამახასიათებელი? ამგვარი მტკიცება ნაკლებად უცნაური იქნება იმ სასაცილო გამონათქვამებთან შედარებით, ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა რომ დაგვიხვავეს.

„ქალურობის დაკარგვას“ ნიცშე უწოდებს „იმ ყოველივე მონურისა და დამამცირებლის უხეშად და ბრაზის მორევით მითვისებას,“ რაც დღემდე ნიშანდობლივია ქალთა მდგომარეობისათვის არსებული საზოგადოებრივი წყობის პირობებში. „სწორედ მონობაა კონტრარგუმენტი და

არა უფრო მაღალი კულტურისათვის საჭირო პირობები."

იქნებ ეს ასეც არის, თუმცა მონათმფლობელისათვის სწორედ რომ ასეა. მაგრამ რას ვერჩით მონებს, თუ ისინი სულ სხვაგვარად ფიქრობენ?

უნდათ, რომ ქალი ბორკილდადებული საკუთრება იყოს, მაგრამ ქალს საკუთრებად ყოფნა არ სურს. ვერ ვხვდები, რატომ უნდა რცხვენოდეს ქალს, როგორც ნიცშე თვლის, ასეთი „საოცრად სულელური" სურვილის გამო. არც მამაკაცებს სურთ საჭურისად ყოფნა, მაგრამ საჭურისები (ისევ და ისევ აზიის სწორუპოვარი გონების წყალობით) ჰარამხანების განუყოფელი ნაწილია.

ჩვენთანაც ბევრია ისეთი ქალი, რომლებიც არა ერთი, არამედ ყველა მამაკაცის ბორკილდადებულ საკუთრებას წარმოადგენენ. არ მინდა ვთქვა, თუ ნამდვილად რა ჰქვია ასეთ ჰარამხანებს.

მას შემდეგ, რაც ნიცშემ გაარკვია, თუ რა განუმზადა ბუნებამ ქალებს, მისთვის სხვა ყველაფერი ნათელი გახდა. „არ მინდა, არ მსურს" — ქალის ამ ნათქვამს მან დაუპირისპირა —„უნდა უნდოდეს, უნდა სურდეს." ქალს უნდა, რომ აიმაღლოს საკუთარი კულტურა და იყოს დამოუკიდებელი; ნიცშეს თქმით კი, ქალმა არ უნდა აიმაღლოს საკუთარი კულტურა და არ უნდა იყოს დამოუკიდებელი, თორემ ქალი გა-

დაგვარდება, რეგრესის გზას დაადგება, დაკარგავს ქალური მომხიბვლელობის თვისებებს (ეს ახალი ნათქვამი არ არის) და შეიძლება „ევროპის დაუშნოების“ მიზეზიც გახდეს. ახლა ვნახოთ, რა იგულისხმება ქალურ მომხიბვლელობაში. „ქალებში ისე ბევრია პედანტიზმი, ქედმაღლობა, მენტორულობა, უკუდო ამპარტავნობა, თავგასულობა და უტიფრობა...“ „ვაითუ ისინი დაივიწყებენ თავიანთ გონებამახვილობას და თავიანთ ხელოვნებას — იყონ მშვენიერი, იხალისონ, თავიდან მოიშორონ ნებისმიერი საზრუნავი“ (თვითონ რად არ აშორებენ ქალებს საზრუნავს? იქნებ თავადაც არ აქვთ რაიმე საზრუნავი?). „ის, რაც გვაიძულებს ქალების პატივისცემას და რის გამოც ხშირ შემთხვევაში შიშსაც კი ვგრძნობთ, ეს არის მათი ბუნება... მათი ნატურალური, მტაცებლური, ვერაგული მოქნილობა, ხელთათმანში დამალული ვეფხვის ბრჭყალები, მათი პირველყოფილი ეგოიზმი, მათი უზრდელობა და სულიერი ტყიურობა, მოუხელთებლობა, განუჭვრეტელობა, მათი გრძნობებისა და ზნეობრიობის ცვალებადობა.“ „როგორ, ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს“ (ემანსიპაციის შედეგად)? „ნუთუ უკვე დაიწყო ქალებზე ჯადოს ახსნა? უხალისოდ ახლოვდება ქალების სიხალისისაგან დაცლა.“

მაშ ასე, როგორ უდა მოეღოს ბოლო ვეფხვის ბრჭყალებს, განუჭვრეტელობას, გრძნობების ცვალებადობას, სულიერ სივერაგეს, ეგოიზმს! ნუთუ ევროპა მართლაც ისე დაგონჯდება, თუ ამ სანაქებო ღირსებებიდან ერთ რომელიმეს გამოეთხოვება? თანაც, ეს სანაქებო თვისებები თვით ქალთა ორიგინალური დამსახურება არ გახლავთ. ქება და დიდება მათზე მზრუნველ მამაკაცებს! — „მამაკაცი ქმნის ქალის მისეულ ხატს, ქალი კი ამ ხატისაგან ქმნის საკუთარ ხატს." სწორედაც! სწორედაც!

ის მამაკაცები კი, რომლებიც სხვა თავისუფლებისმოყვარულ მისწრაფებებთან ერთად ხელს უწყობენ ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებათა ბოლოს მოღებას, თურმე გონებაჩლუნგები, მამრობითი სქესის ვირები არიან, რომლებიც ცდილობენ ქალები ზოგადი განათლებით, თვით გაზეთების კითხვითა და პოლიტიკური საუბრებით უბედურებას შეჰყარონ („წიგნის კითხვითაცო," ნათქვამია სხვა ადგილას). „აქა-იქ ცდილობენ ქალისაგან შექმნან თავისუფლად მოაზროვნეები და ლიტერატორები, თითქოსდა არ შეიძლება არამორწმუნე ქალი ღრმად მოაზროვნე და ასევე არამორწმუნე მამაკაცის თვალში ყოვლად საძაგლად და სასაცილოდ წარმოჩინდეს."

ისიც საკითხავია, თუ რაში დასჭირდება ქალს სანაქებო ღვთისმოსაობა, თუკი

მამაკაცი ღვთის მგმობელია? მხოლოდ და მხოლოდ კონტრასტის გამო? ძალიან მინდა ვიცოდე, თუ რა კმაყოფილებას პოვებს მამაკაცი ქალის ღვთისმოსაობაში, ან იქნებ იმით გაიხალისებს თავს, რომ თავის ტიტანურ გაქანებას ქალის გონებრივ ჩამორჩენილობას შეუდარებს, რადგან, მისი აზრით, რელიგიური აღზრდა ქალის ხასიათზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

„როგორ შეძლებს ქალი ჩვენს შენარჩუნებას, თუკი ვეჭვიანობთ, რომ რაღაც შემთხვევაში თვალის დაუხამხამებლად შეუძლია ხანჯალი ჩაგვცეს?" — წერს ნიცშე თავის „მხიარულ მეცნიერებაში."

ერთ ხელში ხანჯალი ან საწამლავი, მეორეში კი — ლოცვანი, — აი, ასეთი ქალის დანახვა სურს ნიცშეს. მე კი ქალის ველურ, ცვალებად გრძნობებს, ვეფხვის ბრჭყალებს ვერაფრით ვერ ვუკავშირებ მის რელიგიურობას. თანაც, განა სავალდებულოა ასეთი კავშირი არსებობდეს? ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება, რადგანაც ბუნებამ ქალი ჯერ აღუზრდელი შინაგანი ველურობით დააჯილდოვა, მერე კი მამაკაცის ბორკილდადებულ საკუთრებად აქცია, ალბათ იმიტომ რომ კაცმა იცის: ქალმა თუ გაიწია...

ჩემთვის მიუღებელია ნიცშეს მოთქმა და „ვაის" ძახილი იმ ქალთა გამო, რომლებმაც უკვე შეწყვიტეს „ცახცახი" მამაკაცთა

წინაშე. „ის, რაც გვაიძულებს ქალების პატივისცემას და რის გამოც ხშირ შემთხვევაში შიშსაც კი ვგრძნობთ, ეს არის მათი ბუნება...“ და იქვე: „მუდამ შიშითა და ძრწოლით ეპყრობოდა მამაკაცი ქალს და ცალი ფეხი ყოველთვის განსაცდელში ედგა; ქალი მამაკაცს ხიბლავს და სწორედ ამიტომ უხეთქავს მას გულს.“ ამრიგად, ქალს უნდა ეშინოდეს კაცისა, კაცს კი — ქალისა; მაგრამ ძველთაგანვე ხომ ის იქნებოდა უკეთესი, რომ ერთსაც და მეორესაც დაეყარა იარაღი, რომ ქალსაც და კაცსაც ეცადათ ერთმანეთთან ურთიერთობა შიშის გარეშე, სიმშვიდესა და სიამტკბილობაში?

თანამედროვე საზოგადოებასა თუ კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაზე თვალის ზერელე გადავლებაც კი გვასწავლის, რომ არც ერთ ეპოქაში მამრობითი სქესის თაყვანისცემა არ დაუმსახურებიათ მამაკაცის ხელში საკუთრებად ქცეულ, ბრმად მორწმუნე და უვიც ქალებს. ანტიკურ ეპოქაში კაცები პატივს სცემდნენ ჰეტერებს — ჭკვიან, ლიტერატურასა და პოლიტიკაში კარგად გარკვეულ ქალებს; იგივე ხდებოდა საფრანგეთში მე-17 და მე-18 საუკუნეებში, ანუ განმანათლებლობის ეპოქაში (გავიხსენოთ მე-18 საუკუნის სახელგანთქმული სალონები), გერმანიაში რომანტიზმის ეპოქის დროს. მაშინ ეროტი-

კას სულაც არ ანებივრებდნენ ყურადღებით. ყველაზე უცნაური აქ ის არის, რომ ნებისმიერ თავისუფლად მოაზროვნე ქალს ზიზღით უარყოფს და „წიგნის კითხვამდე დაცემულ" მანდილოსანს ჯვარს აცმევს კაცი, რომლის სულიერი, შინაგანი ცხოვრება ერთადერთი ქალისათვის იყო მახლობელი, თანაც ერთ-ერთი ღრმაშინაარსიანი და ნიჭიერი მწერლისათვის; ეს ქალი გახლდათ ლუ ანდრეას-სალომე. ნიცშეს ხანდაზმული კეთილისმყოფელი — მალვიდა ფონ მაიზენბუგიც ერთ-ერთი გონიერი, ცნობილი მწერალი იყო.

ღიმილის მომგვრელია, რომ ვეფხვის ბრჭყალებზე, ქალზე, როგორც „საშიშ და მშვენიერ კატაზე", მის მოუშინაურებელ სიმხეცეზე ასე დარწმუნებით ლაპარაკობს ფრიდრიხ ნიცშე — გაუსვრელი, ქალებისაგან შორს მდგარი მამაკაცი, რომლის ტანსაც ალბათ არასოდეს შეხებია ქალის პანაწა „ვეფხვური ბრჭყალიც" კი და რომელსაც თავის თავზე არ განუცდია, თუ როგორ ხარობენ ეს მტაცებელი არსებები, როცა „ტრაგედიის მსგავსად ხეთქავენ გულებს". მისი ამგვარი ოცნება ქალებზე, როგორც წმინდა ანტონისა მაცდურ ალქაჯებზე, საკმაოდ გულმოდგინე ხორციელი თავშეკავებით გამოწვეულ ჰალუცინაციებს შეიძლება მივაწეროთ.

სად უნდა შეესწავლა მას ქალი? ალბათ 1870 წლის სამხედრო მოქმედებების ჰოს-

პიტლებში, სადაც იგი სანიტრად მუშაობდა მოწყალების დებს შორის; იქნებ მაშინ დაინახა მან ქალების შინაგანი ველურობა, მხეცური სივერაგე, ეგოიზმი? ან იქნებ პარიზში ჩამოსვლამდე უკვე ხელიდან ჰქონდა გაშვებული მშვენიერი შესაძლებლობა იმისა, რომ გაეცნო „ქალი, როგორიც იგი არის?"

„ქალს სურს მამაკაცი განანათლოს იმაში, თუ რანაირია „ქალი, როგორიც ის არის." რას არ მოიმოქმედებენ ისინი ამ უხეირო ცდის გამო. ქალმა არ უნდა გაიტეხოს სახელი თავის განათლებულობაზე ლაპარაკით. Mulier taceat de Muliere (ქალი ქალზე ნუ ილაპარაკებს)." მადლობა ღმერთს, ამგვარი გაცემა საკუთარი თავისა საშიშ ხასიათს არ ღებულობს, რადგან „ქალს არ უნდა სიმართლე. ეს სიმართლე არაფერში არგია მას! თავიდანვე არაფერი არ არის ქალში სიმართლეზე უფრო უცხო, საძაგელი და მტრული." ამიტომაც ქალი, რა თქმა უნდა, სიტყვასაც არ დაძრავს თავის სიმახინჯეზე, პირიქით, იგი სიცრუის საფარველში გულმოწყალედ გამოახვევს იმ საშინელებას, რასაც სულის სიღრმეში ინახავს, და ამით მეტ გასაქანს მისცემს ევროპის დაუშნოებას.

ნიცშე-მაკიაველი ქალებს არიგებს, თუ როგორ უნდა მიაღწიონ ამას; „ვაი ქალს, რომელიც არ ცრუობს." ყველაფერი იქამდე მიდის, რომ ქალმა თამამად უნდა გაა-

ცუროს მამაკაცი და საითკენაც ქარი დაუბერავს, იქითკენ უნდა გადაიხაროს. „ტყუილები ქალის შეუდარებელი ხელოვნებაა, ხოლო მისი დიდებული საქმიანობა — გარეგნობა და სილამაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ, მამაკაცები, ქალში სწორედ ამ ხელოვნებასა და ინსტინქტს ვაფასებთ."

მამაკაცების მხრიდან ამგვარი გამონათქვამები არ შემიძლია დიდად ეთიკურად ჩავთვალო. არა მგონია, რომ ღვთისმოსაობას, რომლის გარეშეც ქალები თითქოს საძაგლები და სასაცილოები არიან, სიცრუე და ტყუილები შეესაბამებოდეს. „მამაკაცი ქმნის ქალის მისეულ ხატს, ქალი კი ამ ხატისაგან ქმნის საკუთარ ხატს." როგორ ახერხებს ქალი ამას? ნუთუ ქალი, ნიცშეს თუ დავუჯერებთ, სწორედ ასეთია ბუნებითა და ღვთის ნებით? — ცრუ და მატყუარა, სიმართლის მოძულე, სავსე ცბიერი მორჩილებით, მტაცებლური ბუნებისა და ა. შ. წარმოუდგენელია ნიცშეს ამგვარ მოსაზრებაზე უფრო ძლიერი საბუთი იმის სასარგებლოდ, თუ რარიგ საჭიროა თანამედროვე ქალთა მოძრაობა.

არა, ქალმა არც უნდა იცრუოს და არც ვინმე უნდა მოატყუოს; მშვენიერი გარეგნობა არ უნდა იყოს მისი ცხოვრების მიზანი. პირიქით, ქალმა ზურგი უნდა შეაქციოს ნიცშეს მიერ ნაქებ-ნადიდებ მანკიერებებს.

მისი ბევრი აფორიზმი ზიზილ-პიპილებად მოუხდებოდა ნებისმიერი ანტიფემი-

ნისტის ალბომს. აი ყველაზე ცნობილი მათ შორის: „ქალთან თუ მიდიხარ, მათრახი არ დაგავიწყდეს." სხვათა შორის, მახვილგონიერების ეს მარგალიტი სულაც არ არის ორიგინალური; ნიცშეს მოჰყავს ასეთი გამოთქმა ერთი ძველი ფლორენციული ნოველიდან: „ჯოხით ცემა ცუდ ქალსაც მართებს და კარგსაც."

„ქალი იმდენად ისწავლის შეძულებას, რამდენადაც გადაეჩვევა მომხიბვლელობას." შეიძლება ვიღაც-ვიღაცებს მართლაც ასე დაემართოთ, მაგრამ არა — „ქალს, როგორც ასეთს." დაე, ამ მარგალიტებით თავი იმ კირკეებმა შეიმკონ, რომელთა ხელობა ჯადოქრობაა. ასეთებს შეუძლიათ ჯავრი იყარონ მოჯადოებულებზე და ისინი ოთხფეხებადაც გადააქციონ.

„განსწავლულობა სირცხვილია ნებისმიერი ჭეშმარიტი ქალისათვის" (იხ. „სიკეთისა და ბოროტების მიღმა"). როგორ? განა ქალებისათვის სირცხვილი არ არის ის მონური ხორციელი მსახურება, რასაც, ნიცშეს აზრით, ქალი უნდა აკეთებდეს ჰარამხანაში?

ნიცშეს აზრთა წინააღმდეგობა ზოგჯერ ამაღლებულ ხარისხამდე ადის. ამ დროს მათ უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ წინააღმდეგობრივი და მისი შემეცნების ელვარება ყველას გვაკვირვებს. ამ თვალისმომჭრელ ნათებაში მათრახი, რომლითაც მამაკაცი ქალთან უნდა მიდიოდეს, ქალი-

სადმი მოწიწებით მიძღვნილ სკიპტრად გადაიქცევა, ფარული ოთახი — წმინდა ბალად, სამზარეულოს ქურა — საზეიმო სუფრად. „მხიარულ მეცნიერებაში" ნათქვამია: „დაბალი, ძლიერი ალტი მოულოდნელად ხსნის ჩვენ წინაშე იმ შესაძლებლობათა ფარდას, რომლებისაც სხვა დროს არ გვჯერა, ამჟამად კი უცებ ვრწმუნდებით, რომ სადღაც მსოფლიოში შეიძლება არსებობდნენ ამაღლებული, გმირული, მეფური სულის ქალები, რომლებსაც ძალუძთ და მზადაც არიან იბატონონ მამაკაცებზე, ანუ ყოველივე კარგი, რაც კი არის მამაკაცში, მათთვის ხორცშესხმულ იდეალს წარმოადგენს, მიუხედავად სქესისა." და შემდგომ: „ცხოველები თავიანთ მდედრობით სქესს სულ სხვაგვარად ეპყრობიან, ვინემ მამაკაცი ქალს, რომლისთვისაც მდედრი შემოქმედი არსებაა; სულიერი ფეხმძიმობა კაცში ბადებს ქალისთვის დამახასიათებელ განმჭვრეტელ ხასიათს. ესენი კაცი-დედები არიან!"

ო, შენ, ნიცშე, ამაღლებულო, ღვთიურო ნიჭო, უშორეს იდუმალებათა შემცნობელო, მაგრამ ვერმცნობო უბრალო ჭეშმარიტებისა! შენ შეგიძლია ესაუბრო ღმერთსა და ღვთაებებს, ციურ მნათობებს, ზღვებს, სულებსა და მოჩვენებებს, მაგრამ არ ძალგიძს ლაპარაკი ქალებთან და ქალებზე.

მისი რწმენა, როგორც ჩანს, შეურყევე-
ლია. აი, ვიღაც ეშვება მაღალი მთიდან, სა-
დაც განდეგილად ცხოვრობდა არწივთან
და გველთან ერთად; ის თავისი სულის მახ-
ვილით აცამტვერებდა სახელმწიფოებსა
და პარლამენტებს, იმპერატორებსა და მე-
ფეებს, მეტიც, მან თვით ღმერთის მოკვლა-
ში დაიდო წილი. და იგი, შემეცნების ზღვა-
ში მყვინთავი და ბოლო წუთამდე მისი დამ-
ლევი, თითქოსდა უარმყოფელი ყოველივე
იმისა, რაც თვითონ ბოლომდე არა აქვს
შესწავლილი, მაინც ერთგული რჩება ერთი
რწმენისა, ერთი ფაქტისა: მას სწამს ბუნე-
ბის კანონი, რომელმაც ქალი ჰარამხანაში
მოახვედრა და მამაკაცის ბორკილდადე-
ბულ საკუთრებად აქცია.

როგორ ხშირად აღმოხდება მას ეს სიტ-
ყვა: „უბედურება!“ მეც სამჯერ მაინც მინ-
და წამოვიძახო ეს სიტყვა ფრიდრიხ ნიც-
შესთან დაკავშირებით. ეს უბედურება მე-
წამულ-წითელია, რადგან გულის სისხლი-
თაა ნაკვები, იმიტომ რომ მე მიყვარს იგი
— გასაოცარი პოეტი, მხატვარი, რომელ-
მაც შეძლო მთელი ხელოვნების ჩაყენება
ენის მოძრავი მატერიის კალაპოტში; იგი
იყო სიტყვის ფერმწერი, იგი ხატავდა და-
ფიონის შუქზე აელვარებულ ალპების
თოვლს, შუაღამის მზეს, უკიდეგანო ყვი-
თელ უდაბნოებს გავარვარებული თეთრი
ცის ქვეშ, ხატავდა ზღვას — გააფთრებით
ნაპირს მომწყდარს თუ ფერებ-ფერებით

ნაპირიდან მიქცეულს. იგი მოქანდაკეა; მან უშველებელი ქვის ლოდებისგან გამოკვეთა ღმერთებისა და ზეკაცების ფიგურები. იგი ხუროთმოძღვარია; მისი გონებიდან წამოიმართნენ ეკლესიები ახმოვანებული ორღანებით, ციხესიმაგრეები დაკბილული გალავნებითა და მზერაწარმტაცი, თვალუწვდენელი, ახალ მზეთა შუქზე აელვარებული სათვალთვალო კოშკებით. მაგრამ პირველ რიგში იგი ენის მუსიკის შემოქმედია. იგი აჯადოებს ჩვენს გრძნობებს ნაზი ხმებით, რომლებიც თითქოს მწყემსის სალამურიდან მოედინება; ამასთან იგი დაფდაფების ცემით არყევს და ანგრევს ჩვენი აზროვნების საძირკვლებს. შემდეგ კი ისევ მოგვესმის ლოცვა-დითირამბები, რომლებიც მთავარანგელოზთა საყვირების მსგავსად ტრანსცენდენტური მწვერვალებისაკენ მიგვაქანებენ. მაგრამ აი, მთავარანგელოზები დემონებად გადაიქცევიან, ტრანსცენდენტური ციური ხმები — ქვესკნელიდან მომავალ ბოროტ, გადარეულ ხარხარად, ფიქრებად, რომლებიც ცეცხლოვანი მახვილის დარად ავლებენ ჩვენს შუბლზე კაენის დაღს. შემდეგ — განშორება, სავსე განუზომელი ტკივილითა და გამაოგნებელი ნეტარებით, სიმღერა, რომელსაც თითქოს მღერის მომაკვდავი გარეული გედი და რომელიც „აღგვაფრთოვანებს, ხეთქავს რა გულს."

ფრიდრიხ ნიცშე! შენ ჩემთვის ასწლეულის უდიდესი პოეტი ხარ და რატომ წერ ქალებზე ასე, მთელი არსებით წასული სიკეთის მიღმა? ეს არის უსაზღვრო, უსამნო უბედურება ჩემთვის, მის გამო ვხდები უფრო ეული, უფრო ხანდაზმული, უფრო გარიყული ცხოვრებიდან. ჰო, მართლა, მე ხომ უკვე ვიცი: „თვით ყოვლისმცოდნე ადამიანთა გამოცდილებაც კი ერთ ხელისგულზე ეტევა და თუკი რამ ხელისგულს გადასცდა, ეს ადამიანები მაშინათვე წყვეტენ ფიქრს, იქვე მათთვის იწყება უსასრულო სიცარიელე და სისულელე."

ასე იტყოდა ზარატუსტრა.

**თარგმნა ჯემალ შონიამ**

## სახელთა საძიებელი*

აბაშისპირელი კ. 50,109
აბულაძე მ. 102
ავალიანი დ. 17
ავალიანი ლ. 86
ავალიანი ს. 84
ანდრეასი ფ. 112
აპოლონი 33, 93
აპოლოდორე 99,100, 101, 102

ბარათელი ე. 85
ბარამიძე გ. 85
ბახი ი. ს. 25
ბაქრაძე ა. 99,102
ბელანი ჯ. 94
ბენაშვილი გ. 86
ბენაშვილი დ. 102, 103
ბერგსონი ა. 11, 17, 26, 59
ბერი პ.113
ბიჭაშვილი მ. 85
ბოჭორიშვილი მ. 55
ბრანდესი გ. 89
ბრეგაძე ა. 7, 11, 84, 101
ბუაჩიძე თ. 3, 6, 7, 14, 21, 52, 85
ბუდა 16

* სახელთა საძიებელი შეადგინა გვანცა ქეცბაიამ

გამსახურდია ზ. 3, 4, 5, 6, 10, 43, 44, 57, 84, 86, 100, 103
გამსახურდია კ.23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 62, 64, 65, 84, 86, 87, 89, 91, 92, 93, 94, 95, 100, 102, 106, 107, 108, 115
გამსახურდია კ.ზ.87
გაჩეჩილაძე გ. 86
გეორგე სტ. 14
გეფდინგი გ. 89
გვასალია გ. 85
გვასალია ლ. 109
გიიო 111
გოეთე ი. ვ. 14, 15, 18, 29, 33, 37, 44, 59, 86, 88, 107
გოგიბერიძე მ. 59
გორდეზიანი რ. 85
გრანელი ტ. 55

დალაქიშვილი ლ. 85
დანელია დ. 85
დანელია ს. 13, 14, 85
დანტე 14,92
დელიოზი ჟ. 103
დიოგენე 4
დიონისე9, 29, 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 43, 44, 45, 46, 63, 93, 95, 99, 100, 101, 102
დიონისე არეოპაგელი (ფსევდოდიონისე) 58
დომი ჰ. 115, 116, 117, 118
დოსტოევსკი ფ. 14, 88, 91, 92, 107

ეზეკიელი წინასწარმეტყველი 95
ეკერმანი ი. პ. 37
ეკჰარტი მ. 45
ელიზბარაშვილი. ე. 84
ემპედოკლე 37
ეპიფანე (კვიპროსელი ეპისკოპოსი) 96
ერდმანი ბ. 17

ვაგნერი რ. 25, 36, 37, 44, 91, 94, 95, 100
ვან-გოგი ვ. 88
ვინდელბანდი ვ. 14
ვოლფი კ. 111
ვუნდტი ვ. 17

ზაფრანსკი რ. 63
ზაქარაია მ. 7, 84
ზევსი 118
ზიბეკი ჰ. 14

თევზაძე გ. 14, 86
თევზაძე დ. 102
თევდორაძე მ. 86, 102
თუთბერელი დ. 56

იესო ქრისტე 20, 29, 34, 41, 43, 45, 56, 91
იოანე ნათლისმცემელი 32
იოანე ღვთისმეტყველი 95
ირემაძე თ. 11, 84, 85
ისიდა 98
იულიანე წმ. 44

კალანდია ი. 7
კანტი ი. 22, 26, 34, 37, 53, 59, 86, 93
კასირერი ე. 17, 31
კირკეგო ს. 11, 18, 59
კოსტავა მ. 57, 61
კრეჩმერი ე. 89

ლომბროზო ჩ. 88

მაიზენუგი მ. 122
მაკიაველი ნ. 132
მანი თ. 88
მარქსი კ. 24
მაკედონელი 28, 97
მთიბელაშვილი თ. 85
მოლენდორფი 17
მოპასანი გი დე 119, 120, 121
მოსე წინასწარმეტყველი 95
მშვენიერაძე ნ. 85

ნაპოლეონი 18, 29, 88, 107
ნერონი 56, 97
ნინუა რ. 88
ნიცშე ელიზაბეტ 111, 113, 122
ნიცშე ფრ. 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 12, 15, 16, 17, 18, 19, 20 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 84, 85, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 101, 102, 103, 104, 106, 107, 108, 110, 111, 112, 113, 114, 115, 118, 120, 121, 122, 123, 124, 129, 131, 134, 135, 136, 138

ნოზაძე ვ. 96
ნორდაუ მ. 88
ნუცუბიძე შ. 14, 59

ორბელიანი ს.ს. 96

პაჭკორია ხ. 8, 109
პლატონი 9, 65
პლინიუსი, უფროსი 97, 98
პოპიაშვილი ა. 85

ჟღენტი ბ. 102
ჟორდანია ს. 102

რამიშვილი ლ. 8
რაფაელი 9
რე პ. 110
რილი ა.17
რობაქიძე გრ. 19
რუსთაველი 96
რუსო ჟ. ჟ. 29

სალომე ლ. 110, 111, 112, 113, 122
სამადაშვილი ნ. 51
სიგუა ს. 54, 86, 102
სიჭინავა გ. 99, 100
სვედენბორგი ე. 18
სლოტარდაიკი პ. 63
სოკრატე 16, 36, 105
სოლომონ ბრძენი 98
სპინოზა ბ. 15, 111

სტრინდბერგი 119, 120, 121

ტატიშვილი ე.51, 55, 84

უზნაძე დ. 55

ფაშალიშვილი. ბ. 55
ფიშერი კ. 14
ფიხტე ი. გ. 86
ფლავიუსი ი. 96
ფროიდი ზ. 111, 118

ქუთელია ა. 14
ქეცბაია კ. 8
ქიაჩელი ლ. 20
ქიქოძე გერ. 27

ყულიჯანიშვილი ა. 85

ხასაია ზ. 85
ხიდაშელი შ. 14
ხოტივარი-იუნგერი შტ. 100

შამილი 6
შენგელაია დ. 55
შექსპირი უ. 92
შონია ჯ. 8, 138
შოპენჰაუერი ა. 5, 11, 18, 22, 35, 37, 59, 88, 90, 91, 101, 105, 122, 123
შპენგლერი ო. 11, 22, 27, 55, 59
შტაინერი რ. 17, 18

შტირნერი მ. 55
შუშანია ე. 102

ცვაიგი ს. 88

ჭავჭავაძე ი.20, 58, 87
ჭელიძე მ. 85
ჭუმბაძე ა. 55

ჯეიმზი უ. 23, 26
ჯოლოხავა ნ. 94

ჰარნაკი რ. 17
ჰაიდეგერი მ. 64, 93, 94
ჰეგელი გ. ვ. ფ. 28, 54, 84, 105
ჰერმი 97
ჰეროდოტე 99
ჰოლდერლინი 88

ზეკაცი

„ვითა მთის წყარო,მოკისკისე,
მოვწყდი ყოფნის მთებს,
მარადისობას შევეთვისე,
გავყევ მის ზვირთებს...

***

ალარ ვუდრკები ცხოვრების რისხვას,
ვეტრფი ვნების ზღვას...
თქვენ მის სიღრმესა ვერ ჩასწვდებით,
თქვენ ვერ მიხვდებით.
იქ ჯადოს ვეძებ... ზღვის ფერად ქვებით
მოვირთავ გვირგვინს,გვირგვინს ძლევისას...
მიწისა შვილნო! ვერ გამომყვებით,
ჰანგს ვერ გაიგებთ უკვდავებისას...

თქვენ ბედისწერა კოშკის ჩემის კიბედ მოგიხმარს,
ჩემი ოცნება კი თვით შექმნის ცხოვრების სიზმარს...
ცეცხლი,რომელსაც მგოსნის მუზა მოაფრქვევს პირით,
ხეს ცნობადისას მთალად შეგირყევთ,მოგითხრისთ ძირით."

კონსტანტინე გამსახურდია

## სარჩევი


წინათქმა ---------------------------------- 3
I. შესავალი ---------------------------------- 9
II. მეთოდის შესახებ ----------------------- 13
III. ნიცშეანური მოტივები და
თავისუფლების პრობლემა -------------- 17
IV. ნიჰილიზმი და ღირებულებათა გადა-
ფასება; რაციონალიზმის კრიტიკა ----- 22
V. „ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის
სულიდან“ ---------------------------------- 31
VI. „დიონისოს ღიმილი“ ---------------- 40
VII. ფრ. ნიცშესადმი მიძღვნილი
ლექსები---------------------------------------- 47
VIII. ნიცშეს საღამო თბილისში --------- 51
IX. დასკვნის სანაცვლოდ --------------- 63
X. რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).. -------- 66
XI. ბიბლიოგრაფია და შენიშვნები ----- 84
XII. დანართი -------------------------------- 110
I. ლუ სალომე — „ნიცშეს ფილოსოფიის
განსახიერება“ ---------------------------- 110
II. ნიცშე ფემინისტურ დებატებში:
ჰედვიდა დომი „ნიცშე და ქალები“ --- 115
სახელთა საძიებელი --------------------- 139

კახა ქეცბაია

# ფრიდრიხ ნიცშე
# და
# კონსტანტინე გამსახურდია

## თავისუფლების ფილოსოფია საქართველოში

**Kakha Ketsbaia**

**Friedrich Nietzsche and Konstantine Gamsakhurdia**

**Philosophy of Freedom in Georgia**

*ტირაჟი 100*

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge